- თავდაპირველად მეგონა, რომ დუბროვკის შემდეგ საქართველოს შეეშებოდნენ, რადგანაც ტერორისტები, რომლებსაც პანკისში დაეძებდნენ, აგერ, ყურისძირში ჰყოლიათ. გენერალი და გუბერნატორი შამანოვი იყო პირველი, ვინც ტერაქტის მერე პანკისი ხელახლა ახსენა. რუსეთი ისევ მოითხოვს პანკისის ხეობის ტერორისტებისასგან განწმენდას, საქართველოში დარჩენილი დაპატიმრებული ჩეჩენების გადაცემას... სპეცსამსახურებმა ხომ „შესანიშნავად“ შეასრულეს თავიანთი საქმე - დაუშვეს ტერორისტ-კამიკაძეთა მძლავრი შენაერთის მოსკოვში შეგროვება, რომელმაც ქალაქის შუაგულში ტერაქტის ჩატარებაც კი მოახერხა. რა შუამია აქ საქართველო? იქნებ ვაჩისგან ასზე მეტი უდანაშაულო მოქალაქის დაღუპვაშიც საქართველოა დამნაშავე?

ასეთ ფონზე კავკასიელების დარბევები სავსებით მოსალოდნელია. თუმცა, ქართველების წინააღმდეგ რუსების ამხედრება გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩეჩენების წინააღმდეგ. ეტყობა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციების გადატენა კონიუქტურული პოლიტიკური დაკვეთით ძალიან ძნელი საქმეა მიუხედავად იმისა, რომ ოფიცოზმა საამისოდ ყველა ღონე იხმარა.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეასრულეს ტერორისტებმა უცხოელების გათავისუფლების დაპირება?**

- იმიტომ, რომ ეს ტერაქტი სადღესპროვინციაში რომ მომხდარიყო, მის შესახებ საერთოდ ვერავინ გაიგებდა. უცხოელები ერთგვარ პროპაგანდისტულ არხს წარმოადგენდნენ ტერორისტებისათვის - სანამ ისინი დარბაზში იყვნენ, საერთაშორისო ყურადღება დუბროვკის მიმართ გარანტირებული იყო. უცხოელი მოქალაქეები ტერორისტთა ვალუტის წარმოადგენდნენ.

საერთოდ კი, მინდა გითხრათ, რომ ესენი რაღაცნაირი არასერიოზული ტერორისტები აღმოჩნდნენ. ოპერაციის პირველი ნაწილი ტერორისტების „კანონივით“ ვირტუოზულად იყო დადგმული, მაგრამ პოლიტიკურ განცხადებებში მათ მაგრად მოიკოჭლეს. პალესტინაში ტერორისტი-კამიკაძეებისათვის ტერაქტების უზრუნველყოფის მიზრით წარმოება დიდი ხნის წინ განვლილი ეტაპია. ისინი პირდაპირ უდიან ხალხმრავალ ადგილას და უდაპარაკო იფეთქებენ თავს. ვამიკვირდა, რომ ტერორისტებმა მათთან მოლაპარაკებებში თავიანთი მოთხოვნების საკვანძო თემა - ომის დამთავრება ჩეჩენთში - წორმალურად ვერ გაახმოვანეს. ეს, არა მარტო ჩეჩენეთისათვის, არამედ მთელი რუსეთისათვისაც უშიშვნელოვანესი თემა ჩაეკლეს ნდობისა და წველების შეგზავნის გარშემო დისკუსიებში და ვიზიტორების კანდიდატურების შეთანხმებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთავარი თემა ჩაიკარგა. რუსეთის წინაშე მაინც დგას ჩეჩენეთის ომის პოლიტიკური მოლაპარაკების ფორმატი გადაყვანის პრობლემა.

# დმიტრი როგოზინი: „ტერაქტის თავიდან ასცილება შეუძლებელია, საქართველო ის ვიდი ჩიხინის რეჟიმისაა, რომელიც რუსეთს ახრის“

პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დმიტრი როგოზინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსკოვში ტერორისტული აქტი თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობას შეთანხმებულად რომ ემოქმედა. როგოზინი გულისხმობს საქართველოში დარჩენილი ჩეჩენი ტერორისტებისადმი სათანადო სამართლებრივ-პროცესუალური ნორმების აღსრულებას, რაც დროულად არ გადაეთდა. როგოზინი მიიჩნევს, რომ თბილისში მყოფ ტერორისტებს შეეძლოთ მათი თანამებრძოლების

დასახლება, ან იმ პირთა თუნდაც ერთი გვარის დასახლება, ვინც მოსკოვის ტერაქტის შესაძლო ორგანიზატორი ან შემსრულებელია. „ასეთი ინფორმაცია იყო, მაგრამ მისმა გაუცემლობამ ტერაქტამდე მიგვიყვანა“, - ამბობს როგოზინი. კომიტეტის თავმჯდომარე ამასი პირადად შევარდნაძესა და საქართველოს სპეცსამსახურებს ადანაშაულებს.

„საქართველოს სპეცსამსახურებმა ეს ხალხი იარაღით ხელში დააკავე რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ამაზე მეტი რაღა მტკიცებება საჭირო?“, - განაცხადა როგოზინმა „24საათთან“ საუბარში. იგი ამტკიცებს,

რომ „ეს შეიძლება მოსკოვი-სათვის დროულად რომ გამომოკრათ, ამდენი მსხვერპლი არ იქნებოდა“.

როგოზინი არც ევროსაბჭოს და ევროსასამართლოს ინდობს და მათ აზრალებს კომინიოვში პუტინ-შეგარდნაძის შეთანხმების ჩაშლას ჩეჩენების ექსტრადირების შესახებ. „ამით ევროსასამართლო უხეშად დაარღვია გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება და შეაჩერა ტერორისტთა რუსეთისათვის გადაცემის დაწყებული პროცესი“, - ამბობს იგი. ამაჟამად როგოზინის კომიტეტში ამომწმენდ ევროსასამართლოს მოტივირებას, არგუმენტებს, რეგლამენტს.

პარლამენტარის განცხადებით, „თბილისში დაუყოვნებლივ უნდა დახუროს ჩეჩენების არაოფიციალური წარმომადგენლობა, რადგანაც ოფიციალური ტერორისტები არ არსებობენ“.

დმიტრი როგოზინმა ყველგან და ყოველთვის საქართველო რომ უნდა წარმოაჩინოს რუსეთის უპირველეს მტრად, ამას არა მხოლოდ თბილისში და მოსკოვში, არამედ სტრასბურგშიც შეაჩვიეს ყური. ამდენად მისი ინსინუაცები ნაკლებადაა მხედველობაში მისაღები. ვაკლებით საშიშია, საერთო ეიფორიის ფონზე, ნითელყავისფერი რევილუციის ნიშნები

რუსეთის პარლამენტში. ამ ტენდენციის ვერ არბილება მემარჯვენეთა ინიციატივა, სპეცსამსახურების მოქმედების ევექტურობის შემწვაველი კომისიის შექმნაზე. ვერ შეარბილ იმიტომ, რომ უკვე ცხადი ხდება: ათასი კომისიის არსებობის პირობებშიც კი, ბოლომდე უცნობი დარჩება, როგორ მოახერხეს კბილებამდე შეიარაღებულმა ბოევიკებმა მოსკოვის ცენტრში თავისუფალი გადაადგილება, იყო თუ არა მძევალთა დასახმარებლად სამედიცინო ღონისძიებები ევექტური, დროული, ადექვატური და ამომწურავი. დღეს მოსკოვში რუსეთის მემარჯვენეთა კოორდინაცია-

ით მოქმედებს საზოგადოებრივი კომისია, სადაც გროვდება თვითმხოველთა ჩეჩენები, ვიდეომასალა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები და ა.შ. არის ყველა მსხვერპლი, რომ მემარჯვენეთა ამ ინიციატივასაც სპეცსამსახურები დაბლოკავენ, რადგანაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ნებისმიერ დამოუკიდებელ გამოძიებას უდროოს და არაკომპეტენტურს უწოდებს. თუმცა, ისიც საყურადღებოა, რომ მემარჯვენეთა ერთი ნაწილის აზრით, ხაკიმდა და ნემცოვი ამ საზოგადოებრივი გამოძიებით კრემლს „უწვებიან“ და ქმნიან ახალ „საქმის ექიმთა შესახებ.“

კვილიბიკის კომპანიის და მონაწილის სახაზნითი "ნიტა-ცხვილი"

ნოვრის სტაბილი

# მას თბილისი არ ეყო...

მარია ქალაჩანიძე



სერგეი შაკუროვი

**სერგეი შაკუროვი -** დაიბადა მოსკოვში (1942). დაამთავრა ბავშვთა ცენტრალური სახლთან არსებული სტუდია (1964). "მალაია ბრონია"-ს დრამატული თეატრის მსახიობი (1964). საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის მსახიობი (1965). სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი (1971). საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980). ფილმისთვის *Вкус хлеба*. საკავშირო კინოფესტივალზე მიიღო პრემია "საუკეთესო სამსახიობო ნამუშევრებისთვის" (1988). რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი (1991). სპორტის ოსტატი აკრობატიკაში. ფილმოგრაფია: იტალია სამოცდაათამდე ფილმში, მათ შორის: **Свой среди чужих, чужой среди своих (1974)**, **Сто дней после детства (1974)**, **Сибиряда (1978)**, **Верой и правдой (1979)**, **Любимая женщина механика Гаврилова (1981)**, **Портрет жены художника (1981)**, **Приключения Шерлока Холмса и доктора Ватсона. Сокровища Агры (1983)**, **Друзь (1987)**, **Визит к Минотавру (1987)** თბილისში, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, რუსეთის კულტურულ დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა. ქართველი და რუსი კინემატოგრაფისტების მრავალ მაგისტრანტურ მუშაობაზე თავისი ქვეყნის კულტურის მინისტრის მიზიდვების რამდენიმე დღით გავრძელება სთხოვა.

შეხვედრაზე არც ბუტინი იყო და არც შვებარეები. მონაწილენი კი საკმაოდ თავისუფალი, ლალი და, როგორც თვითონ ამბობენ, მძიმე პროფესიის იყვნენ - კონტრაქტორები, მათ შორის, ყველაზე მეტად თავისუფალი, მაგრამ კონფლიქტური - რუსეთის სახალხო არტისტი სერგეი შაკუროვი ამოვარჩიეთ...

ეს არის ადამიანი, რომელთანაც უპირიანი, ისაუბრო თემაზე - "კონფლიქტი." ეს არის ადამიანი, რომელმაც 10 წლიანი მუშაობის შემდეგ მოულოდნელად მიატოვა ორი თეატრი; მასვე შეუძლია, სკანდალით დატოვოს გადასაღები მოდანი, თუ რაიმე არ მოეწონა...

- როგორ შეიძლება უკონფლიქტოდ ცხოვრება? სასაცილოა! ეს მხოლოდ უნიკალურ ადამიანს - გიორგი ვიციანს შეეძლო. მე სხვანაირი ვარ - ადვილად ვფეთქდები, ხშირად უხეშობა და მკაცრი ვარ. ვერ ვიტან კომპრომიზებს. თუ რაიმე არ მომწონს, მაშინვე ვამბობ. მართალია, ადამიანებს არ უყვართ სიზარათლის მოსმენა, მაგრამ გამოვჩენა რომ არ შემიძლია? ამიტომაცაა, რომ მუდმივად გაუგებრობებში ვივხები და რეპუტაციაც შესაბამისი მაქვს...

- თბილისს დაუბრუნდით. რა მოგვცათ ახალი ქართველ კოლეგებთან შეხვედრამ?  
- დღეს ჩვენ დიდი ხნის განშორების შემდეგ შეხვედის ნერტივებს ვეძებდით. უბრალოდ, უნდა გავიგოთ სად, როგორ და რატომ მივდივართ...უნდა მოვინახუროთ დაკარგული ურთიერთობები. ქართული კინემატოგრაფია ძალზე შთამბეჭდავი და ნათელი იყო. ქართული ფილმები ჩვენთან ბევრად უფრო კარგად მიიღოდა, ვიდრე ახლა სულელურ თემაზე შექმნილი ამერიკული ფილმები. იმიტომაც ჩამოვიყვანი, რომ კინო და თეატრალური ხიდეები აღვადგინოთ.

- აქ ვისთან ჩამოხვედით, მეგობრები გაყავთ?  
- დელეგაციის შემადგენლობაში ჩამოვიყვანი და მინდა დაგეგმო. მინდა ვიარო, ვიარო...არა მინდა არც ქვიფები, არც რესტორნები და სასტუმრო. მზად ვარ, ყოველგვარი სახელმწიფო ფულის გარეშე, საკუთარი სახსრებით გავაკეთო ეს ყოველივე.

- რა ფილმები ჩამოიტანეთ?  
- ახალგაზრდა რეჟისორების ხუთი ახალი ფილმი, რომელიც რუსეთში ძალზე კარგად მიიღეს და სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე პირველი ადგილები დაიმსახურეს.  
- თქვენი ფილმი თუ ჩამოვიდა?  
- უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ დრეკანდელი პროდიუსერები ძუნენები არიან.  
- ახლა რაზე მუშაობთ?  
- კონტრაქტით ვმუშაობ მოხარად მაყურებელთა თეატრში, სტანისლავსკის თეატრში, ვინცვინა გადავლებას ფილმში "კამიკაძის დღეური".

- რთულ და დაძაბულ პერიოდში ჩამოხვედით. როგორ გგონიათ, შესძლებთ რაიმეს გაკეთებას ორი ქვეყნის ურთიერთობის დასათბობად?  
- ახლა ქვეყნებზე საუბარი საჭირო არ არის. უნდა ვისაუბროთ კონკრეტულად კინოსა და თეატრზე. ეს არ არის ცოტა. აქვე ტელევიზიაც ჩართდება... ტელევიზიის გაკეთებაზე იყო საუბარი. ეს უკვე კარგია. ჩვენ არც ცალმხრივი და არც ორმხრივი ურთიერთობები არ გვაქვს. საერთოდ, არ გვაქვს რაიმე ურთიერთობა. ერთი თეატრის გასტროლი არაფერს ნიშნავს. საჭიროა გულახდილი საუბრები და არა პოლიტიკანობა. ერთმანეთის სიყვარულის ახსნა არ არის საჭირო. ჩვენ ნორმალური, ცოცხალი ადამიანები ვართ და ერთმანეთის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ. სულ ეს არის.

- როგორ გგონიათ, გამოიცვლება რუსეთი 23 ოქტომბრის მერე? შეიცვლება რუსეთის დამოკიდებულება გარე სამყაროსთან? არამართო პოლიტიკოსებს ვეულისებო.  
- არა მგონია, რომ ძალზე გამოიცვალოს. ალბათ, შეიცვლება მომხდართან დამოკიდებულება და არა ადამიანები. ადამიანები ყველაფერს ეჩვენებენ. დანაშაულებული ვარ, რომ ერთი კვირის შემდეგ აღარაფერი არაფერის შექმნიდება. ივლიან თეატრში და ა.შ. ისე, რომ ვთქვათ, უკვე შეიმჩნევა ამგვარი მოძრაობა. ყოველი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ეს მათ არ შეეხება.

- დამოკიდებულებაზე სახელმწიფო მექანიზმმა უნდა იმუშაოს. თუ ჩვენ მრავალი წელია ჩეჩნეთთან ვიმუშავებ, ალბათ, ყოველ წამს ფიზიკადაა უნდა ვიცოთ და არა მხოლოდ 23 ოქტომბრის. ისინი გავგუდე... მცირე ხანს ქალაქს მკაცრად გავაკონტროლებთ და მერე მივაფრთხილებთ ყველაფერს. ისე კი, ყოველ წამს მზად უნდა იყო დარტყმისთვის. ეს შეიძლება ნებისმიერი მხრიდან მოხდეს. ამერიკის 11 სექტემბერმა ჩვენ არაფერი გვასწავლა.

- თქვენ ამბობთ, რომ კინოზე უნდა ვისაუბროთ და ფილმები გადავიღოთ. ამისთვის ფულია საჭირო, ჩვენ ამის საშუალება დღეს არ გვაქვს, თქვენ?  
- რუსეთში წელიწადში 60 ფილმი იღებენ და ეს რიცხვი სწრაფად იზრდება. იღებენ სერიულს; სცენარისგან გამომდინარეობს ნერვ; კარგი, თავისუფალი ოპერატორის პოვნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია... მოკლედ, ამ მხრივ ალმაცლიაა.

იცით, რა მალე ვეღებს? მოსკოვში ქართული ბიზნესი ყვავის. ნუთუ, აქედან, საქართველოდან არ შეიძლება, ეს ბიზნესმენები მართით? შეავებნით, რომ ფული რესტორნების გახსნაში კი არა, კულტურაში დააბანდონ. ამ ფულს ისინი "შეშლილ რესტორნებში" აბანდებენ, სადაც ერთი ჭიქა ღვინო 10 დოლარი ღირს. ერთი ჭიქა ღვინო... ამისთვის

აქედან, შიგნიდან არის საჭირო მუშაობა. საკუთარ, ეროვნულ კულტურას დაახარჯონ ეს თანხა. მესმის, რომ იქ ჩაჯდნენ და ოჯახები ჰყავთ, სადაც ფული უნდა მიიტანონ, მაგრამ, ეს ხომ ქვეყანას ეხება. საჭიროა და მორჩა. მოსკოვში ბევრი მიდივარ ადამიანია. ისინი უნდა დაინტერესდნენ. ტელევიზიის იდეა, რომელიც თქვენმა კულტურის მინისტრმა წამოჭრა, ძალზე კარგია... იქნებ გაიგონ და გაიგონონ. სპაგეტისა და ხაჭაპურის მეტი რომ არაფერი უნდა...

კი, მოსკოვი გრანდიოზული, შემოღობილი მეგაპოლისია, სადაც ერთ-ერთი კაზინოში ადამიანმა შეიძლება მილიონი დოლარი წააგოს. სხვათა შორის, ქართველმაც.  
- ჩვენს ურთიერთობებზე რომ ფილმი გადავიღო, რა როლს შეასრულებდით?  
- თუ ეს ფილმი არ იქნება ომზე, მაშინ, ალბათ ვითამაშებდი ქართველის კარგ მეგობარს, მაგალითად, კახი კავსაძის...

- ქართულ კულტურას როცა ახსენებენ, თქვენთვის რასთან ან ვისთან ასოცირდება?  
- ლერმონტოვთან.

- მოკლედ, ამ კონფლიქტური ადამიანს კონფლიქტური ვითარება განსამუხტავი როლის შესრულება მიანდეს. ესეც მისი ხასიათის პარადოქსიაა. აქი გითხარით, როცა მის გარშემო კონფლიქტი არ არის, შაკუროვი საკუთარ თავს ჭამს.  
- ახლა მხოლოდ კონტრაქტებით ვმუშაობ სხვადასხვა თეატრებში. ხანდახან კი ვფიქრობ: მუდმივად ხომ არ ნავსულიყავი სამუშაოდ რომელიმე თეატრში... მაგრამ ამას ერთი შაკუროვი ფიქრობს, მეორე კი იქვე ეკამათება - რაში გჭირდება?! დაჯდები ოთხ კედელს შუა, უნდა აკეთო ის, რაც არ გინდა, წლობით გაიარო ერთი და იგივე სპექტაკლის რეპეტიციები... კინოში დამოძახებენ და, ტვიცნს მიჭამს ფიქრი: რატომ უნდა განვემორდე, მე ხომ კომიკური როლების გარდა ყველაფერი ნათამაშები მაქვს... მეორე მხრივ, არაფერს ვკეთებ სისულელე: იღვიძებ, მზე ანათებს, მშვენიერი ამინდია და გულზე კი ლოდი გადავს... მერე ისევე: ასე როგორ შეიძლება, შენ ხომ არტისტი ხარ... აი, ცხოვრობ, მუდმივ კონფლიქტში...

- გადაღებები და თეატრები რა მოსატანია - ამ ადამიანმა ბევრი ახსნა-განმარტების გარეშე 2 ცოლი დატოვა... მესამეს კი მოჰკიდა ხელი და თბილისში ჩამოვიდა.  
- კატერინა პირველადაა თბილისში.  
- რას ელის ამ მოგზაურობიდან?  
- ალბათ, რაიმე ზღაპრულს...  
- დაპირდით?  
- დიას და ამიტომაც ვრჩები ორშაბათამდე...

26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით, ყოველდღე 5 საათზე გინევეთ პარკანოვილის თეატრში მინერალური-კონსერვატივი "პერფორმანსის პარკანოვი", პონანოვიძე: ჯგუფი "ინსპო" ქეთა თოფჩიანი პარიკა თხელიკა სალომე გასვიანი კახა კუხიანიკა პარიკა როინოვილი სალომე ნოვრიაკი "პეპეში" "თელა" და სხვები გილეთეაში მინინეთ პარკანოვილის თეატრის სალაკოვეში

oriflame



# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით.

პლანა უფასოა.

სადავსაყლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ფაქტობრივად, განსვრუთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი პირადი პოზიციის, დამატებითი განმარტებით, კომპანია და ანკეტის შედეგით თქვენ მონაწილეობთ შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიზორი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

კონკურსანტები ტელევიზორებისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩებიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

**სახელი და გვარი**

**ოჯახური მდგომარეობა:**  
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძმრები

**მისამართი:**

**შვილები:** (თუ გააქვთ)

**საფოსტო ინდექსი:**

**განათლება:**  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

**სამონეტარო ტელეფონის ნომრები:**

**პროფესია:**

**ასაკი:**



**საგვამო ადგილი**

**დამხმარე კატეგორია:** (გონივრული კატეგორია, რომელიც კარგად ირკვევით, შედეგად უიქრობთ მონაწილეობას, სწავლებით კლასი "არსებულ" ან ცხარის დახმარება, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

**შინაური ცხოველები:** (თუ გააქვთ)

**თქვენი ინტერესები და ჰობი:**

**შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და რა დროს?**



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენი ხარტ გადაღებული ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

**როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?**

**გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ მოგზაურობით საერთაშორისო ბარში და სად?)**

**არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუკვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?**

**როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?**

**არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?**

**რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საქონარ ბარებში ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?**

**როგორი თქვენი საყვარელი მხარეა და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?**

**გაქვთ თუ არა მიხანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?**

**რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?**

**როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?**

**მიგონებოდათ ან გაგვიკეთებოდათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყობთ?**

**თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს ვგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?**

**რა მხარის ფილმები მოგწონთ და რომელი თქვენი საყვარელი ფილმები?**

**გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მემსახელი? კონკრეტულად რა?**

**ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?**

**გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, რომელი და რა ადგილებზე?)**

**გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მართლაც, შედეგად თუ არა სტავით გამოიყენეს "შინაური სინათლე" ჟურნალი, ან ასევე რომელიმე სხვა მხარის გამოქვეყნება?)**

**ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:**

**რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაშოში?**

**უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენით თავს? კერძოდ რა?**

**ყველაზე ცუდი საგვამო თქვენს ცხოვრებაში:**

**დღეს რომ მოგცინ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?**







თვალსაწიერი

**სხელი საქალაქო აბანოები და ბათობა წარსულს აჯარდა?**

საქართველოში ქალაქმშენებლობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ მხრივ სრულიად უნიკალურია ანტიკური ეპოქა, რადგან სწორედ ეს პერიოდი პირველი ქალაქების წარმოქმნის ხანა. ისტორიული წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით ანტიკური ეპოქის საქართველოში ოცდაათამდე ქალაქი და ქალაქური ტიპის დასახლებული ცნობილია. ცალკე საუბრის თემაა ამ დასახლებათა ურბანისტული ხასიათი, არქიტექტურა და გეგმარებითი პრინციპები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკური ხანის ქართული ქალაქები ემორჩილებოდნენ ქალაქმშენებლობის იმ საერთო კანონებს, რომლებიც მიღებული იყო ანტიკურ სამყაროს და ელიზნობრებულ აღმოსავლეთში. ამ მხრივ, საყურადღებოა ქალაქების უზრუნველყოფა შიგნითა და გარეუბრეში, რაც, თავისთავად, ცივილიზებული ქალაქისათვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.



ქუთაისის მე-5-6 საუკუნეების აბანოს კომპლექსი. აღმოჩენილია ომარ ლანჩავას მიერ.



ძალისის აბანოს გათხობის სისტემა (კალორიფერები). აღმოჩენილია ალექსი ხობიჩაძის მიერ.



ძალისის აბანოს იატაკის მოზაიკა.



ძალისის აბანოში აღმოჩენილი წყალმეყვანი ტყვიის მილი.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა, რომ გვიან ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ქართულ ქალაქებში (მცხეთა, ძალი-სა, ურბნისი, ბიჭვინთა, შუხუთი, ციხისძირი, გონიო-აფხარსი და სხვ.) დიდი ყურადღება ექცეოდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, რასაც მოწმობს ამ პუნქტებში აღმოჩენილი აბანოები, წყალმომარაგების, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემები. ქალაქებში ამდგარი სისტემების გაჩენა არქეოლოგიურად პირველად ვაშნი დასტურდება და ძვ.წ. II-I საუკუნეებს მიეკუთვნება. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება აქ აღმოჩენილი თიხის წყალსადენის მილები.

ძვ.წ. I საუკუნის სამოციანი წლებიდან ქართული ქვეყნები (ქართლისა და ეგრისის სამეფოები) მჭიდროდ უკავშირდებიან რომის სახელმწიფოს. მოყოლებული ამ დროიდან, იმპერიის არსებობის მთელ მანძილზე, რომსა და ქართულ სახელმწიფოებს შორის არსებობდა სავაჭრო ინტენსიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა. ამ ფენომენის შედეგად **გაჩნდა საქართველოში რომაული თერმების მსგავსი აბანოები.**

**აბანოს პირველი კომპლექსი საქართველოში გამოვლინდა არმაზისხევის ცნობილი გათხრებისას - 1937-1938 წლების არქეოლოგიური კამპანიის დროს.** ნაგებობა ხუთი ძირითადი განყოფილებისგან შედგებოდა: გასახლეობის (აპოდექტერიუმი), თბილი აბანო (ტეპიდარიუმი), ცივი აბანო (ფრიგიდარიუმი), ცხელი აბანო (კალდერიუმი) და საცეცხლე განყოფილება (პრაეფურნიუმი). აბანო ორსართულიანია. ქვედა სართული უკავია გათხობის (პროპაუსტუსის) სისტემას, ხოლო ზედა სართულზე მოთავსებულია გასახლეობის, ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებები. ცხელი აბანოს ფართობი 12 კვ.მ-ია. მის ქვედა სართულს გათხობის ითახს, აქვს ტიპური კალორიფერის სახე. აქ განლაგებულია ვერტიკალური სვეტები (კალორიფერები), რომლებიც შედგენილია თიხის ოვალიური და კვადრატული ფილებით. გათხობის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ცხელი შავი თბიოზოლატორის მეშვეობით თანაბრად ნაწილდება ცხელსა და ცივ აბანოებში. აღსანიშნავია ცივი აბანოში აღმოჩენილი აუზი. მასში ჩასასვლელად არსებობდა ორბინი, სამსაფხურიაინი კიბე. აუზის იატაკის ორ კედელში დატანებული იყო მკვეთრად დაქანებული თიხის მილები, რომლითაც ნაბანი წყალი გადადიდა აბანოს გარეთ კოლექტორში და იქიდან მტკვარში ჩადინდებოდა. არმაზისხევის აბანო მარავდებოდა არა მტკვრის, არამედ უფრო სუფთა - არმაზის წყლით. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ამ პატარა მდინარეიდან აბანომდე გაყვანილი თიხის წყალსადენი მილები.

აბანო ჩვ. წ. II-III საუკუნით თარიღდება. იგი ქართლის პოტიამბოთა (ერისთავთა) არმაზისხევის შტოს საკუთრებას წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის მიეკუთვნება არმაზისხევის პოტიამბოთა ცნობილი სამაროვანიც. ასე რომ, ანტიკური ხანის ქართველი რომაელები რომაელებს ბაძავდნენ არა მარტო სამარხებში მდებარე ინვენტარიისა და ფუნდუნების საცნობარო ჩატანებით, არამედ ცხოვრების წესითაც - თუნდაც, ჰიგიენური კულტურის მაღალი დონით.

ნათქვამის მკაფიო დასტურია მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში აღმოჩენილი ტაძარ-სასახლისა და აბანოს უბრწყინვალესი კომპლექსი. **ძალისის აბანოც** არმაზისხევილის მსგავსია. მასაც აქვს ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებები, საცურაო აუზი, გათხობის სისტემა, კანალიზაცია, კოლექტორი და წყალმომარაგების სისტემა. აბანოში წყალი

შედოდა ტყვიის მილებით და, შესაბამისად, ნაწილდებოდა ცივი, თბილსა და ცხელ განყოფილებებში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცივი აბანოს იატაკი, რომელიც მოპირკეთებულია შვიდფეროვანი კენჭებით მოზაიკით. მოზაიკა შემოარჩობულია არშოით, რომლის მიგინა არე ეთიბა ზღვის ფაუნისა. დაზიანდა არე მოუხედავად, კარგად განირჩევა დედღისის თავი და თევზები. **ძალისის აბანო ჩვ. წ. II-III საუკუნით თარიღდება და საქართველოში ცნობილი აბანოებიდან ყველაზე ადრეულია.** შესაბამისად, ყველაზე ადრეულია ძალისის მოზაიკაც.

არმაზისხევისა და ძალისის საერისთავო აბანოების გარდა, მცხეთაში, ბაგინეთის მთაზე აღმოჩენილია სამი სამეფო აბანოც. **ბაგინეთის აბანოებიც რომაული ტიპის თერმებია.** ისინიც ზუსტად ისეთივე სისტემითაა მოწყობილი, როგორც უკვე განხილულია ნიმუშები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს N3 აბანო, რომელშიც მოწყობილია ხუთი აბანო. აბანოებისგან წყალი შემკრებჭაში ღარებით ჩადინებოდა და აღმოსავლეთით მდებარე კოლექტორის შერეულობდა. აბანო წყალსადენის მეშვეობით დასავლეთიდან წყლით მარაგდებოდა. წყალსადენი ნაგებია ქვაბნელებითა და შეღესილია შიდა რელიეფი ხსნარით. აბანოები და აბანოს თაღები შექმნილია პილასტრებით, ქანდაკებებითა და მცენარეული ორნამენტით.

ის, რომ ბაგინეთის (არმაზციხის) აბანო სამეფო ოჯახის კუთვნილება იყო, არავითარ ვეჭვს არ იწვევს, რადგან II-III საუკუნეებში ბაგინეთი სწორედ ქართლის მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ამასვე მოწმობს მოზაიკით. მოზაიკა შემოარჩობულია არშოით, რომლის მიგინა არე ეთიბა ზღვის ფაუნისა. დაზიანდა არე მოუხედავად, კარგად განირჩევა დედღისის თავი და თევზები.

**ძალისის აბანო ჩვ. წ. II-III საუკუნით თარიღდება და საქართველოში ცნობილი აბანოებიდან ყველაზე ადრეულია.** შესაბამისად, ყველაზე ადრეულია ძალისის მოზაიკაც. არმაზისხევისა და ძალისის საერისთავო აბანოების გარდა, მცხეთაში, ბაგინეთის მთაზე აღმოჩენილია სამი სამეფო აბანოც. **ბაგინეთის აბანოებიც რომაული ტიპის თერმებია.** ისინიც ზუსტად ისეთივე სისტემითაა მოწყობილი, როგორც უკვე განხილულია ნიმუშები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს N3 აბანო, რომელშიც მოწყობილია ხუთი აბანო. აბანოებისგან წყალი შემკრებჭაში ღარებით ჩადინებოდა და აღმოსავლეთით მდებარე კოლექტორის შერეულობდა. აბანო წყალსადენის მეშვეობით დასავლეთიდან წყლით მარაგდებოდა. წყალსადენი ნაგებია ქვაბნელებითა და შეღესილია შიდა რელიეფი ხსნარით. აბანოები და აბანოს თაღები შექმნილია პილასტრებით, ქანდაკებებითა და მცენარეული ორნამენტით.

**ანტიკური ხანის აბანოს კომპლექსი აღმოჩნდა ბიჭვინთის ნაქალაქარზეც.** აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთის აბანოს ფრიგიდარიუმი გამოვლინდა მოზაიკის ფრაგმენტე-

ტიც, როგორც ვარაუდობენ, ბიჭვინთის აბანო ჩვ. წ. II-III საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. ამ აბანოსთან დაკავშირებული წყალსადენი მიკლედული არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოიკვეთა ჭეჭყიანი წყლის გასატანი საქმოდ რთული სისტემა. აბანო აღმოჩენილია ქალაქის შიდა ციხის ტერიტორიაზე. მისი ცენტრალური ქუჩის მოკირწყლულ საფარქვეშ აღმოჩნდა დიდი არხი, რომელიც გზადაგზა ვიწრო ქუჩებიდან და ცალკეული ნაგებობებიდან მომდინარე ნაკადებს იერთებდა და ციხის კარიბჭის ქვეშ გადიოდა. აქ მას უერთდებოდა აბანოიდან მომდინარე ორი საკანალიზაციო არხი. წყალგამყვანი მთავარი არხი აგებულია კერამიკული ფილებითა და აგურით, ხოლო გადახურულია ბრტყელი ქვებით. ბიჭვინთის ნაქალაქარის წყალგაყვანილობის სისტემა იმ პერიოდისათვის ძალზე კარგად აღჭურვილი სანიტარული ტექნიკის მაჩვენებელია.

ანტიკური ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-VI საუკუნეები) აგებული აბანოებიც. **ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისში, დღევანდელი ბაგრატიის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი აბანოს კომპლექსი.** იგი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ V საუკუნეში აშენებული აბანო VI საუკუნეში გადაუკეთებიათ. გადაკეთება მიზნად ისახავდა მის გაფართოებას, რის შემდეგაც აბანო ათი ნაწილისგან შედგებოდა (გასათობი, სამხრეთის აბაზანა, ჩრდილოეთის აბაზანა, ცივი აუზი, ცივი აბანო, ცხელი აბანო, საქეპი, გასახლევი და ნახევრადნოტიუ აბაზანა). აბანოსთანვე ყოფილა მოწყობილი საწყობი შემოსთვის, წყლის რეზერვუარი და ორსართულიანი სასტუმრო.

ქუთაისის აბანო ანტიკური ხანის აბანოებისაგან პრინციპულად არ განსხვავდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მას აქვს წყლის რეზერვუარი და სასტუმრო. წყლის რეზერვუარის სიღრმე 6 მ-ია, სიგანე 4 მ, ხოლო სიღრმე - 2 მ. მასში ეტეოდა 50 ტონამდე წყალი. აქ რეზერვუარის არსებობა იმ რეალობითაც იყო განპირობებული, რომ აბანო მდებარეობდა საქმოდ მაღალ ადგილზე, სადაც წყლის მუდმივად აყვანა ძნელი იქნებოდა. თუმცა, **ქუთაისის ნაქალაქარზე დადასტურებულია შვიდი მაგისტრალური წყალსადენი.** ასევე შესანიშნავად იყო მოგარებული აბანოიდან ნახმარი წყლის გაშვების პრობლემაც. წყალი ე.წ. ტრაპის მეშვეობით ერთად იკრიბებოდა და ჩადინდებოდა დიდ კოლექტორში, საიდანაც ქალაქის გარეთ გაედინებოდა. ქუთაისის აბანო ყურადღებას იქცევს არამარტო იმიტომ შიგნით ტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარის) გამო, არამედ იმიტაც, რომ მას აქვს სასტუმრო (თუ სასტუმროს კეპიტულის აბანო, ეს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია). **ერთი იმ ცხადია, რომ იგი, მცხეთისა და ძალისის აბანოებისგან განსხვავებით, არ მიეკუთვნება ელიტური ფენის საკუთრებას და საზოგადოებრივი დანიშნულებისაა. სწორედ ამ მიზეზით არის აქ აშენებული სასტუმროც. საზოგადოებრივი იყო, როგორც ჩანს, ბიჭვინთის აბანოც. ასეთივე დანიშნულებისაა ციხისძირში გათხობილი აბანო N1** ასანაც. მისი გასახლეობის ფართობი, დაახლოებით, 40 კვ.მ-ია. ციხისძირში აღმოჩენილია მეორე, შედგებით მცირე ზომის აბანოც, რომელსაც არ განიხილვენ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტად.

ადრე შუა საუკუნეების (IV-VI საუკუნეების) აბანოები აღმოჩენილია ურბნისსა და შუხუთშიც. სანიტარული მოწყობის აბანოს იატაკი, რომელიც, ძალისისა და ბიჭვინთის აბანოების მსგავსად, მოზაიკითაა შემკული. ეს არის ერთ-ერთი ადრეული მოზაიკა ქრისტიანულ საქართველოში.

ამრიგად, არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, რომ I-VI საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აბანოს კულტურა. არსებობდა როგორც ელიტური (არმაზციხე, არმაზისხევი, ძალისა, შუხუთი, ციხისძირი), ასევე საზოგადოებრივი (ბიჭვინთა, ციხისძირი, ქუთაისი, ურბნისი) აბანოები. ყველა მათგანი კი გვიანდელი ანტიკურ ხანაში გადაშენდა ან დატოვდა უდავლოდ. ამერიკულმა არქეოლოგიებმა მოახსენეს აბანოთა რთული და გამართლებული მოწყობილი წყალგაყვანილობის თუ კანალიზაციის სისტემები კი ჰიგიენური ცხოვრებისა და საერთო ცივილიზაციის იმ მაღალ დონეზე მეტყველებენ, რომელიც დამახასიათებელი იყო წარმართული და ადრეული ქრისტიანული ხანის საქართველოსთვის.

ტექნიკური-სახეობრივი

**ბავშვის ტირილის „თარჯიმანი“**

ესპანელმა გამომგონებელმა საზოგადოებას ახალი მოწყობილობა - სახელწოდებით, "why cry" ("რატომ ტირი?" ) წარუდგინეს. მას შეუძლია, ჩვილ ბავშვთა ტირილი ადამიანურ ენაზე გადათარგმნოს. ამ ახალი აპარატის ფასი 100 ევროა და, დაახლოებით, ამდენივე ამერიკული დოლარი. ამის შესახებ ინფორმაცია საავტორო როიტერმა გაავრცელა.

ესპანელი პედრო მონაგესი ძალიან შენუხდა საკუთარი ახალდაბადებული ბავშვის ტირილით, რომელიც, პრაქტიკულად, მთელი დღის მანძილზე გრძელდებოდა. ერთხელაც პედრომ გადაწყვიტა, ამ პრობლემის მოგვარების საკუთარი გზები მოეძებნა. მან ჩვილ ბავშვთა ფართომასშტაბიანი გამოკვლევა საკუთარი ბავშვით დაიწყო. სულ მალე მან შეძლო დაედგინა ჩვილ ბავშვთა ტირილის ხუთი ტიპი - თითოეული ტიპი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა მათი გამომწვევი მიზეზებითა და ხმოვანებით.

მიღებული მონაცემები გამომგონებელმა ჩადო წინასწარ შემუშავებულ სპეციალურ ხელსაწყობში, რომელიც 20 წამში ჩვილ ბავშვთა ტირილის ტიპთან მისივე ჩივილების იდენტიფიცირებას ახდენს.

ასეთი ხელსაწყოს ბავშვთან დატოვება მშობელს საშუალებას მისცემს, გაიგოს მიზეზი, რატომ ტირის მისი პატარა და რა აკლია იმ წუთას.



როგორც კი ხელსაწყო ბავშვის ტირილის ტიპს განსაზღვრავს, მის ეკრანზე მაშინვე ჩნდება სახის შესაბამისი გამომეტყველება, რომელიც მშობელს ბავშვის სურვილის შესახებ ინფორმაციას აწვდის. გამომეტყველება ხუთია: ისინი შიმშილს, მოწყენას, ტკივილს, სტრესს და უძილობას ასახავენ.

პედრო მონაგესმა ნოვატორთა შორის მეორე ადგილი დაიკავა. გამომგონებელთა სპეციალური ტურნირი **Galactica** ესპანეთში ყოველწლიურად ტარდება. პედრომ საავტორო როიტერთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მის მიერ გამოგონებული ხელსაწყოს გაყიდვიდან მიღებული მოგება მთლიანად ბავშვთა ქველმოქმედებას მოხმარდება.

**გრცხველოდთ თქვენი ძველი კომპიუტერის**

წარმოიგინეთ, რომ თქვენ სანაგვე ყუთში ავადობთ ახალ, ფერად, ძვირადღირებულ სკანერს მხოლოდ იმიტომ, რომ დაზარაზე გამოჩნდა უახლესი მოდელი. სისულელეა, არა? თუმცა, ბევრი პრიტანელი პირიქით ფიქრობს.

დიდ ბრიტანეთში ახლანდ დიწყო კამპანია სანაგვე ყუთში ჩასაყრელი გამოსწორებული ტექნიკის გავრცელების წინააღმდეგ. ძალიან ხშირად სანაგვეზე ხედება ისეთი საგნებიც, რომლებიც ორ ნელზე მეტი ხნის არ არიან.

ის რაც დღეს ტექნოლოგიის უახლეს მიღწევად ითვლება და უზარმაზარ ფასად იყიდება, შეიძლება ხვალ უკვე ნავადა იქცეს.

იმ ფულით, რომელიც შეიძლება ახალ კარტრიჯზე დახარჯვით, შესაძლებელია, ახალი აპარატი იყიდოთ. ის უფრო სწრაფად დაბეჭდავს და ხარისხიანადაც. ფანტასტიურად მომუშავე, 90-იან წლების ბოლოსთვის გამოშვებული სკანერი ზოგიერთ ახალ კომპიუტერს, შესაძლოა, ვერც მოარგოთ. პრობლემა, ძირითადად, ისაა, რომ თუკი მოვლენებს რეალურად შეხვებდით, საქართველოშიც კი შეუძლებელი ხდება მორალურად მოძველებული ტექნიკის გაყიდვა. პროგრესულ ქვეყნებში კი მას საკვლამოქმედო ორგანიზაციებშიც ვერ ჩააბარებთ. მოძველებული ტექნიკით საბავშვო ბაღები და სკოლებიც აღარ ინტერესდებიან.

ნავასაყრელზე მარტო კომპიუტერებს როდი ყრიან. დიდი ბრიტანეთის ქალაქების ცენტრალურ ქუჩებზე მოთასებულია სარეკლამო აბრები შემდეგი წარწერით: "**გრცხველოდთ თქვენი ძველი მობილური ტელეფონის, შეცვალეთ ის თანამედროვე მოდელი**". აბრაზე ხშირად ხტაია ის მობილური ტელეფონი, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ითვლებოდა სუპერ-თანამედროვედ.

მომხმარებელს შთააფრებენ: თუკი თქვენი მობილური ტელეფონი კვლავ მუშა მდგომარეობაშია, ის უნდა გადააადგოთ მარტო იმიტომ, რომ თქვენ მეზობელმა სულ ახლახან ისეთი აპარატი შეიძინა, რომელსაც ფოტოკამერა და თერმომეტრი აქვს ჩამონტაჟებული.

ხუთი წლის წინ ბრიტანელებს აზრადაც არ მოეუიღოდათ გაფუჭებული ტელევიზორის ან მაგნიტოფონის სანაგვეზე გადაადგება. ისინი ხელისხანს გამოიძახებდნენ და პრობლემაც ასე გვარდებოდა. რემონტი გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ახლის ყიდვა. მართალია, ბრიტანელებს დღესაც შეუძლიათ გაფუჭებული აპარატების ხელისათვის წალევა, მაგრამ მათი უმრავლესობა გულწრფელად აღიარებს, რომ სიამოვნებით, როცა მათი ტექნიკა მწყობრიდან გამოდის, რადგან ახალის ყიდვის საბაბი ეძლევათ. **"რა სისულელეა გაფუჭებული ტელევიზორის გარემობტება, ალბი თანამედროვე მოდელი ჯობს"**, - ასე ქართულ-დარდნიანდლად ფიქრობს ბრიტანელების უმრავლესობა. მაგრამ, ალბიონისაგან განსხვავებით, კავკასიაში ძველ საოჯახო ტექნიკას ასე იოლად ვეღარ შეელება. ზომ დადასტურდა კიდევ - საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი მწყობრიდან გამოსული მაცივრებით, ტელევიზორებითა და უთოებით სარგებლობს.

ლონდონის ტელეკომუნიკაციების კომპანიაში **Telewest**-მა ჩაზარა სპეციალური გამოკვლევა. გაირკვა, რომ ყოველ მეორე ოჯახში მტკვრი ედებოდა სამ ელექტროტექნიკურ ნივთს. კომპანია **Eurostara** მსოფლიოში, რომელიც ამუშავებს გადაადგებულ მობილურ ტელეფონებს, მარტო ბრიტანეთში არავისთვის საჭირო "ყურმილთა" რაოდენობამ 80 მილიონს გადააჭარბა.

**Telewest** ცდილობს, შეფასოს მოძველებული და გადაყრელი ტექნიკის საბაზრო ფასი. კომპანიის წინასწარი შედეგებით, დაახლოებით, 5 მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს, რაც ამერიკული დოლარებით 7 მილიარდს უტოლდება. თუმცა, იმავე გამოკითხვის თანახმად, 18-დან 24 წლამდე ასაკის ბრიტანელ ახალგაზრდებს ეს რიცხვი ნაკლებად აღუტყდა.

**უხილავი სინათლის ფარდა მეკობრეების წინააღმდეგ**

უახლესი ტექნოლოგიები წინ აღუდგებიან იმ მეკობრეებს, რომლებიც კინოფილმების არალეგალური ასლის შექმნას ცდილობენ კინოთეატრებში მათი ჩვენების დროს. ამერიკულმა კომპანია **Cinema** მუშაობს სისტემის შექმნაზე, რომელიც კინოფილმის დემონსტრირების დროს თანამედროვე ციფრულ კინოთეატრებში განათების ინტენსივობას შეცვლის.


ეს ცვლილებები მაყურებლისთვის შეუშნეველი დარჩება, მაგრამ ვინც ფილმის ციფრული კამერით ჩაწერას დააპირებს, მათ ამ საშუალებას უსაობს. საქმე ისაა, რომ ადამიანის თვალი, უზარალოდ, ვერ ასწრებს, თვალყური ადევნოს ყველა ცვლილებას მოცემული კადრის განათებაში. ციფრული ვიდეოკამერა კი ამას გაცილებით ხშირად აკეთებს.

სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ამერიკულმა ნაციონალურმა ინსტიტუტმა **Cinema**-ს ორი მილიონი დოლარი გამოუყო ამ ახალი სისტემის შესაქმნელად. მეკობრეობის შეჩერება შესაძლებელია, თუკი ფილმებს აჩვენებენ არა ფირფიც, როგორც ეს ახლა მიღებული, არამედ ციფრული სახით. ამ სფეროში პიონერი ფილმი "სათამაშობის ისტორია - 2", რომლის ჩვენება ციფრულად მიმდინარეობდა. იმ კინოთეატრების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ ფილმების ასე ჩვენება, არცთუ ბევრია. როგორც მოსალაგებელია, პროექტის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ 2004 წლისთვის. კომპანია **Cinema** იმედოვნებს, რომ ახალი სისტემის პროტოტიპის შექმნას ორ წელიწადში შეძლებენ. ასეთ შემთხვევაში კომპანია ფიქრობს, რომ მეკობრეობის შემცირება 50%-ით იქნება შესაძლებელი.









დღეისათვის ყოველი თვალი გახელილია, ან ამჟამად იღება კაცთა უფლებების შესამჩნევად. მეცნიერების სინათლის საზოგადოდ გავრცობამ ნებისმიერი მაცურებლისთვის თვალსაჩინო გახადა ის კაშკაშა ჭეშმარიტება, რომ მრავალნი კაცობრიობისა არ გაჩენილან ზურგზე უნაგირდაკრულნი; და რომ პრივილეგირებული უმცირესობა არ დაბადებულა ჩექმებითა და დეზებით მორთული იმისთვის, რომ ამ უკანასკნელთ ზემოსხენებულ მრავალთა ზურგზე ღვთის ნებითა და ხელდასმით ეჯიროთათ...

არ უნდა მოველოდეთ დესპოტიზმის თავისუფლებად გარდაქმნას სარეცელში მყუდროდ მოკალათებულნი. ღმერთმა მოგვცა სიცოცხლე და, მასთან ერთად, მოგვანიჭა თავისუფლება. უხეშ ძალას მათი მოსპობა შეუძლია, მაგრამ განცალკევება - არასდროს...

...ეს ჭეშმარიტებანი ჩვენ ისეთებად მიგვაჩნია, რომელნიც არ საჭიროებენ განმარტებას - რომ ყოველი კაცი თანასწორადაა გაჩენილი; რომ თითოეული მათგანი შემოქმედმა რამდენიმე ჩამოურთმევი უფლებით დააჯილდოვა; და რომ ასეთთა რიცხვშია სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ღტოლვა.

**ტომას ჯეფერსონი**  
1743-1826

ვირჯინიის უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ვირჯინიის რელიგიური თავისუფლების ბილისა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი. აშშ-ს მესამე პრეზიდენტი. (ჯეფერსონის საფლავის ქვაზე მისი რეგალიების ასეთი თანმიმდევრობა მანვე ანდერძით დაიბარა).



კიბერნეტიკა და კიბერდემოკრატია ცალსახად დადებითი მოვლენებია; ფაქტობრივად, ჩვენ მათ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხანმოკლე ციკლის ფარგლებში განვიხილავთ, როგორც კომპიუტერული კითხვარებით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საშუალებას, მაშინ როცა მათი მეშვეობით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი სახის კონსტიტუციური მთავრობის მხრიდან. საბოლოო ჯამში, მივიღებთ საერთაშორისო სპეკულაციური კაპიტალიზმის ახალ, უსახურ ფორმებს - რომლებიც არ ემორჩილება არც ერთ საერთაშორისო კანონმდებლობას და ძირს უთხრის ცალკეული ქვეყნების მთავრობის ხელისუფლებასა და ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ამის მოწმენი გახვდით, როდესაც ადრე მონონებული "აზიური ვეფხვები" ეკონომიკურმა სისტემებმა წაგრევა დაიწყა და მათ ეკლსმი მიჰყვა იაპონია, შემდეგ რუსეთის ფედერაცია, სულ ახლახან კი - ბრაზილია და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნები.

**დემოკრატია და განვითარება**

ზემოთ აღწერილი ამკარად შემაფოთებელი სურათის გათვალისწინებით, საჭიროა ორი კლასიფიკაციის შემოღება. პირველი, უმარტივესი ოქუნება დემოკრატიის გაიკიფება საბაზრო ეკონომიკასთან, ან თუნდაც მათ შორის აუცილებელი კავშირის არსებობის დაშვება. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრადა გამოიფლებ. მართალია, ისტორიას არ ასხსნის მაგალითი დემოკრატიის სრული განვითარებისა საბაზრო ეკონომიკის გარეშე, თუმცა საბირისპირის მტკიცება არ იქნებოდა სწორი. ფაქტობრივად, ყოფილა შემთხვევები, რომ მთელ რიგ დიქტატორულ სისტემებმა ეკონომიკური აღმავლობის მაღალი დონისთვის მიუღწევეა - თუნდაც მცირე პერიოდით მაინც. ასეთ შემთხვევასთან გვექონდა საქმე, მაგალითად, პინოჩეტის ჩილეში, თუმცა იმ სამხრელი ტვირთის ფასად, რომელიც ჩილე ხალხს დაანჯა. მეტიც, ბაზარი წარმოქმნის გარდაუვალ უთანასწორობას, როდის ალექსანდრე დემოკრატია ციფლობა - თუ ის მხოლოდ ფორმლობას არ წარმოადგენს - პოლიტიკური რეფორმების შემჯავით, სოციალურად და პოლიტიკურად მდგრად საზოგადოებების ჩამოყალიბების მიზნით.

მეორე კლასიფიკაცია ნაწილობრივ პირველიდან გამომდინარეობს. იმისათვის, რომ მისი ფუნქციონირება მაქსიმალურად ეფექტური იყოს, დაუმგებელი დემოკრატიის არსებობა მხოლოდ ფორმალური სახით. სხვა სიტყვებით, დემოკრატია არ უნდა მოიცვას მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური, საკანონმ-

დებლო და ინსტიტუციური ასპექტები - როგორცია თავისუფალი არჩევნები; ხელისუფლების შეცვლა; სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება და მათი ურთიერთდამოკიდებულება; მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; უმცირესობების უფლებების აღიარება; კანონის უზენაესობა; სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და სხვა. დემოკრატიის მიზანი კიდევ უფრო მეტია. მან არ უნდა უგულვებელყოს ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარება, რომელშიც ხალხი ცხოვრობს, და მისი შემოქმედება დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე.

რეალურად, არსებობს ძალიან მჭიდრო ურთიერთკავშირი საზოგადოების მდგრად განვითარებასა (მდგრადი განვითარება გულისხმობს როგორც მოსახლეობის რეალურ კეთილდღეობას, ასევე ეკოლოგიურ ბალანსს) და დემოკრატიის ფუნქციონირებას შორის. მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთზეგავლენის უგულვებელყოფა დემოკრატიისათვის მომავალში შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, დედამიწის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. თუმცა, ეგრეთ წოდებული ლიბერალური დემოკრატია ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ასპექტებს, რომელთა ჩართვა დემოკრატიულ სისტემებში აუცილებელია იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა სათანადო ადგილი დაიკავებდეს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეუძლებელია ადამიანის უფლებების - ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მონაწილის - განხორციელება, **urbi et orbi**, როგორც ინდოლოგისა, თუ მხედველობა არ მივიღებთ იმ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ შემადგენლებს, რომლებიც ყოველ ცალკეულ ერს ახასიათებს, მათ შორის თითოეულის შედარებით სხილარობის მარეგულირებელს; მის უუნარობას, აითვისოს გარკვეული ტექნოლოგიური სიახლეები და ინფორმაციისა და სამეცნიერო ცოდნის ნაკლებობას. თუ სრულად არ გავითვალისწინებთ ცივილიზაციის მახასიათებლებს, ნიშან-თვისებებს, ჩვევებს და ტრადიციებს და თითოეული ერის მენტალიტეტს, ძალიან ძნელი იქნება აქ დემოკრატიის დამკვიდრება.

თავის უკანასკნელ წიგნში პანთინგტონი აღფრხნილ სამყაროში გაჩაღებული კონფლიქტების ძირითად მიზეზად "ცივილიზაციების დაპირისპირებას" ასახელებს. თუმცა, ჩემი აზრით, პრაქტიკულად ყველა არსებულ კონფლიქტს სწორედ ძალზე სერიოზულ ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორებებს უკავშირდება და ინვესტ განხეთქილებას



მართი სთარესი ამომრჩევლებია გარემოცვაში

როგორც ქვეყნებს, რეგიონებსა თუ კონტინენტებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილებს შორის.

მსოფლიოს უდიდეს ნაწილში კეითილდელობისა და მოხმარების დონე უკიდურესად დაბალია, ხოლო განსხვავება მდიდრსა და ღარიბს შორის - საგანგაშოდ მაღალი. ამაზე უფრო შემაფოთებელია ის, რომ ეს დაპირისპირება ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო გამოკვეთილი ხდება, განსაკუთრებით, ახალი ტექნოლოგიების, ცოდნისა და ინფორმაციის (თანამედროვე სამყაროს ძალაუფლების რეალური წყაროს) განსხვავებული ხელმისაწვდომობის წყალობით. ეს უფსკრული ისეთივე "სამარცხვინო კედელს" წარმოადგენს, როგორც წინათ "ბერლინის კედელი" იყო. ის გამოყოფს მდიდრს ღარიბისგან, სამუშაოს მოძუნეს - უმუშევრისგან და ადამიანებს, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ განათლებაზე მათგან, ვინც უიმედოდ არის განწირული ინტელექტუალური განუვითარებლობისათვის. ეს უფსკრული იქცევა მრავალგვარი კონფლიქტების, დანაშაულებრიობის ზრდის, ძალადობის, ნარკომანიის გავრცელების, პატიმართა რაოდენობის მატების, სოციალური მარგინალიზებისა და თუნდაც იმ დაუცველობის შეგრძნების წყაროდ, რომელსაც მოსახლეობის შეძლებელი ნაწილი განიცდის პოლიტიკურ საზოგადოებებში. ჩემი აზრით, სასწრაფოდ გვესაჭიროება სიღარიბის დასაძლევად სპეციალური პროგრამების შემუშავება, რასაც ყოველთვის უსევამს ხაზს პაბი იოანე პაველი II. თუ იარსებებს პოლიტიკური ნება, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციების (განსაკუთრებით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების) ხელთ არსებული რესურსების გამოყენება უფრო რაციონალურად მოხდება, მეცნიერება და ტექნოლოგია უეჭველად დაგვეხმარება ასეთი პროგრამების შექმნაში.

**გლობალური ასპექტი**

ჩვენ მზარდი გლობალიზაციის ექოქსიმ ცხოვრობთ, არა მარტო ეკონომიკური სისტემების თვალსაზრისით, არამედ ასევე ცოდნისა და ინფორმაციის მხრივ. დღეს პრობლემები, რომლებიც დემოკრატიას უკავშირდება, გლობალურ მნიშვნელობას იქნის და ამდენად მათი იგნორირება დაუმგებელი ხდება. ცალკეულ სახელმწიფოთა ძალაუფლება სუსტდება ახალი ტრანსნაციონალური სტრუქტურების სიძლიერესთან შედარებით - როგორცია მრავალეროვნული კორპორაციები, გლობალური საინფორმაციო ჯგუფები და დღევანდელი დინამიკური და მობილური ფინანსური კაპიტალიზმი, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი საერთაშორისო კონტროლისგან და მხოლოდ ფორმალურად თუ უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ ერს. ეს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, გაერო-თანაბელი ერები და მისი სპეციალიზირებული წარმომადგენლობები), ისევე როგორც რეგიონული ორგანიზაციების (მაგალითად, ევროგაერთიანება და მეგრკოსური) შინაარსის, ძალაუფლებისა და რესურსების გადასინჯვას მოითხოვს მათი დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგებისა და მისაბლოების მიზნით.

მსოფლიოს ეკონომიკური სისტემების გლობალიზაცია და იმ ძირითად ამოცანათა არსი, რომლებიც დღეს მთელს პლანეტას წინაშე დგას - მაგალითად, ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება, დანაშაულებრიობასა და ტერორიზმთან ბრძოლა, განვითარების დაბალი დონე და ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ - გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა გარკვეული სახის გლობალური მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბება. ძირითადი ძალაუფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელში

უნდა იყოს და არა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების არაფორმალური საბჭოსი, როგორცაა, მაგალითად G7.

ამავე დროს, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური რევოლუციები, და, განსაკუთრებით, ინტერნეტის ფართომასშტაბიანი გამოყენება, აყალიბებს იმას, რასაც შეიძლება გლობალური საზოგადოებრივი აზრის სანყისი ვეოდოს. უნივერსალური ხდება არა მარტო ტრადიციები, მოდა, კომერციული დანიშნულების პროდუქცია ან მუსიკა. უნივერსალურ ხასიათს იქნს ასევე ინდუსტრიული პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც მსოფლიოს, როგორც საერთო სახლის, თითოეულ მოქალაქეს გლობალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის დროს ეკისრება.

შეგრძნება იმისა, რომ ჩვენ ერთი მთლიანის ნაწილს წარმოვადგენთ, ფართოდ იკიდებს ფეხს ევროგაერთიანების ფარგლებში. 1999 წლის იანვარში ვერო საერთო ვალუტად იქცა მხოლოდ 15 წერილ სახელმწიფოსათვის. თუმცა, იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებმაც თავი შეიკავეს ვეროს დაუყოვნებლივ მიღებისაგან, ის უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს ევროგაერთიანებაში რეალური ინტეგრაციისაკენ. იგი მოითხოვს ქვეყნოვრულ ინსტიტუციურ რეფორმას ეროვნულ დონეზე, რომელიც ახალი უფლებამოსილებით აღჭურავს ევროპარლამენტსა და ევროკომისიას და, ამავე დროს, გარკვეულწილად შეზღუდავს თითოეული წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტ ძალაუფლების (ევროგაერთიანებაში ახალი წევრების მიღება შეუძლებელი იქნება ამ პროცესის დასრულებამდე). Status quo-ს ეს ცვლდება ლოკალურად მოითხოვს ვეროპის მოქალაქეობას და მხოლოდ ფორმალურად თუ უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ ერს. ეს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, გაერო-თანაბელი ერები და მისი სპეციალიზირებული წარმომადგენლობები), ისევე როგორც რეგიონული ორგანიზაციების (მაგალითად, ევროგაერთიანება და მეგრკოსური) შინაარსის, ძალაუფლებისა და რესურსების გადასინჯვას მოითხოვს მათი დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგებისა და მისაბლოების მიზნით.

მე გახლავართ პრეზიდენტი ევროპის მოძრაობისა, რომელიც 50 წლის წინ, პაავის კონგრესზე დაარსდა და რომლის მიზანსაც ვეროპაში შეზღობის შენარჩუნება, კოპიერაცია და სოლიდარობის მხარდაჭერა და დანაწევრებული კონტინენტის აღდგენა წარმოადგენდა. დარწმუნებული ვარ, რომ ევროგაერთიანება რეგიონალური ორგანიზაციის საწყისი მოდელია, რომელიც თავის სუფთად და ღია საზოგადოებებსა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ღირებულებებზე, მათ შორის მონაწილეობისა და სოლიდარობის პრინციპებზე, დაყრდნობით იქნება. აქტიური და ქმედუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიისათვის იმდენადვე მნიშვნელოვანია, როგორც დემოკრატიულ კონტ-

როლს დაქვემდებარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ თავს შეეცავენდი ნებისმიერი წინასწარმეტყველებისაგან, იმედი მაქვს, რომ მომავალ ათწლეულებში სამოქალაქო საზოგადოება (და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ასახვენ მის პოზიციას) მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარებაში და თანდათანობით სულ უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობის გზით ეკონომიკური სამოქალაქო მართლებრძმენის ჩამოყალიბებაზე. ამდენად, მევერა, რომ სამოქალაქო საზოგადოება იქნება გლობალიზაციის აუცილებელი გამაწინაწარმებელი ძალა და სწორედ ეს მაძღვეს იმედის საფუძველს იმ არასტაბილური მდგომარეობის მიუხედავად, რომელმაც გასული საუკუნის დასაბრულიდან დაიწიადგურა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ მივუბრუნდები საკითხს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიზანჩნია დემოკრატიის განვითარებისათვის მომავალ ათწლეულებში; შეეცხები იმ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უთანასწორობას, რომელიც გამოიწვევს ადამიანებს ერთი ერის ფარგლებში და ასევე სხვადასხვა ქვეყნების დაპირისპირების მიზეზიც ხდება. უთანასწორობა და უსამართლობა ადამიანებს ხშირად გულგრილად და ინდიფერენტულად განაწყობს დემოკრატიის ფორმალური (თუმცა, ყოველთვის მნიშვნელოვანი) ნესების მიმართ. თავისუფლება, როგორც დემოკრატია ამბობდეს, ვერ დააბრუნებს შვიგის და ვერც სოციალურ და კულტურულ მოთხოვნებს დატკაყოფილბა. ეს მართალია. მაგრამ მართალია ისიც, რომ დემოკრატიის მონაწილმდგებელი არსებული უსამართლობების მაგალითზე მთელი სისტემისა და იმ პოლიტიკოსების დისკრედიტაციას ცდილობენ, რომლებიც ამ სისტემის ექსპლოატორიან. უკანასკნელ წლებში ჩვენ თავად გავხდით თვითმხილველები მასმედის მთელი რიგი ნაშოწყებებისა, რომლებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. მათზე თავლის დახეუჭვა არ შეიძლება. სწორედ ამიტომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დემოკრატია მხოლოდ პოლიტიკური კია არა, არამედ ასევე სოციალ-ეკონომიკური და კულტურული სისტემაცაა, რომელიც უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში სულ უფრო ვითარდება და იხვეწება. როგორც წყობილებამ, რომლისთვისაც ყოველი მოქალაქე თანასწორია, დემოკრატიამ ყურადღება სოციალურ სამართლიანობაზე უნდა გადაიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავს თავისი სამართლებრივი ძალისა და არის უმთავრეს ნაწილს.

**ქართული ადვოკატურის ისტორიიდან**

**შალვა მესხიშვილი 1882-1960**



შალვა მესხიშვილი, დამოკიდებული საქართველოს იუსტიციის პირველი მინისტრი

ველთავის პოულობდა საჭირო გამამართლებელ მოტივებს. 1911 წელს შ. მესხიშვილი შედის სოც. ფედერალისტების პარტიაში, რომელმაც იგი შემდგომში აირჩია ქ. თბილისის თვითმმართველობის ხმოსანად. შალვა მესხიშვილს მრავალ სასამართლო პროცესში მოუღია მონაწილეობა, მაგრამ მისი, როგორც ნაფიქრული მოღვაწეობის პირველი პერიოდი, ძირითადად, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით აღიწინება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მესხიშვილმა, როგორც პოლიტიკურ საქმიოთა საუკეთესო დამცველმა, უდასნი ხიჭით აღწევდა სასურველ შედეგს. ბრალდებულთა მოქმედების გასამართლებლად, რომელიც მათი მაღალი, ჰუმანური და დემოკრატიული მიზნარეუბების შედეგი იყო, მესხიშვილი ყო-

უგრძნობდნენ, არამედ ებრძოდნენ კიდევ. კერძოდ, მხედვრებაში გვაქვს ბოლშევიკური პარტია, რომლის არაერთი წარმომადგენელი ყოფილა შალვა მესხიშვილის დაცვის ქვეშ. 1915 წელს შ. მესხიშვილი მივიღინებულ იქნა ქ. მოსკოვში. ქალაქთა წარმომადგენლობის ყრილობაზე, სადაც მან მგზვნებარე სიტყვა წარმოთქვა და გაილაშქრა იმპერიალისტური იმის წინააღმდეგ. შალვას სიტყვა "რუსკოე სოლოვ" დასაბუქდად მოახდა, მაგრამ იგი ვერ დაბუქდა. გაზეთში დაიბუქდა მხოლოდ სათაურ "მესხიშვილის სიტყვა". სათაურის ქვეშ დატოვებული იყო ცარიული ადგილი, რომელიც ამ სიტყვას უნდა ეკავებინა და რომელიც ცენზურამ არ გაუშვა. გაზეთის ნომერი სტამბიდან ამ სახით გამოვიდა, რამაც მკითხ-

ველთა სამართლიანი უქმაყოფილება გამოიწვია.

1914-1915 წლებში აღიძრა რიგი საქმეებისა ბათუმის ოლქის ართვინის მხარის მცხოვრებთა: ფუტე-ბუკ ათაბეგოვის და სხვათა ბრალდების გამო 76 კაცზე, ყარსის ოლქის არდაგანის მხარის მცხოვრებთა: აზიზ მამედ-ოღლის, ასლან ჯიბო-ოღლის და სხვათა ბრალდების გამო 26 კაცზე და რამდეწიმე ანალფოგიური საქმე ბათუმის ოლქის მცხოვრებთა აჭაროების მიმართ, რომელთა ინტერესებს, შალვა მესხიშვილთან ერთად, ოსიკო ბარათაშვილი და პარმენ გვედვანიშვილი იცავდნენ.

აღნიშნული საქმეები აღიძრა კავკასიის არმიის მთავარბატონის განკარგულების და განხილულ იქნა მოქმედი არმიის სამხედრო სასამართლოების მიერ (მიხაილოვის ციხის სამხედრო სასამართლო, თურქესტანის არმიის II კორპუსის სამხედრო სასამართლოს და სხვ.), რადგან მათი "განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო" საერთო სასამართლო ქვემდებარეობდა ამოღებულ იქნენ. სასამართლოში მიცემული სამშობლოს ღალატე ედებოდათ ბრალად. 1914 წლის შემოდგომაზე და 1915 წლის ჯანვარზე, როდესაც თურქეთის ფარების შემოტევის შედეგად რუსეთის ჯარი იძულებული გახდა დაეტოვებინა ყარსისა და ბათუმის ოლქების ზოგიერთი მხარეები, მოსახლეობის ნაწილი შეუერდა ჩეჩენიკებს და იარაღით ხელში ეწეოდა ბრძოლას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. სამართალი მიცემული პირები ეწვედნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვას და, განსაკუთრებით, რუსი, სომეხი და ბერძენი მოსახლეობის დარბევას.

სასამართლო პროცესებზე გაიყვია, რომ ძირითადი მასა უსაფუძვლოდ იყო პასუხისცემაში მიცემული, ხოლო ნაწილს დანაშაული, მარცვად, ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ არა იმ პოლიტიკური მიზანრისათვის, რასაც სავაშიშვებო ხელისუფალნი ცდილობდნენ მიენრათ მათთვის.

ყველა ეს პროცესი უჩვეული ვითარებაში მიმდინარეობდა, რადგან ბრალდებულთა სჭარბე მეტად ართულება კონკრეტული გარემოებების დადგენა. გარდა ამისა, ამაჰმადიანთა და გამაჰმადიანებულ აჭაროელი გვარების მამის სახელით აღნიშვნის შედეგად, - ერთი და

იგივე სახელისა და გვარის მქონე ბრალდებული ზოგჯერ რამდენიმე ათეული იყო და, როგორც სასამართლოს შემადგენლობას, ისევე დაცვას ერიოდა, თუ ვინ რისი ჩამდნი იყო. ზოგჯერ მომწმეტი და ბრალდებულები ერთმანეთში ირიოდნენ და დიდი გაუფებრობა იქმეზოდა. ბოლოს, დაცვის წინადადებით, ბრალდებულები დაყვეს სოფლების მიხედვით, და ამ წესით შესესლეს კონკრეტული პიროვნებების განსაზღვრა.

ბოლშევიკური ფრაქცია შალვა მესხიშვილს, როგორც ადვოკატს, ნდობით ეპყრობოდა. ამას ადასტურებს საქმეები ცნობილი რევოლუციონერის ტერ-პეტროსიანის (კამოს) მიმართ 1916-1917 წლებში. შალვა მესხიშვილს კამოს ორ საქმეში აქვს მიღებული მონაწილეობა.

პირველად შალვამ მონაწილეობა მიიღო სასამართლო პროცესში კამოს ფიციატორიული სავადმყოფოდან გაქცევის საქმეში, რომელიც კ. ცინცაძემ და კამოს დეგმა ჯავაირა ზუტელაშვილმა და არუსიკა პეტროსიანმა, მოაწყვეს, სავადმყოფოს თანაშრომლის, პრაკინის, დაზმარებით. ბრავინი, ცინცაძე და კამოს დები სამართალიში მიეცნენ: საქმე ამირეჯივისათვის სასამართლო პალატამ განიხილა. შალვა იცავდა კამოს დებს. დაცვა მხოლოდ გაემართლებინათ ბრალდებულები, მაგრამ სასამართლომ ყველანი დასაჯა: გასამიერების შემდეგ, სენატმა ჯავაირა და არუსიკა, იმ საფუძველზე, რომ მათ ნათესაური გრძნობა ამოქმედებდა და არა პოლიტიკური, ისინი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

მეორე საქმე, რომელიც შალვამ მონაწილეობა მიიღო, განიხილა სამხედრო სასამართლომ. სამართალიში, თვით კამო, ლ. ჰუმრაშვილი, მათიამიელი და სხვები იყვნენ მიცემული, რომლებმაც კოვრის ქუჩაზე ექსპროზიონატი გაუქმეს ფოსტას და დიდი არაოდენობის თანხა გრტაცეს, პარტიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას სამხედრო ქუჩაზე ჰქონდა კონსპირაციული ბინა და, სხვებთან ერთად, პასუხისცემაში მიცემული იყო ბინის პატრონი ნინო მაისურაძე, რომელსაც მესხიშვილი იცავდა.





ჰომერი, მარტი, ბარტი, ლისა და მები ახალ სეზონს იწყებენ

"როგორ შეიძლება ტელევიზია არ გიყვარდეთ, როდესაც მან იმდენი გააკეთა ჩვენი აღზრდისათვის" ბარტ სიმსონი

ინა ბაჰაჩიძე

გიყურებთ თუ იხსენებთ სიმსონების თვის? თუ არა, გირჩევთ გამოინახოთ ნახევარი საათი დრო და დატყუებთ ამერიკის ბოლო ათწლეულის საუკეთესო შოუთ.

3 ნოემბერს FOX-ის ქსელი საღამოს რვა საათზე "სიმსონების" მე-14 სეზონს იწყებს პელოუნიხადმი მიძღვნილი სერიით. ჩრდილოეთ ამერიკელ მაყურებელთა დიდი ნაწილი მიუხედავად ტელევიზორების და კიდევ ერთხელ გაკვირვებული დარჩება შოუს შემქმნელის უსაზღვრო ფანტაზიით.

"სიმსონები" 90-იანი წლების სიმბოლოდ იქცნენ. ბარტისა და ჰომერის თავდადასაღვლებს მთელი ამერიკა იცნობს. შოუს პირველი სერია 1989 წლის დეკემბერში გავიდა. მოგვხსენებათ რომ შობის წინ მთელი ამერიკა შოპინგით არის დაკავებული. მთელი ეკონომიკა დეკემბერს ელოდება, რომ წლის განმავლობაში შენელებული ტემპი აინაზღაუროს. ზუსტად შოპინგომანია იყო "სიმსონების" პირველი სერიის თემა. საცოდავ მარჯს დაზოგილი ფულის დაბარჯვა ბარტის სეირინგის მოსაშორებლად მოუხდება. ჰომერსაც სამსახურიდან არაფერი ელის და იძულებული გახდება, სანტა კლასად იმუშაოს, რომ ოჯახისთვის საშობაო საჩუქრები შეიძინოს. რა თქმა უნდა, იგი ვერსაძებს დააგროვებს თანხას და შინ მხოლოდ შემთხვევით ნაპოვნ ძალს მიიყვანს, რომელსაც "სანტას პაპი" დაამმარეს" დაარქმევნა.

ანიმაციის ფრაიმ თაიმზე გაშვება დიდი გადატრიალება იყო ტელევიზიის ისტორიაში. შოუს შემქმნელი დე პროდუსერი, მეთ გროუნინგი მანამდე ცნობილი იყო თავისი კომიქსების სერიებით. მეთი სცენარებზე წერდა და "სიმსონებამდე" "ემის" ჟილდით დაჯილდოვებულია. მეთი ისხენებს, რომ ბავშვობაში იტაცებდა ტელევიზიას და როდესაც 1964 წლის შობას მგენითოვნი აჩუქეს, მან უბედნიერეს ადამიანად მიიჩნია თავი. მას მერე დაიწყო საკუთარი შოუების დადგმა და მუსიკის შერჩევა. ძირითადად სატელევიზიო მელოდებს იყენებდა. შემდეგ თავის ორ დას ლისას და მეგის ასმენინებდა და აყურებინებდა თავის შემოქმედებას. "სიმსონები" ფრიად ავტობიოგრაფიული შოუ არის მეთისთვის. "სიმსონების" მუსიკალური შესავლის საწინდარი სწორედ ბავშვობაში ნანვალები და ნაფიქრი მუსიკალური მელოდები იყო. მან ზუსტად იცოდა, რომ მათი ჰომინი დიდ ორკესტრს უნდა შესრულებინა. როდესაც იგი დენი ელფმანს შეხვდა და აუხსნა, თან რამდენიმე კასეტა მისცა იმის საჩვენებლად, თუ როგორი საკმაზის მელოდია უნდოდა მას. ელფმანმა მშვენიერად გაუგო. ერთი თვის თავზე დიდი ორკესტრის შესრულებით ჩაიწერა ის მუსიკა, რომელიც ყოველი სერიის დასაწყისში უღერს.

FOX-ის ქსელის პროდუსერები ძალიან ფრთხილად და ეჭვით უსმენდნენ ამგვარად ყველასათვის კარგად ცნობილი მელოდია. დიდი აღფრთოვანება მხოლოდ "სიმსონების" იმდროინდელმა პროდუსერმა, ჯეიმს ბრუკსმა, გამოთქვა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მუსიკა არ ქმნის "სიმსონებს". სად შეიძლება კიდევ მოისმინოთ ასეთი ხუმრობები? როდესაც ბაბუა სიმსონის ჰკითხეს, როგორ ფეკრობს, რატომ ლეულობდა იგი ფულს არაფრისთვის, მან უპასუხა, რომ მისი აზრით, დემოკრატები დაბრუნდნენ ოფისში. ანდა ზოპარკის მუშას როცა ჰკითხეს, ხომ არ აპირებდა ორანგუტანგებში ჩაუარდნილი წედ ფლენდერსის გადარჩენას, მან უპასუხა, რომ დიდი სურვილით დაეხმარებოდა მას, მაგრამ თუ ორანგუტანგები არ მოკლავდნენ მათი ტერიტორიის დამღრვევს, ეს ძალიან ცუდ გააღვენას მოახდენდა მათ საზოგადოებაზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მაყურებლისთვის შეიძლება რთული გასაგები იყოს ყველა ნიუანსი. "სიმსონები" ძირითადად ამერიკისა და კანადის ყოველდღიურ ცხოვრებას აღწერენ. მაგალითად, ბერის ამერიკელის წარმოდგენაში კანადა არის ევლური ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ტყეში ცხოვრობს და დათევზებ ნადირობს. ანდა, კანადის ერთ-ერთი პროვინცია სასაკმეანო, სადაც ძირითადად პურის ფერმეობა, დიდი ხუმრობის საგანია მთელი ამერიკისთვის. სასაკმეანო ყველაზე მოსახყენ, პროვინციულ, ჩვენებურად "სოფლებების" ადგილის სიმბოლოდ არის ქვეული. ამას "სიმსონების" შემქმნელები ხშირად იყენებენ და ჩრდილოეთის მეზობლებს წერილ-წერილ ნემსებს უსობენ სხვადასხვა ადგილებში.

ანდა, იგივე, დემოკრატების ოფისში დაბრუნებაზე თუ მიდვა საუბარი; ცნობილია, რომ დემოკრატები უფრო ლიბერალური ცხოვრების წესს ქადაგებენ და ამიტომ, მათი თეთრ სახლში ყოფნის დროს სოციალურად დაუცველი ფენა უფრო მეტ დახმარებას ღებულობს.

მუხებდავად ამ წერილი ნიუანსებისა, მაინც საინტერესო და გასაგები უნდა იყოს ძირითადი იდეა. არა მგონია ვინმე გულგრილი დარჩეს სერიისადმი, სადაც მეგი სიმსონი თავის პირველ

სიტყვას წარმოთქვამს. ეს სერია ეთერში რომ გადაიბდა, კვირას საღამოს ამერიკის ქალაქების ქუჩები ცარიელი იყო. მთელი მოსახლეობა ტელევიზორის ეკრანს იყო მიმჩრებული. გახსოვთ თბილისში "მარიანა" რომ გადიოდა, აი ზუსტად იგივე მოხდა ამერიკაში.

იმ დღეს ამ სერიამ რეკორდული რაოდენობის მაყურებელი შემოიკრიბა და მხოლოდ M\*A\*S\*H-ის (კომიკური შოუ, რომელმაც თავისი არსებობა 80-იან წლებში შეწყვიტა) ბოლო სერია დაიტოვა წინ. თუ არ გაქვთ ნანახი, გეტყვით, რომ მეგის პირველი სიტყვა იყო "მამიკო". სერის ბოლოს ლოგინში დაწოლილ მეგის ჰომერი ადგას თავზე და ეუბნება, ძალიან მინდა, რომ სხვებით ჰომერი კი არა მამიკო დამიხახო. ოთახიდან რომ გავა, მეგი პირიდან ამოიღებ მანოვარას და ჩუმად იტყვის "მამიკო".

ცამეტი წლის განმავლობაში "სიმსონების" 270 სერია გადაიღეს. სეზონი შემოდგომაზე იწყება ხოლმე და მასის ბოლომდე გრძელდება. FOX-ის ქსელი არის შოუს მფლობელი. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სერიის ჩვენების უფლება მხოლოდ მას გააჩნია. ზემოთაც აღინიშნა, რომ შოუ კვირაობით გადასაშობის რვა საათზე. ზაფხულობით, კი განხორციელებული იქნება სეზონის სერიებს. გარდა ამისა, თითქმის ყველა არსს აქვს შესყიდული ძველი სერიების ჩვენების უფლება. ასე რომ, "სიმსონების" მოყვარულები არ იზარებიან და ყოველდღე ტკეპიან ჰომერის ყურებით.

ცამეტი წლის განმავლობაში "სიმსონებს" ერთიდაიგივე მსახიობები ახმოვანებენ. საინტერესოა, ის რომ თითო მსახიობი რამდენიმე პერსონაჟს ხმას წარმოადგენს. მაგალითად, დენ კასტელენეტა არის ჰომერის, ბაბუა სიმსონის, კრასტი ჯამბაზის, ბარის, იმის (თავის), მერის ქუიმბის, უილის და სხვების ხმა. დული ქვენერი მარჯის, სელმას, ბებია ბუევისა და ფეთის გამხმოვანებელია. დაუფიყარ ბარტს ქალი მსახიობი ნენსი ქართურაითი ახმოვანებს. ბარტთან ერთად იგი ნელსონს, როდ & თოდ ფლენდერს და კიდევ რამდენიმე პერსონაჟს წარმოადგენს. პენკ აზარია არის მოს, აპუს, პოლიციის შუფის და სხვების გამხმოვანებელი. პარი შირერი მონტგომერი ბერნს, სმიზერს, სკოლის დირექტორს, ოტოს (ავტობუსის მძღოლს) სერქის (კატას), ლენის, მღვდელ ლოველის უდგამს სუფს. ლისას იარღლი სმითი ახლოვანებს.

მუდმივი მსახიობების გარდა, "სიმსონების" ტრადიციაა ცნობილი ვარსკვლავების სტუმრად მოწვევა. სტუმრების ორ კატეგორიად დაყოფა შეიძლება. პირველები გამოგონილ გმირებს ახმოვანებ, მეორეები კი თავისი თავის როლით გამოდიან. მაგალითად, დენი დე ვიტო ჰომერის ნახევარი ძმის ერბ ფოუელის ხმა იყო. ეს ნახევარი ძმა ძალიან მდიდარი პიროვნება გახლდათ, რომელიც ჰომერმა დალაპა და გააკოტრა. თუმცა რამდენიმე სეზონის შემდეგ გადაღებულ სერიაში მეგი დააბრუნებინებს დაკარგულ ქონებას.


საინტერესოა მაიკლ ჯექსონის "სიმსონებში" მონაწილეობის ამბავი. იგი ახმოვანებს ფსიქიურად დაავადებული საოცრად გასუქებულ თეთრი კაცის პერსონაჟს, რომელიც თავს მაიკლ ჯექსონად ასაღებს. სინამდვილეში კი უბრალო მშენებელია. ბოლოს იგი ბარტს გამოუტყვებდა, რომ ჯექსონი არ არის, მაგრამ მაინც დაეხმარება მას. დაანერინებს სიმღერას ლისაზე, რომელიც მანამდე ძმაზე ძალიან ნანწყენ იყო, რადგან ბარტმა დაბადების დღეზე არაფერი აჩუქა. ამ სიმღერით ბარტს ლისას გულს მოიგებს.

სხვადასხვა დროს საკუთარი თავის როლით "სიმსონებში" მონაწილეობა მიიღეს: ტონი ბენეტმა, ლარი კინგმა, რინგო სტარმა, მეჯიკ ჯინსონმა, "აეროსმიტმა", სტინგმა, ბეთ მიდლერმა, "რედ ჰოთ ჩილი პეპერსმა", მერილ სტრიპმა, პოლ და ლინდა მაკარტნებმა, ჯორჯ პარისონმა, ბრუკ მილდემმა, გილიან ადერსონმა და დევიდ ლუხოვნიმ ("საიდუმლო ფაილები"), ქეთლინ ტერნერმა, პიუ ჰენდერსონმა, ელტონ ჯონსმა, მენდ ებზონმა, ბრიტნი სპირსმა და უამრავ სხვამ.

მეგი სიმსონის პირველი სიტყვის გასახმოვანებლად ლიზ ტელიორი იყო მიწვეული.

ამის გარდა, "სიმსონებში" ისტორიულ პირებსაც მიაღებინეს მონაწილეობა თავის შოუში. ბობ დოულისა და ბილ ქლინტონის საარჩევნო კომპანიის დროს გამოვიდა სერია, რომელიც მაყურებელს ამცნობდა, რომ ორივე კანდიდატი სინამდვილეში უცხოაზნატელი კენც და კოფოხი არიან.

მეშვიდე სეზონის ერთ-ერთ სერიაში სპრინგფილდში სიმსონების მეზობლად დასახლებული ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მამა. მას და ჰომერს ბარტის გამო კონფლიქტი მოუვათ. თავის მხრივ განადგურებენ ბუშის მეზურებს და ამის გამო გაიტყუებენ ყოფილი პრეზიდენტის მიერ. ამ კონფლიქტის შემდეგ ბარბარა და ჯორჯი გადაწყვეტენ, რომ სპრინგფილდი არ არის ის ქალაქი, სადაც მათ დაედგომებათ და სხვაგან გადასახლდებიან. მათ სახლში ისევ ყოფილი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი დასახ-



ბარტ სიმსონი



ჰომერი და ბარტი

ლებდა, რომელთადაც ჰომერს მშვენიერი სამეზობლო ურთიერთობა დაუმყარდება.

"სიმსონების" გამგზავრება ავსტრალიაში მილიანად ამერიკის სისტემის კრიტიკაა. ჯერ იმაზეა ლაპარაკი, რომ ბარტი უნდა გაინკეპლოს ისე, როგორც ამერიკელი ბიჭი განკეპლეს სინგაპურში. მერე პანჭური უნდა ამოატყან, მაგრამ არც ამას ანებებს ამაცი ათი წლის ამერიკელი. ამის გამო ავსტრალიელები შეანგრევენ საელჩოს კარს და სიმსონების შეპყრობა სნადიათ. განთქმულ ოჯახს საელჩოს სახურავიდან გააქცევნ ვერტმფრენით. ზუსტად ისე, როგორც ამერიკელები გამობოძნენ ვიეტნამიდან. "სიმსონებში" ცნობილი დოკუმენტური კადრები ანიმაციური ვარიანტია წარმოდგენილი. და ბოლოს ბარტის წყალობით ხდება მთელი ავსტრალიის ფაქტობრივი განადგურება, რადგან იგი თა-


ვის ბაყაცს ჩაიყვანს იქ. მოგვხსენებათ, ავსტრალიაში ბაყაცები არ არსებობენ და ბუნებრივი მტერი არ ჰყავს ამ ამფიბიას. მილიონობით გამრავლებული ბაყაცები ეროვნულ ზარალს აყენებენ ავსტრალიას.

უნდა აღინიშნოს, რომ გვარი სიმსონები და ქალაქის სახელი სპრინგფილდი შემთხვევით არ არის შერჩეული. ამერიკაში რამდენიმე მილიონი ადამიანი ამ გვარის წარმომადგენელი. მარტო ო. ჯეი სიმსონი რად ლისა. ამიტომ ინტერნეტში თუ გადანყვიტავთ სიმსონების შესახებ მასალებს მოპოვებას, უნდა აკრიფოთ THE SIMPSONS. ასევე სპრინგფილდი ყოველი მეორე ქალაქის სახელია.

ასე რომ, "სიმსონების" ისტორია დიდად არ შორდება რეალობას. ბევრ ამერიკელს არ სურს აღიარება, მაგრამ ფაქტია, რომ "სიმსონები" რიგითი ამერიკელები ყოველდღიურ ცხოვრებას ასახვენ.



X-სიმსონები



სიმსონების ოჯახი



**სპატი-სპატი**

**უკმაყოფილო ქეთათოს აბჯავი**

ლამა ბუღაძე

**ქეთათო. დედა. მამა.**

ქეთათო. (უკმაყოფილოდ ამოი-სუნთქავს) უფ... ალ ვიცი ლა პილდა-პილდა...

**დედა.** რა მოხდა, ქეთათო, რატო იხრავ?

ქეთათო. ლა და ველად გავიგე, მალთლა აღიან ეს ველეთ ნოდებელი ცეცენი ბოვიკები პანკისში, თუ ალა? ანუ მალთალს ამბობს ლუსეთი, თუ ტყუის?

**დედა-მამა ერთმანეთს გადაბე-დაეს.** ორივეს დაბნეული სახე აქვს.

**დედა.** რა თქმა უნდა, ტყუის, დე-და. რა უნდათ ბოვიკებს პანკისში! და, საერთოდ, საიდან გიჩნდება თავ-ში... მეტსაც გეტყვი - მაც პანანინა თავში - ასეთი უცნაური შეკითხვები!

ქეთათო. (დარღინად ამოიუნთ-ქავს) უფ, მეც ალ ვიცი, ლა...

**დედა.** მოდი, დედი, ახლა მანონი დავლით და დავნეთ, კარგი?

ქეთათო. ...ლოგოლც გინდა.

გავა თუ არა დედა ოთხბიად, მამა ქეთათოს მიუბრუნდება:

**მამა.** (ჩურჩულით) გატყუებს, მა-მა, დედაშენი. საგვია, მამიკო, პანკისი ბოვიკებით... საგსე! არ ტყუის, მამა, რუსეთი.

ქეთათო. (ისტერიულად) ლაა?!  
**მამა.** ...ხოდა შორეს ახლა ამაზე ლაპარაკი. (სახზე გაწვთის აიფარებს) შემოდის დედა მაწენის ქლით



ხელში (და, ალბათ, ვიქითაც) დედა. ქეთათო - მანონი!

მატყუალა შენა! დედა. რას შერეები, ქეთათო! გავა-რიოე?..

ქეთათო. აკი ალ აღიანო პანკისში

ფარდა

**მინიატურები**

**მანიწი**

იმ დამეს არავის ეძინა.  
არ ეძინა მომავალ მამას, არ ეძინა მომავალ დედას, თქვენ წარმოიდგი-ნეთ არც მეზობლებს ეძინათ და რაღა თქმა უნდა არ ეძინა მას, ვინც ის-ის იყო უნდა მოვლენოდა ქვეყანას.

იმ დამეს ყველა მათგანის ცხოვრებაში მეტ-ნაკლები გარდატეხა უნდა მომხდარიყო და რაღაც ახლის მოლოდინში თითოეულის თავი ფიქრს გავე-სო. ზოგიერთის თავს ვერ დაეტია ეს ფიქრი და იმაში გადაზრდილიყო, რა-საც ხმამაღლა აზროვნებას უწუნდებო ხოლმე, ხოლო ვისაც მოსახურე ჰყავდა, მათთვის დიალოგში.

მოდი მივყვით მათ ფიქრებს, თუ თქვენი ნებართვაც იქნება ჩემო მკითხველი მამ ასე დავიწყეთ მაისისაგან;  
მომავალი მამა:

- მე მეყოლება შვილი! ჩემი შვილი! ნამდვილად ბიჭი იქნება. იქნება? გინდაც არ იყოს. არა, არა ბიჭი იქ-ნება. გულით, სისხლით ვგრძნობ. ის ყველაზე ძლიერი და მამაცი იქ-ნება ამ არემარეში. რამე ნაკლით რომ დაიბადოს? არა, არა რა სისუ-ლელუა რატომ უნდა დაიბადოს ნაკლით.

- ო, როდის, როდის, როდის მო-ვა ის დრო, როცა მე მამა გავხდები, როდის დადგება ის ნამი, როცა მე შვილი მეყოლება.

მომავალი დედა:

- ამბობენ ძალიან მტკივნეუ-ლიაო, ნეტა მართლა ასეა? მემიზნა.  
- მაგრამ არა უშავს, ჩემი შვილი ხომ ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და მომხიბვლელი იქნება ამ ქვეყანაზე.

- ა, აი მგონი უკვე დამწყობ, აა - ხმამაღლა წამოიყვარა მომავალმა დედამ - მიშველო, აა...  
მეზობლები:

მარჯვენა მეზობლები:

- დედა როგორ ენერვიულობ.

- შენ რა გაქ სანერვიული, შენ შობიარობ თუ?

- მეცოდება ის გოგო, ბავშვია სულ.

- რა აქვს იმ გოგოს საცოდავი, მაგია ქალის მოვალეობა.

- თქვენ რა გენადლებოთ, კაცებს, ყველაფერზე ქალებმა უნდა ვინავალით.

- ნეტა როგორი იქნება პატარა, მამამისს თუ დაემსგავსა ოხო-ხო-ხო-ხო...  
- რა, ცუდი კაცია მამამისი თუ?

- ოჰ, არა ბატონო, როგორ გკავადრებათ, თქვენი ძმაცაცი ცუდი როგორ იქნება. უიი, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა თუ ეგ ბავშვი მამამისს დაემსგავსა დაიტყვევა ოჯახი.

- გაჩუმიდი ქალი ერთი. გადაბრუნდი და დაიძინე.

მარცხენა მეზობლები (ბოლოდრო ხუცებს, დროდადრო ჩერდება და ხმამაღ-ლა ფიქრობს):

- აი ახლა, რამდენიმე საათში, არა რამდენიმე საათში კი არა, რამდენი-მე წუთში უდიდესი საოცრება მოხდება, დაიბადება ახალი სიცოცხლე. ერთ- ის არსება მეორეს გამოეყოფა და ავტონომიურ სიცოცხლეს იწყებს! ჭეშ-მარცხვად სასწაულია!! მაგრამ, ოჰ, საბრალო პატარა, შენი სიცოცხლის დასახსნის სიცოცხლის დასასრული იქნება შენივეს ჭეშმარიტად, რადგან ჩემის ღრმა რწმენით, ყველა არსება მხოლოდ დედის საშუაში ცხოვრობს, ხოლო შემდეგ მისთვის მუდმივი ნამება იწყება. ო, უბედურო პატარა, გი-სურეგებ მოკვდ დაიბადებისას.

უკანა მეზობლები:

- ჯერ იყო და თვითონ ხომ შეტამეს ქვეყანა, ახლა კიდევ პატარა ნაბიჭ-ვარს აჩენენ ყველა წესიერი ადამიანის გულის დასახეთქად. უუ, მკვად-რიმც დაბადებულხარ და მთელი ოჯახიზე უკან მოგაკოლია.

და აი დედაც ის წუთი, რომელსაც ყველა ასე ელოდა. სულ ცოტადც და... - მახინჯე დაიბადა - ჩურჩულმა შეტამა სიჩუმი.

მეზობლები:

უკანა მეზობლები:

- გამადლობთ უფალო, გამადლობთ ბუნების ძალავე. ხომ ჩაუწმინდათ ყველა წესიერი ადამიანის უბედურებაზე ამხენული ბედნიერება. ამ წუთის ვეღლი ამ წუთის. უჰ, როგორ მომეცა გულზე, ხომ დაგრჩაც ოხრად თქვე-ნი სიმღერები, გამადლობ უფალო.

მარცხენა მეზობლები:

- რაც იზამ პატარა, უნდა მოითმინო, ბედა ორმაგი ნამებისათვის გავწირა.

მარჯვენა მეზობლები:

- უი საწყალი, რა გეშველება ამ საცოდავს, როგორ უნდა იცოცხლოს ამ სამინელ ქვეყანაში.

- აბა აბა.

- უიი, რად უნდათ მის მოზობლებს თავი ცოცხალი ამის შემდეგ, უიი...  
- აბა აბა.

დედა:

- არა უშავს მაინც ჩემი შვილია, მაინც კი არა ის ჩემი ერთადერთი შვი-ლი იქნება. ის ამ ქვეყანაზე ყველაზე ჭკვიანი, სათნო და კეთილი იქნება.

მამა:

- რაღა მაინცდამაინც მე დამემართა, მაგრამ არაუშავს სხვა შვილებიც ხომ მეყოლება. საწყალს როგორ გაუჭირდება ცხოვრება, მაგრამ ეგ არა-ფერი, ჯერ ჩვენ და მერე და-ძმები დაენმარებიან.

თვითონ პატარა:

- რა სიცივე ყოფილა გართ. მე მახინჯები ვინაა არიან, ირგვლივ რომ ტრიალებენ, რამხელა ყოფილა გართა საყარო, რამხელა და რა სამინელი.

დაიბა, მოხდა სასწაული თხუწელების ოჯახში პატარა თვალბილული თხუწელა დაიბადა...

დედა:

- არა უშავს მაინც ჩემი შვილია, მაინც კი არა ის ჩემი ერთადერთი შვი-ლი იქნება. ის ამ ქვეყანაზე ყველაზე ჭკვიანი, სათნო და კეთილი იქნება.

**სტატუსკომო**

დღე ერბო კვერცხის შესანჯავად დადგმულ ტავას ჰგავდა, ცხელი იყო. მე ამ ცხელ დღეში განვაგრძობდი არსებობას, რომ უცერად ვარზე კა-ქუნი გაისმა, მე ავდექი და კარი გავაღე. ღია კარის პერპენდიკულარულად მიშველი მანდილოსანი იდგა. მე ყველაფერი მივხედი და ხელში ხურდა ფული ჩაუყარე, რომელც იქვე მარწლის ჯიბიდან ამოვიღე.

კარი დაეხურე, ჩემს საკამზე დაბრუნდი და განვაგრძე არსებობა. (ცხელიოდა. მე ჩართული უთო გამოვრეთ იმ იმედით, რომ ცოტა აგ-რილდებოდა, არ უშედეგა, რადგან დღი არ იყო. მაშინ გადავწყვიტე გა-რეთ გავსულიყავი. გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ავდექი და კარი მეორედ გავაღე. შიშველი მანდილოსანი ისევ იქ დამხვდა, იგი არ ტიროდა, მე გვერდი ავუარე და კიბეს ჩაწყვი. გართვას ვასვლისთანავე მივხედი, რომ ქვედი სახლში დამჩნა. ქუდის გარდა სახლში დამჩნა სათვა-ლე, ასანთი, თერმომეტრი, კამერუნის ნაკერების ფეხბურთელია სია და გამორთული უთო. ქუდი სახლში დამჩნასთან დაკავშირებით ბუღა-კოვი გამახსენდა და საკუთარ ტვინთან გასაზურება მომინდა. არ გამოვი-და. ტვინი ჩუმიდ არ იყო და იმდენს ლაპარაკობდა, საუბრის ხალისი ნა-მერთოდა. მთელი ამ ფიქრის განმავლობა-ში გზას განვაგრძობდი.



დედა:

- რაღა უშავს მაინც ჩემი შვილია, მაინც კი არა ის ჩემი ერთადერთი შვი-ლი იქნება. ის ამ ქვეყანაზე ყველაზე ჭკვიანი, სათნო და კეთილი იქნება.

მამა:

- რაღა მაინცდამაინც მე დამემართა, მაგრამ არაუშავს სხვა შვილებიც ხომ მეყოლება. საწყალს როგორ გაუჭირდება ცხოვრება, მაგრამ ეგ არა-ფერი, ჯერ ჩვენ და მერე და-ძმები დაენმარებიან.

თვითონ პატარა:

- რა სიცივე ყოფილა გართ. მე მახინჯები ვინაა არიან, ირგვლივ რომ ტრიალებენ, რამხელა ყოფილა გართა საყარო, რამხელა და რა სამინელი.

დაიბა, მოხდა სასწაული თხუწელების ოჯახში პატარა თვალბილული თხუწელა დაიბადა...

დედა:

- არა უშავს მაინც ჩემი შვილია, მაინც კი არა ის ჩემი ერთადერთი შვი-ლი იქნება. ის ამ ქვეყანაზე ყველაზე ჭკვიანი, სათნო და კეთილი იქნება.

**ქართული ქასი ანუ ნებარძი და მხარობელი**

ნუგზარი ზის ტელევიზორთან და უხვიოდ თვლეს. ვაუპარსავია.

**ნუგზარი.** (უცერად გამოეყოფა და ტელევიზორის მოცემით ეკრანს მიმბრუნდება) ერთი ამის დედაც...  
**ნუგზარი.** ტელევიზორს გამორ-თავს, მერე კი მივა ფანჯარასთან და სივარეტს ზანტად გააბობლებს. და აი, მოულოდნელად, იატაკი ორად გაი-ყოფა და ნაპრაილიან ამოსულ ცეცხ-ლის ენებს მთავრობელი ამოეყვება.

**მთავრობელი.** ნუგზარ, არ შე-გვიბნდე!

**ნუგზარი.** ვინ ოხერი ხარ?

**მთავრობელი.** მთავრობელი ვარ, ნუგზარ.

**ნუგზარი.** (სახზე ეტყობა, არც ვიცი ეს "ფუსტი" აქვს წაკითხული, არც მართლს და არც, სხვათა შორის, თომას მინის "დოქტორი ფუსტუსი", რომ არაფერი ვთქვით ბაირონის "შან-ფრედზე", რომელიც ასევე ფუსტუსური სულითაა გამსჭვალული) ...ვინა?

**მთავრობელი.** ვინ და - ვშმაკი. იგივე სატანა. ქვესწების მეფე.

**ნუგზარი.** (შეეცდება გაიხუმ-როს) სანამ მღვდელი გამომიძახია, გაეთრეი აქედან! (შენიშვნა! -

მღვდლებს არ იძახებენ.)  
**მთავრობელი.** მოიცა, ნუგ-ზარ, ნუ გამავდებ. ისედაც ნავალ. მანამდე კი ერთ მწვენიერ გარიგებას შემოგთავაზებ.

**ნუგზარი.** რა ჯანდაბა გინდა?

**მთავრობელი.** რასაც ისურვებ, ყველაფერს შეგირსულე, ოღონდ, სიკვდილის მერე მე უნდა მემსახუ-რო. უფრო სწორად, შენი სული უნდა მემსახუროს, ნუგზარ. მოკლედ, ბა-ნალური, ათასჯერ გადამღერებულ-ინტერპრეტირებული ამბავია... გა-საგებად ვლამარაკობ, ნუგზარ?

**ნუგზარი.** ისე რა...  
**მთავრობელი.** ერთი სიტყვით, შენ მე სული უნდა მოყვილო, ნუგ-ზარ... სანაცვლოდ კი ყველა შენს სურვილსა და მოთხოვნას დაეკმა-ყოფილება.

**ნუგზარი.** სული მოგყვიო რა, ამორტიზატორი ხო არ არი? (თავი-სივრ ნათქვამზე გაეცინება)

**მთავრობელი.** ჰუმორიც გქო-ნია!! მაგრამ ახლა ხუშრობის დრო არ არის, ნუგზარ. მერქარება. სწრა-ფად იფიქრე. წამსახეარის გაძლევე. (ბატის ფრთასა და ფურცელს მოი-

მარჯვენა)  
**ნუგზარი.** რას შემომთავაზებ? რამდენად იყიდი... ხი-ხი... ბოდიში და, ჩემ სულს?

**მთავრობელი.** მთელი მსოფ-ლიის სიმდიდრეს შემოგთავაზებ! უამრავ ფულსა და დიდ განძეულს.

**ნუგზარი.** არ მინდა... რომ მივინ-დომო, ისეც მექნება. მერე!

**მთავრობელი.** მსოფლიოს ულამაზესი ქალები შენს ფერხითი ინტეგრაში...

**ნუგზარი.** მერე მოვლა ხო უნდა მაგათ? არ მინდა.

**მთავრობელი.** არც გაეორს გე-ნერალური მდივნობა გინდა, ნუგ-ზარ?

**ნუგზარი.** არა, გენაცვალე, არ მინდა...

**მთავრობელი.** არც საქართვე-ლოს პრეზიდენტობა?

**ნუგზარი.** მგონი, ასაკი არ მი-სივრ ნათქვამზე გაეცინება)

**მთავრობელი.** გინდა დროში გაშიწეურობა და ალექსანდრე მაკე-დონელად გაქციო?

**ნუგზარი.** ეგ ვინაა?  
**მთავრობელი.** უდიდესი მთა-

ფარდა

**მუხრანის სახლიდან**

**სპატი პირველი**

1962 წელი.

17 წლის ეკუნს ოთახი.  
ეკუნა და მისი შეყვარებული, ასევე 17 წლის ლავი ერთმანეთის გვერდგვერდ სხედან. ლავის ეკუ-ნას კოცნა სწავლიან. ეკუნა ჭირვეუ-ლობს.

**ეკუნა.** მომეშვი, ლავო, ნუ იქცე-ვი უხელოდ... მამაჩემი სახლშია.

**ლავი.** ...კი მაგრამ, რამეს ვაშა-ვებ! ჩვენ ხომ შეყვარებულები ვართ... თანაც ახალგაზრდები... და ყველაწიერი უფლება გვაქვს, რომ ერთმანეთი ვკოცნობთ... იცი, რამდე-ნი დისიდენთია ამჟამად საბჭოთა კავშირში! ჩვენც გამოეთქვათ რამე-ნიარად პროტესტი!... ვიკოცნათო, ეკუნა!... თავს ნუ დავიჩვავებ, ძვირ-ფასო!

**ეკუნა.** არა, ლავო... მე...  
**ლავი.** რა "მე"? რას ნიშნავს "მე"?.. რისი თქმა გინდოდა?

**ეკუნა.** მე ხომ... პოინერი ვარ.

**ლავი.** ...მამინ ლოყაზე მაინც მა-კოცნიე?

**ეკუნა.** მერე ტუჩებსაც მინდო-მებს!

**ლავი.** დედას გევიცები, არ მო-ვინდომებ!... ყველა ამომიწყდე! ცოცხალი არ შენახოს არავინ...  
ლავი ეკუნას ლოყაზე აკოცებს, მაგრამ ფიცს მამინე ვასტებს და, როგორც პოეტი იტყოდა, მიჯნურის ბავისაც წაეტანება.

**ეკუნა.** (მსუბუქად შეინახაღმ-დეგება ლავის) ლავინი, არა...  
**ლავი.** სულ ერთი წუთით... სულ ერთი წუთით...  
და აი, აკოცებენ თუ არა ერთმა-ნეთს, კარი გაიღება და ოთახში სრუ-ლიად განრისხებული და, შესაძლოა, ცოტად ნაწავში ეკუნას მამა შემოვა-რდება.

**ეკუნა.** ვაიმე, ლავო, ვაიმე, ჩემო ყველაფერო... მამაჩემი!  
**ლავი.** (წამოდგება) ბიძია გო-გი...

**ეკუნას მამა.** ბიძია გოგის ქვე-ცემ, მაიმური ვირიშვილი! (ქერობი წაუგუმებს ხელს ლავის) სულ დაკარ-გეთ არა ზრდისობა - როგორც ასე-თი... მე შენი... (ხატოვად შეაგინებს ლავის)

**ეკუნა.** (მსუბუქად ჩამოეკიდება მამამისს) მეც არ ვიცნობ, მამა... ფანჯრიდან შემოძვრ...  
**ეკუნას მამა.** (პანლურს ამოკ-რავს ლავის) დაიმარტობელა პატა-



რა გოგო, ლავინაკმა ამა და - მი-დილი... დედას გიტყვებ, ბიჭო! დედას გიტყვებ - როგორც ასეთი! (ლავის ძირს დააგდებს და რამდენჯერმე გადაუვლ-გადმოუვლს)

**ლავი.** (ბოლოს და ბოლოს, ტი-რილს დაიწყებს, ცდილობს რაღაც თქვას) მე... მე... (მაგრამ ამაოდ)

**ეკუნას მამა.** (სილას გააწინს-ევუნას) უტვირო შენა, უტვირო! ვის ატყუებ, გოგო!... ფანჯრიდან შემოძ-ვრა რა, კატაა!.. დილიდან საღამომ-დე ოფლსა ვღვრი, ნელდება - რო-გორც ასეთებზე - ფეხს ვიდავამ, რო ერთიორი კაპეიკი ვიშოვო... თქვენ კიდევ აქ იმეებს მიმართავთ, არა!.. რახან ტელევიზიაში ვმუშაობ დიქ-ტორად, მამ ადამიანი აღარ ვარ!.. "ცხრა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ქართული მხატვრული ფილ-მი "მანანი"... უფრო სწორად, "მანა-ნი"... დვილი გგონია ამის თქმა ყო-ველდღიურად?... კიდევ კარგი, ცხო-ვებული და ნეტარსენებული დედა-შენი და ილია ჭაჭავაძე არ მოეხსნ-რენ ამას!.. დედაშენი სირცხვილისა-გან თავს მოკლავდა, ხოლო დიდი ილია ძალიან გაბრაზდებოდა, მამე!.. (ლავის) გაეთრეი აქედან, მოგელ-ძალლო შენა!..

**ლავი.** (ტირილით) მე რო დიდი კაცი გავხდები...

**ეკუნას მამა.** რაო, რაო?

**ლავი.** მე რო დიდი კაცი გავხდე-ბი... (ტვრითად, წინადადებას ვერ ას-

რულებს)  
**ეკუნას მამა.** დიდი კაცი არა ისა ახლა კიდევ... მოუსვი-მეთქი აქედან ბავყაყური, თორე სულ დაგჭმუნავე აემ ხელეხითა... მაიმუნო - როგორც ასეთი - ვირიშვილი შენა! (ლავის პანლურით ვაადგებს სახლიდან)

**სპატი მორე**  
2002 წელი.

კვლავ ეკუნას ბინა.

ეკუნა - უკვე ორმოცს გადაცი-ლებული ქალბატონი - სახლს ალა-გებს. კუთხეში მთლად მოხუცებული და დანაწანაკებული მამამისი ზის. ეკუნას ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია.

**ეკუნა.** ფეხები აწიე, მამა, უნდა გამოხვებოდე.

**ეკუნას მამა.** (ყრუყავა) ტელევი-ზორში იყო, კი...

**ეკუნა.** არა, ფეხები აწიე-მეთქი, ფეხები... გეგბა შეძლო, მამი... მიონ-დომე.

**ეკუნას მამა.** დედაჩემი იყო გუ-შინ სტუმრად... ბაზარი ვიყავი და ძროხა ვიყიდეო, მიითხრა... (ბოდავს, რა თქმა უნდა)

უცერად კარზე ვილავე დააბრა-ხუნებს.

**ეკუნა.** (ოდნავი სიკეკულებით) მოვდევნააააააა... (ცადის)

**ეკუნას მამა.** სტალინს ხედავ... სტალინი!

შუშინებული ეკუნა ოთახში

ფარდა



... იგი ამგონა:

- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუწეროთ პატარას: ლოგინში რომ წვაკი, თუ წუთით მაინც შეგიპყროს ფიქრი, - საღვაც ვიღაცას სცივა, საღვაც ვიღაცას ენატრება ლოგინი, საღვაც ავაღვყოფი ფრინველი კანკალეს ბუჩქის ძირას, ანდა ცხოვები წაშუშუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ალაგინი ხარ. რეპაზ ინანიშვილი

# 24 საუკუნეში

## როდისაა საუკეთესო დრო წიგნის კითხვისათვის?

აი, ნოემბერიც მოვიდა, - შემოდგომის ბოლო თვე. ზაფხულში, დაღამებამდე შინ მისვლა რომ არ უნდოდით პატარა ადამიანებს, ახლა, ისეთი სუსხი შემოიპარა ჰაერში, ეზოში სათამაშოდ დიდხანს ვეღარავინ ჩერდება. კარგი, მოხვედი სკოლიდან, კარგად ისადილე, მერე, ცოტა ხნით, შეიძლება ეზოშიც გახვიდე სათამაშოდ, შემდეგ გაკვეთილებს ჩაუჯდები და, ამ საქმესაც რომ მორჩები, რაღა უნდა აკეთო? ან კომპიუტერს უნდა მიუჯდე, ან - ტელევიზორს. მერე და, არაა მოსაწყენი სულ ერთი და იგივე? ვისაც წიგნებთან უკვე გარკვეული აქვს ურთიერთობა, თავის საქმეს თავადვე მიხედავს. ვინც ახლა იწყებს, მოდი, ერთად დავთქვათ:

სანამ ზამთარი დადგება, სანამ თოვლს ჩამოყრის, რაც იქნება, იქნება, - მოვასწოროთ ორი კარგი მწერლის ოთხი საუკეთესო წიგნის წაკითხვა (ზამთარში და თოვლში საკითხავი წიგნების შესახებ მერე ვილაპარაკოთ!), მით უმეტეს, ისეთ ოთხ წიგნზეა საუბარი, საქართველოში თითქმის ყველა ოჯახში რომ დევს თაროზე. ალბათ, აჯობებს, პირველად შევედი მწერალი ქალის (იგი სულ ახლახან გარდაიცვალა), ასტრიდ ლინდგრენის წიგნი "პეპი - მალალი წინდა" გადავშალოთ, სადაც პირველ გვერდზე ასე წერია: "პეპი ვილა "ყიყლიყოში" სახლდება". სახლდება ძველ სახლში მარტოხელა, უცნაური გოგონა ცხენთან და მაიმუნთან ერთად და იწყება მისი

საოცარი თავგადასავალი... მოვრჩებით ამ წიგნის კითხვას და გადავალთ მეორე ამბავზე: "ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი". მულტფილმი რომ გვაქვს ნანახი, იმასთან შედარებით, წაკითხულს ასჯერ მეტი ხიბლი აქვს. ამას თავად ნახავთ... შემდეგ კი, შევედითდან შორეულ ამერიკაში, მდინარე მისისიპის ნაპირებთან გადავინაცვლებთ. აქ დაიბადა სამუელ ლეივზონ კლემენსი, შემდგომში სახელგანთქმული მწერალი მარკ ტვენი. სწორედ ამ კაცმა დაგვიტოვა უკვდავი წიგნები: "ტომ სოიერის თავგადასავალი" და "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი", რომელსაც, ზამთრის დადგომამდე, იმედია, ბოლომდე ჩავიკითხავთ.



ანასტასია ლოგინიძის ნახატი

# რაც არ მიწდა, იმას არ ბავაკითებ!



ჩემს საიტს დღეში უკვე რამდენიმე ათასი სტუმარი ჰყავს, - მითხრა სოსო ბლიაძემ. ის ცნობილი "ბარჯაკუზუს" სერიალის ავტორია.

შევყვარებული არ მყავს. ეზოში ბიჭებთან გასატარებლად დრო არ მრჩება. ძალიან კარგი კლასი მყავს და თერთმეტი წელია, მათთან ვმეგობრობ. "ბარჯაკუზუ" კი ინტერნეტში იანვრიდან გაჩნდა.

## დალი კუპრაძე

კომპიუტერული თამაშები განსაკუთრებით პატარა და დიდ ბიჭებს უყვართ. ალბათ, იმიტომ, რომ თამაშები, ძირითადად, ბრძოლაზე და ავტომატური ტარებაზეა აწყობილი. გოგოებისთვის არ არსებობს კომპიუტერული "სახლობანა", "კლასობანა" და "რეზინობანა". ნეტავ, გოგოებისთვისაც მოიგონებდნენ თამაშს, - გულდაწყვეტილმა მითხრა ერთხელ ტასომ. ის შვიდი წლისაა. კომპიუტერთან ჯდომაც უყვარს, მაგრამ "ექიმობანას" თამაშიც არ ეთმობა. "ვინ იგონებს კომპიუტერში თამაშებს?" - მკითხა ერთხელ და გადაეწყვიტე, რომ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ასეთი ვინმე უნდა ვიპოვო-მეთქი და ვთხოვე, რომ გოგოებისთვისაც მოიფიქროს რამე.

... ვიპოვე!  
თურმე სოსო ბლიაძე ერთ მშვენიერ დღეს "ნამდვილ", მის კომპიუტერს მიუჯდა. მაშინ სოსო 13 წლის იყო და, როგორც სოსოს მამამ გვითხრა, რომ მიუჯდა, არც ამდგარაო. "ჯერ ვთამაშობდი, მერე სხვადასხვა პროგრამაში ვჩირკე-დელობდიო", - მითხრა სოსომ, - "შემდეგ დამებადა აზრი, რომ მე თვითონ შემიქმნა ანიმაცია, ანუ ნახატი ფილმი". თავიდან სხვადასხვა პერსონაჟი ჰყავდა გაცოცხლებული და თან ისეთები, როგორებიც ტომი და ჯერი არიან: სადაც არ უნდა მოხვდნენ, რაც არ უნდა გადახდეთ თავს და როგორც არ უნდა დაიმტვრენ, მაინც სალსალამათად გადარჩებიან ხოლმე.

"ადრე მიყვარდა ისეთი მულტიფილმები, სადაც ძალიან ბევრი მოძრაობა იყო, ბევრი სწრაფი თავგადასავალი, ვიღაცას დასადევდნენ, თავში ურტყამდნენ, გასრესდნენ და ადგებოდა, შესწორდებოდა და აგრძელებდა ცხოვრებას." მისი პირველი ფილმებიც ასეთი იყო.

დღეს სოსო 16 წლისაა, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მეთერთმეტე კლასში სწავლობს. "ძალიან კარგი კლასი მყავს. ჩვენთან რომ შემოხვიდეთ, არ არის ერთმანეთის ჩაგვრა, პირველთაგან ბრძოლა", - მითხრა სოსომ და არც ის დაუმალავს, რომ უჩხუბია კიდევ. თუმცა, არასდროს სხვისთვის არ დაურტყამს და არც თვითონ მოხვედრია მუშტი. "აბა, როგორ ჩხუბობ?" - ვკითხე გაოცებული. ამისხნა, რომ საუბრობს და დაპირისპირებულ მხარეს "უხსნის", შემდეგ რიგდებიან. "როცა სოსო ესწრება საქმის გარჩევას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელჩართულ ბრძოლამდე საქმე არ მივა", -

ამბობს სოსოს მამა.  
ვინც ინტერნეტში "დაძრომილობს", სოსოს საიტსაც ნაანყებოდა და ბარჯაკუზუსაც გაიცნობდა. "ბარჯაკუზუ" სოსოს გმირია, რომელიც მისი ტოლია, ან ცოტა დიდი, 16-17 წლის თბილისელი ბიჭია. წელს, აგვისტოში, მისაღები გამოცდების აჟიოტაჟმა, ბარჯაკუზუს გამოცდებზე "ესემესის" გამოყენების იდეა მისცა და სოსომაც გააცოცხლა ბარჯაკუზუ მისაღებ გამოცდებზე. სექტემბერში ბარჯაკუზუს ზაფხული და ზღვა მოენატრა. სოსომაც ხათრი არ გაუტეხა და დაიბადა "ბათუმის ნოსტალგია".

— ბარჯაკუზუ შენ გგავს?  
— ალბათ, კი. მე ქუჩის ძაღლების მესინია. ჰოდა, შევექმენი ძაღლი "გრინდოგი" და ბარჯაკუზუს გაგვათავისუფლე ძაღლის შიშისაგან.

ცოტა უფრო ადრე, მაშინ, როცა სოსოს "ტომი და ჯერი" უყვარდა, სიამოვნებით უყურებდა ფილმ-საშინელებებს. ახლა ინტერესი გაუნელდა. სამაგიეროდ, ინტერნეტში გაჩნდა კეთილი და აზრიანი ბიჭი ბარჯაკუზუ, რომელსაც, მისი თანატოლების მსგავსად, ბევრი აქვს საფიქრალი, უყვარს მუსიკის მოსმენა და რალაცეების ემინია კიდევ.

მაგრამ ტასოს სურვილს სოსო ჯერ ვერ აასრულებს, რადგან გოგო-პერსონაჟი არ გამოსდის. გოგოებმა უსაყვედურეს, არც ერთ ფილმში გოგო არ გყავსო და გოგოც გაჩნდა ანიმაციურ სერიაში "ტელეფონობანა". ბარჯაკუზუმ გოგოსთან ტელეფონზე საუბრისას წარმოიდგინა, რომ ის ძალიან ლამაზია, ანჯელინა ჯოლის ჰგავს და დაუნიშნა პაემანი... "ასეთი გოგო მე არსად მინახავს, მაგრამ მაინც დაგხატე რალაცე საშინელება. შეხვედრის შემდეგ გუნებანამდარი ბარჯაკუზუ სანოლზე დაემხო და ესიზმრება, რომ ის გოგო მისი ცოლი ხდება. ბევრმა მითხრა, ტირილი მომინდაო". შესაძლოა, სოსომ სწორედ იმიტომაც დახატა "საშინელი" გოგო, რომ ლამაზმა გოგოებმა გული აღარ გაუნწვრილენ. მით უმეტეს, რომ, რაც ბარჯაკუზუ სახელგანთქმული გახდა, ინტერნეტში ვიღაც-ვიღაცებს სოსოსი აღარ სჯერათ, "მეუბნებიან, შენ ბარჯაკუზუ არ ხარ, უბრალოდ, მითვისე, რომ ბევრი გამოგეხმაუროსო", - მითხრა სოსომ. ალბათ, მეორე სახელსაც აიღებს და იქნებ, მეორე ანიმაციური გმირიც დაიბადოს. რუსული ინტერნეტიდან სთხოვეს, რომ ბარჯაკუზუ რუსულად გაახმოვანოს. "რუსული ენა მესმის, ვკითხულობ კიდევ, მაგრამ გახმოვანება ჯერ არ შემიძლია. სცენარს მე ვწერ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ვინმე შეასწორებს, რადგან, ზოგჯერ, უკვე გამზადებულის ყურებისას, ვხვდები, რომ ამის თქმა უკეთ შემიძლო. თანაც ვფიქრობ, რომ მომავალში მეტი ანიმაცია უნდა იყოს ბარჯაკუზუში".

სერიებისთვის მუსიკასაც თვითონ არჩევს. სოსოს 33ა და ზუმბა მოსწონს. ძველებიდან "ქვინი" და "სმოქი". "ბოლო დროს ჯაზს ვუსმენ და მომწონსო", - თქვა. უყვარს ქართული მულტიფილმები, მიაჩნია, რომ "ჩხიკვათა ქორნილი" და "წუნა და წრუნუნა" შესანიშნავია.


სოსოს იმ წიგნების კითხვა უყვარს, რაც აინტერესებს. ახლა ელოდება, როდის მოუტანს მამა "პროფესორ დოუელის თავს", რომ ნაიკითხოს. ისე კი, წელს განსაკუთრებით ბევრი საქმე აქვს, უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტში, მონდომებით მეცადინეობს და ბარჯაკუზუსაც ბევრი ახალი თავგადასავალი ელოდება.

"მინდა ბარჯაკუზუ ცნობილი გახდეს. მსურს გავაკეთო საათნახვერიანი ანიმაციური ფილმი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე", - ამბობს სოსო ბლიაძე და ამატებს: "მინდა, რომ ქართული ანიმაცია საქვეყნოდ ცნობილი გახდეს."


ტასოს და პატარა გოგონებს დიღხანს ლოდინი არ დასაჭირდებათ. სოსო კეთილი ბიჭია, აუცილებლად იფიქრებს მათზეც და იქნებ კომპიუტერული "სახლობანაც" შექმნას.




კადრი ანიმაციური ფილმიდან "ბათუმი"



კადრი ანიმაციური ფილმიდან "გამოცდა"



კადრი ანიმაციური ფილმიდან "გრინ დოგ"



კადრი ანიმაციური ფილმიდან "კაზინო"

მეხუთე სერი

# ცუსე ფენთანა



როგორც პატარა გოგონა, ასევე უფროსი, მათთვის ყველაზე მთავარი სპორტი სპორტსაა. მათთვის სპორტი არა მხოლოდ ჯანსაღი და ძალაუფლებით გამდიდრების გზაა, არამედ სიცოცხლისთვის საჭირო საფრთხეებისგან დაცვის საშუალებაც. სპორტი ახალგაზრდობისთვის უფრო მთავარია, ვიდრე სკოლაში დასწრისას. სპორტი ახალგაზრდობისთვის უფრო მთავარია, ვიდრე სკოლაში დასწრისას.

ეს რეგიონი მსოფლიოში ყველაზე მაშინვე დასაშინებელია.

ეს არის უფრო ხალისი, ვიდრე სპორტი.

ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სპორტი. ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სპორტი.

მთელი სიბიძე უნდა იყოს, რათა მისთვის ყველაფერი ადვილი იყოს.

ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სპორტი.

ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სპორტი.

ეს არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სპორტი.

სპორტი - ჯანსაღი და ძალაუფლების გზა. მათთვის ყველაზე მთავარი სპორტი სპორტსაა. მათთვის სპორტი არა მხოლოდ ჯანსაღი და ძალაუფლებით გამდიდრების გზაა, არამედ სიცოცხლისთვის საჭირო საფრთხეებისგან დაცვის საშუალებაც.



ნოდარ დუმბაძე

ჯერ თუ არ წავიკითხავთ, წინ გელთ აუწერელი სიამოვნება, რასაც ნოდარ დუმბაძის მოთხრობები და რომანები შემოიტანენ შენს ცხოვრებაში. შენც იტყვი: "ჩემი საყვარელი მწერალია", რადგან ასე ამბობს ყველა, ვისაც წაუკითხავს "Hellados", "ძალი", "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "მე ვხედავ მზეს", "მზიანი ღამე" და სხვა მრავალი თბილი, კეთილი ნაწარმოები. ბევრმა თქვენგანმა, შეიძლება, არც იცის, რა მშვენიერი ლექსები დაუტოვა ნოდარ დუმბაძემ პატარებს. დღეს შეგვიძლია, აქ წავიკითხოთ რამდენიმე მათგანი.

### მდივანი თუხის ბიჭები

მიტანტალებენ ბილიკზე თუხის პატარა ბიჭები, ფეხში ესობათ ეკლები, ფეხში ესობათ ხიჭვები. მიდიან, მიიმღერიან, მთები უწყობენ ხმასაო: "თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ, კიდევ ვჯობივარ სხვასაო... არ მივატოვებ არასდროს მთაში გარეკილ ცხვარსაო. არ გავაცვივებთ ღადარსა,

არ გამოვკეტავთ კარსაო, ომალოს, დიკლოს, შენაქოს არ დავუტოვებთ სხვასაო". ნიამორები გადმოდგენ გადმოეფინენ მთებსაო. მდინარეები გადმოსკდნენ, კლდემ კლდეზე დაიკვნესაო. ირემმა ირემს გასძახა: ბალებმა ეს რა თქვესაო! ნეტი ჩვენსა მამულსა! ნეტი დედათქვენსაო!

### ლეღას და ნიშა ხარის გაბაასება

- როგორ ხარ, ხარო ნიშაო?  
- ისე, რა, არა მიშავო...  
შენ როგორ ხარ, ლეღაო?  
- რა ვი... ვარ ნელა-ნელაო...  
დიდედამ მამინელო:  
არ მაიტეხო ფეხიო,  
ჩამოხსენ საქანელო,  
გოგოვ, რად დაგახველო,  
მანდ გრილა, აქა - ცხელო,  
ეს თხა ვინ გამოწველო,  
ეგ ხე ვინ გადაბელო...  
- არ დაიდარდო, ლეღაო,  
ეგრე არა ვართ ყველო?!  
- კარგად იყავი, ნიშაო,  
ღმერთმა მზე არ გაგვიშავოს.  
მაგ გზებზე ფრთხილად იარე,  
ეგ ქედი არ დაიშავო...



### გოჭები

დასდევს კუდში მურია ლანძღვითა და გინებით, მთელი ეზო დათხარეს პანანინა დინგებით. გუშინ დოქი გატეხეს, ჩაიპარნენ ყანაში, დაერივნენ წინილებს, მერე ჩანვინ ტალახში. ამისთანა რა მოხდა, ამის ფასი რა ნახეს! ერთი ვაშლის გულისთვის ერთმანეთი გალახეს. არ ისმენენ არაფერს ამოდენა ყურებით, აღარც თხოვნა ესმით და აღარც საყვედურები. თუ არ გამოსწორდებით, წნელით გაიტკიცებით, არ გრცხვენიათ, გოჭებო? ღორებივით იქცევით.

### მამალი

როცა ავად ვიყავი, ვსვი და ვცლაპე წამალი და დედიკომ საჩუქრად მომიყვანა მამალი. ერთხელ ძია გვესტუმრა, ბაბუამ თქვა: - რა ვქნათო? - ბებამ თქვა: - სასწრაფოდ მამლაყინა დავკლათო. ჰოდა, ეს რომ გავიგე, მამალს ხელი დავავლე და ბებიას უჩუმრად კარადაში დავმალე. მერე იცით, რა მოხდა? ბებომ შიშით იკივლა... იმ სულელმა მამალმა კარადაში იყივლა.

### მანონი

ლევანიკომ და ნოდარმა გატეხეს ჩაიდანია, ბებო გაგიჟდა, სალამოს ჩაი რომ ვედარ დალია. ლევანმა გადუჩურჩულა ნოდარს, მის გვერდით დანოლილს: - ჩვენ რომ გვაძალებს ძილის წინ, ახლა თვითონ სვას მანონი.

# სმოდანელი ტორიადორი

ასტრიდ ლინდგრენი

ეს მოთხრობა უზარმაზარ ხარზეა, რომელსაც სახელად ადამ ენგელბრეხტი ერქვა და რომელმაც, ერთხელ, აიწყვიტა. ალბათ, დღემდე ინავარდებდა ეს ხარი თავისუფლად, რომ არა... თუმცა, მოგვყვით ყველაფერი თანმიმდევრობით.

ხარი ადამ ენგელბრეხტი ნამდვილი გოლიათი გეგონებოდათ. იგი სოფელ სმოდანის მთავარ ფარეხში ცხოვრობდა და მსუქანი ძროხების, აგრეთვე პატარა, ძალიან სიმპათიური ხბოების მთელ ჯოგს მარტოდმარტო განაგებდა. ხასიათი ადამ ენგელბრეხტს საკმაოდ თავდაჭერილი და წყნარი ჰქონდა, ეტყოფა, იმის გამო, რომ მისი მომვლელი, ფარეხის მოვამაგირე სვენსონი იყო ზედმინეებით კეთილი და მომთმენი კაცი. ერთხელ, მაგალითად, ადამ ენგელბრეხტმა სვენსონს ფეხზე დააბიჯა და მოვამაგირე მაშინაც კი არ გაბრაზებულა: იდგა გაუხმრეველად და ელოდა, როდის მოისურვებდა ხარი გვერდზე გადგომას.

და აი, ერთხელ, ეს ჩვენი გოლიათი გაცოფდა და გადაირია.

რატომ? ვინ გააბრაზა? ამას ვერასოდეს გაიგებს ვინმე! შეიძლება, რომელიმე ხბომ მიმართა უკმეხად, ან ძროხებმა გაალიზიანეს, ვინ იცის...

ასე იყო თუ ისე, ადამ ენგელბრეხტი წყობილებიდან გამოვიდა, განწყვიტა საბელი და ბაგებს შორის რომ დიდი ტალან-კორიდორია, იქ გამოშლივინდა. ხარის სისხლიანი თვალები რომ დაინახა, სვენსონმა ველარ გაუბედა კითხვა, რა ხდებოდა და თავისი სიცოცხლის გადარჩენაზე იზრუნა: თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა ფარეხიდან.

ეზო, სადაც მოვამაგირე და ხარი გამოცვივდნენ, ხის მორებისაგან შეკრული ღობით იყო შემოსაზღვრული, რომელსაც მხოლოდ ერთი ჭიშკარი ეკიდა.

ბოლო წამს სვენსონმა მოასწრო იქ გაძრომა და სწორედ ცხვირნინ ჩაურაზა ჭიშკარი ადამ ენგელბრეხტს, რითაც წაართვა მას სიამოვნება, რქებზე წამოეცვა თავისი ძველი მეგობარი.

დამავინყა მეთქვა, რომ დღესასწაული იყო. გლეხები თავიანთი ოჯახებით მშვიდად საუზმობდნენ, რათა ნასაუზმვეს ეკლესიაში დასწრებოდნენ წირვას. ამინდიც მშვენიერი დაესწროთ და ბავშვები, რომლებსაც სადღესასწაულად ახალი საწებლები ჩაცმის ნება დართეს, სიხარულისგან ფრინავდნენ, რად-

გან სადილის შემდეგ ღელეზე წყლის ნისკვილის მონყობა ჰქონდათ ჩაფიქრებული. მაგრამ არც ერთ ბრწყინვალე გეგმას იმ დღეს ასრულება არ ენერა. ყველაფერი ჩაშალა ხარმა, სახელად ადამ ენგელბრეხტმა.

იგი ბლუილით დარბოდა ეზოში. ლობესთან შიშისაგან აკანკალებული სვენსონი იდგა და თავის გამხეცებულ აღსაზრდელს უმწეოდ ადევნებდა თვალს.

ადამ ენგელბრეხტის აწყვეტის ამბავი უცებ მოედო იმ მხარეს და მალე სვენსონს ნახევარი სოფელი დედაბუდიანად შემოუერთდა: გოგონებს, ბიჭებს, ბავშვებს - ყველას უნდოდა გაცოფებული ხარის ნახვა. კაცმა რომ თქვას, ამ სერიის ყურება სჯობდა მოსანყენი საკვირაო ქადაგების მოსმენას, ან ორლობეში უმიზნო ხეტიალს.

კალემ, შვიდი წლის ბიჭმა, ერთ-ერთმა პირველმა მოირბინა ლობესთან. იგი შორს, ტყისპირა სახლში ცხოვრობდა, მაგრამ, სხვებთან შედარებით, გაცილებით სწრაფად გამოვარდა აქეთკენ. კალე იყო ტიპიური სლომანდელი, თავისი ტოლებით თეთრთმინი, ცისფერთვალა და გათხუზული, როგორც ათასამდე მოიძებნება იმ არემარეში.

ადამ ენგელბრეხტი კი უკვე ორი საათი დარბოდა ეზოში და ვერაფერ მოიფიქრა, რანაირად დაეცნარებინათ.

ბოლოს, ისევ ფარეხის პატრონმა, ვინესტმა გაბედა: გაბედულად შეაბიჯა ეზოში და პირდაპირ ხარისკენ გაემართა, მაგრამ ადამ ენგელბრეხტმა, ეტყოფა, თავისებურად გადანიყვია დღესასწაულის გატარება და დაუპატიჟებელი ხალხის სტუმრობას ზედმეტად თვლიდა.

ხარმა თითქმის მინამდე დახარა უზარმაზარი თავი და ელვასავით გამოეწოთ თავის პატრონს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, ამ უკანასკნელს რომ არ ეყოჩაღა და განსაცვიფრებლად მოქნილი მალაყით ლობეს არ გადავლებოდა. ერთი კია: როცა ვინესტი შემოვლიდა იქით აღმოჩნდა, ყველამ დაინახა, რომ მისი შარვლი საჯდომზე გვარიანად გაფხრენილიყო.

ამ ფაქტით კმაყოფილი მაყურებელი გულიანად ხარხარებდა.

ვინესტი ვერ იყო ხასიათზე. ძროხებმა ფარეხიდან ხმამაღალი ბლავილით მოითხოვეს - მოგვევლეთო! მათ მოსანველად ვინც შევიდოდა, ჯერ მთელი ეზო უნდა გადაესერა და ადამ ენგელბრეხტისთვის თვალი გაესწორებინა! - ხომ შეიძლება, რომ ეს ხარი დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩეს ასე, გაბრაზებული?! - იკითხა ერთ-ერთმა ბავშვმა. დანარჩენებმა, კიდევ, შეშინებული თვალებით გადახედეს ერთმანეთს.

ასე რომ ყოფილიყო, მართლა საშინელება იქნებოდა! ბავშვები ხომ ყოველთვის ამ ეზოში თამაშობდნენ დამალობანა-დახუჭობანას.

ნახევარი დღესასწაული მიილია თითქმის, ხარი კი ისევ ბრღვინავდა. ლობესთან სერიოზული ბჭობა გაიმართა.

ერთნი გამოთქვამდნენ აზრს, რომ შეიძლებოდა ძალიან გრძელი ჯოხის იმ რკინის რგოლში გატარება, ხარს რომ ნესტოებში ჰქონდა გაყრილი, მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო, უბრალოდ, მოეტანათ თოფი და მოეკლათ. ძროხებმაც, თითქოს ჯიბრზე, უფრო ხმამაღლა დაიწყეს ბლავილი.

შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მართლაც მოეკლათ თოფით ადამ ენგელბრეხტი, მაგრამ ლობეზე იჯდა კალე, გათხუზული, შვიდი წლის სმოდანდელი სოფლელი ბიჭი.

- ადამ! - დაუძახა მან ხარს მოულოდნელად, - მოდი ჩემთან, თუ გინდა, რქებს შორის მოგფხანო!



ეს სიტყვები, სინამდვილეში, სულ სხვანაირად უღერდა, რადგან კალე სლომანდურ კილოკავზე უქცევდა, ერთადერთ ენაზე, რომელიც ადამ ენგელბრეხტს ესმოდა. მაგრამ ხარმა თავი მოიკატუნა, ვითომ არაფერი გაეგონოს!

- ადამ, - გაიმეორა კალემ, - მოდი ჩემთან, რქებს შორის მოგფხანო!

ალბათ, ადამ ენგელბრეხტის სულში სინდისმა გაიღვიძა, შეიძლება, უბრალოდ, მოეწყინა კიდევ წინ და უკან სირბიდა. - ასე იყო თუ ისე, იგი წყნარად მივიდა ლობესთან, იქ, სადაც იჯდა კალე და ბიჭმა თავისი ჭუჭყიანი ფრჩხილებით მოუქეჩა თავი რქებს შორის.

უცნაურია, მაგრამ, ასეთი მოფერებისაგან ხარი, ამკარად ჩანდა, დანყნარდა. მაშინ კალემ ხარის ნესტოებში გაყრილ რკინის რგოლს ხელი ჩასჭიდა და ლობიდან ჩაბტა.

- გაგიფიდა, ბიჭო? - იყვირა ვილაცამ. მაგრამ კალემ მშვიდად და ცოტათი საზეიმო იერითაც წაიყვანა ადამ ენგელბრეხტი ფარეხისაკენ. ეს იყო მშვენიერი და სულისშემძვრელი სურათი: გოლიათი ხარი და პატარა ბიჭუნა. და ვინც იხილა ეს სურათი, მთელი ცხოვრება ემახსოვრება.

არც ერთი ესპანელი მატადორი არ დაუჯილდოებია მაყურებელს ისეთი მხურვალე აპლოდისმენტებით, კალეს რომ ერგო წილად, როცა ხარი ბაგაზე მიაბა და ფარეხიდან გამოვიდა.

ბიჭისთვის უფრო სასიხარულო კიდევ ის იყო, რომ აპლოდისმენტებთან ერთად ორი კრონითა და ორცხობილის უზარმაზარი კოლოფითაც დაასაჩუქრეს.

- მე შეჩვეული მყავს ხარები. მაგათ ყოველთვის თავაზიანად უნდა ელაპარაკო, - განუმარტა ბიჭმა ხალხს თავისი წარმატების მიზეზი სლომანდურ კილოზე.

ესა თქვა და წალაყუნდა სახლისკენ ორცხობილის ხრამა-ხრუმით, კმაყოფილი ასე წარმატებულად ჩავლილი უქმე დლით.

სოფლებები კი მანამდე უყურებდნენ მიმავალ ბიჭს, სანამ მაღალი, თეთრი არყის ხეების უკან არ მიიმალა.

რუსულიდან თარგმნა ვალერი ჯინჭარაძე



მის აილუსტრაციას ნახატი

„ველური ბავშვები“

ბავშვს არა აქვს ლაპარაკის, სიცილის და თვით ტირილის უნარიც კი; მას გორილები ზრდიდნენ. ბავშვი იპოვეს უგანდის ჯუნგლებში. იგი მონადირეებს მიუგდო მაიმუნთა ჯგუფმა, როდესაც მათ გაურბოდა. ეს მოხდა 1985 წელს, ბავშვი დაახლოებით 7 წლისა იყო. მიაბარეს თავშესაფარში, დაარქვეს რობერტი. იგი კვლავინდებურად ისე იქცევა, როგორც მაიმუნი, მთელი წლის განმავლობაში ადამიანური ვერაფერი ისწავლა, გამოსცემს დაუნაწევრებელ ბგერებს, დადის ოთხფეხზე, ასევე ადის კიბეებზე. ფეხზე მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც აიძულებენ. ბავშვის ფიზიკური განვითარება შეეფერება მაიმუნისას. რობერტი თავშესაფარში მყოფ სხვა ბავშვებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მათთან არ თამაშობს, დღეობით ზის და თვლემს, ინტერესს ამჟღავნებს მხოლოდ საჭმლისადმი. ჩვეულებრივი კერძები არ იზიდავს, ეტანება უფრო ბალახს, ფოთლებს, ბანანს. უარს ამბობს ლამბაქიდან წყლის დაღვებაზე, წყალს მხოლოდ პეშვიტ სვამს. ღამით ბიჭს ტყის გამო სევდა ეუფლება, გაქცევას ლაშობს. დასავლეთის მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ: ასეთ „ველურ ბავშვებს“ საერთოდ აღარ ძალუძთ ადამიანთა შორის ცხოვრება.

იერიდით რინგალს

ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში ბინადრობს გველი რინგალი, რომელსაც შეუძლია, 5 მეტრი მანძილიდან პირდაპირ თვალებში შეაშხეფოს კაცს დამაბრმავებელი შხამი.

9 თვის ბავშვი

ინგლისის მეფე ჰენრიხ მეექვსე პირველი ბავშვი იყო, რომელმაც გამდელს ოფიციალურად დართო უფლება საჭირო შემთხვევაში გაეტყუებინა იგი. ჰენრიხი ტახტზე ავიდა 1422 წლის 1 სექტემბერს, როცა იგი ჯერ კიდევ 9 თვის იყო. მის პირველ სამეფო ბრძანებულებას წარმოადგენდა დეკრეტი, დამონებული დიდი თითის ანაბეჭდით, იმის შესახებ, რომ დაინიშნოს ქალბატონი ალისა ბატლერი ჩვენი უდიდებულესობის გამდელად, რათა იგი ზრუნავდეს და უვლიდეს ჩვენს პიროვნებას და დრო და დრო გონივრულად გვსჯიდეს.

ჭაჭა ტირიფი

ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ჯუჯა ტირიფის ხე იზრდება გრენლანდიის ტუნდრაში. მისი სიმაღლე 5-6 სანტიმეტრია.

აკაცია - ჩეხიონი

ხეებს შორის ყველაზე გრძელი ფესვები აქვს აკაციას, რომელიც აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იზრდება. ამ ხის ფესვები მიწაში 88 მეტრის სიღრმემდე ჩადის.

ნამდვილი ჩეხიონი

პიემონტოში (იტალია) „მსუქნების კონკურსში“ პირველი ადგილი დაიკავა იტალიელმა ქალმა, რომელიც 130 კილოგრამს იწონიდა, იგი იმდენად სქელი იყო, რომ მხოლოდ ორ სკამზე შეეძლო ჯდომა. ჩემპიონი ყოველდღიურად ჭამდა 25 თევზს სხვადასხვა საკვებს და უზარმაზარ ტორტს.

საინტერესოა, ვიცოდეთ

ამერიკელი ედი ჰოვარდი მსოფლიო ჩემპიონია დონორებს შორის. მან თავის სიცოცხლეში 499,66 ლიტრი სისხლი ჩააბარა.



უცნაური ბავშვი

მექსიკის ერთ-ერთ რაიონში მეცნიერებმა აღმოაჩინეს უცნაური ბავშვი, რომლის სახეობა დღემდე უცნობი იყო. ბავშვის მუცლის კანი იმდენად თხელი და გამჭვირვალეა, რომ მკაფიოდ ჩანს მისი შიგნეულობა.

რამდენ ხანს ცოცხლობს კუ?

როგორც ირკვევა, კუზე ხანგრძლივად არც ერთი ცხოველი არ ცოცხლობს. წმინდა ელენეს კუნძულზე არის გიგანტური კუ, რომელიც აქ მოუყვანიათ 1971 წელს. კუ, რომელიც წყნარი ოკეანის კუნძულ ტინგაზე გამოჩენილ ინგლისელ მოგზაურს ჯ. კუკს 200-მეტრი წლის წინათ მოუყვანია, მაშინაც უკვე საკმაოდ ხანდაზმული ყოფილა. ლონდონის ზოოპარკში ჰყავთ გიგანტური კუ, რომლის ასაკიც 280 წელიწადს გადააჭარბა. ვენის ზოოპარკშიც ერთ-ერთმა გიგანტურმა კუმ 200 წელიწადზე მეტხანს იცოცხლა...

გოლიათი მწერები

ამაზონის ჯუნგლებში ზოოლოგებმა აღმოაჩინეს არაჩვეულებრივი სიდიდის მწერები. მაგალითად, ჭიანჭველის სიგრძე 7 სანტიმეტრს უდრიდა, ხოლო მწვანე კალიისა - 15 სანტიმეტრს.

3500 წლის თოჯინა

იტალიელი არქეოლოგები ტირენის ზღვაში მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე ნააწყენენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წლის წინანდელ სამარხს. თიხის ქოთნების ნამსხვრევებში იდო საუცხოოდ შემონახული სათამაშო - კერამიკული თოჯინა. ჩანს, რომ იგი საბერძნეთში გაუკეთებიათ ეტრუსკული ოჯახის შეკვეთით. თოჯინა ძალზე გამძლე საღებავებით არის შეფერადებული: ტურები წითელი აქვს, ნაწნავები - შავი, კაბა ვარდისფერი, ქუდი - ცისფერი.

4000 წლის პლანური

იმ შორეულ დროს, როცა ეგვიპტის ფარაონები თავიანთთვის პირამიდებს იშენებდნენ, ბავშვები ისევე თამაშობდნენ, როგორც ამჟამად თამაშობენ. ჰქონდათ თოჯინები, ურიკები, კუბიკები, ბურთები და, წარმოიდგინეთ, პლანურიებიც კი. ამას ამტკიცებენ არქეოლოგები, რომლებმაც ამას წინათ ნილოსის დაბლობზე პირველი სამარხები აღმოაჩინეს. მუმიების გვერდით ენყო მძივები, პატარა პატარა დოქები და ერთი უცნაური საგანიც. ეს საგანი პარიზში ჩაიტანეს და მისი ზუსტი მოდელი დაამზადეს, რადგან ნაპოვნი პლანური ძალზე მყიფე გამოდგა. მოდელი, თანამედროვე პლანურის მსგავსად, შესანიშნავად დავრინავს.

ობობა - „ბარობიტრი“

ობობა ცნობილია, როგორც ზუსტი „ბარობიტრი“. მშრალ ამინდში იგი გამალებით ქსოვს ქსელს, ხოლო უამინდობისას ბუდის სიღრმეში იმალება. თუ ობობა საღამოს თავის ქსელით დაბლა დაეშვება - მეორე დღეს კარგი, თბილი ამინდია მოსალოდნელი.

საოცარი გობრა

ჩინეთში, თბილი კლიმატის რაიონებში, ზღვის დონიდან 100 მეტრზე ხარობს მრავალწლიანი გობრა „იუჩაგო“. ყოველ გობრაში 6 გიგანტი თესლია. თითოეული მათგანი სიდიდით იხვის კვერცხს უტოლდება და 62 გრამს იწონის.

ანასტასია ლოპინინა ნახატი

## **ძმები - ბარბაროსები**

**“ზორობაბა ისევე აუცილებელია სიკეთისათვის, როგორც სინათლისათვის - ჩრდილი. სათნოება, საზოგადოებრივი, კალ-ლონის დაკავშირების აუცილებლობის საფუძველია შემაღლილი და თუ აღარ იქნებოდა საჭირო ყველა კიბუმიანი ბრძოლა, მაშინ წმინდანების ღვანძილი ისევე ფუჭ ამაოვანდებოდა, როგორც ცოდვილთა ნაყოფიარა”.**

**ა. შრანსი**

**“ცხოველის სისასტიკა და უღმრთელოება დროგაძლეობითაა შემოსაზღვრული, ადამიანის სისასტიკისა და უღმრთელოებას კი საზღვრები არ გააჩნია, იმდენად უსაზღვროა მისი სიბრძნე, სიხარბა, ამაო პატივმოყვარეობა...”**

**ბ. სევერსი**



მიიღო მეკობრეები და ბრძანება გასცა, თითოეული სტუმრისათვის წითელი ხალათები და 200-200 “ჩერვონეცი” ეჩუქებინათ. “ჯალალი წვერის” მეკობრეებს იღბალი სწყალობდა, - ისინი ყველა ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოდიოდნენ და მათ გმირობაზე უკვე დაინყეს ლეგენდების თხრობა. არუჯის გემები ახლა უკვე იტალიის ნაპირებთანაც კი უშიშრად დასაყრობდნენ.

1515 წელს არუჯ ბარბაროსა ალფირში შევიდა. ქალაქელები მას ოვაციებით შეეგებნენ. მალე მის მეკობრეებს 300 თურქი ჯარისკაცი შემოუერთდა ტუნისიდან. არუჯის გუნდი საგრძობლად გაძლიერდა, ხალხშიც მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. ალფირელები შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ ქალაქში ყველაფერს მეკობრე აკონტროლებდა და არა მათი შვიხი სელიმი.

მე-16 საუკუნეში ხმელთაშუა ზღვის მეკობრეთა შორის ყველაზე სახელმწიფო იყვნენ მიტილენელი ძმები: არუჯი, ხაირადინი და ისხაკი. ისინი ჯერ კიდევ პატარა ბიჭები იყვნენ, მამა რომ დაეღუპათ და ამიტომ მთელი ბავშვობა უკიდურეს სიღარიბეში გაატარეს.

როდესაც წამოიზარდნენ, ისხაკი ღურგალი გახდა, ხაირადინმა მექოთნობას მოჰკიდა ხელი, არუჯმა კი თავისი ბედის ზღვასთან დაკავშირება გადაწყვიტა და მეზღვაურად დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ არაბულ გემზე. მალე მისი გემი როდოსელ რაინდებს გადაეყარა და არუჯი ტყვედ ჩავარდა.

თითქმის ორი წელიწადი გაატარა არუჯმა ტყვეობაში. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი მენიჩობის სკამზე იყო მიჯაჭვული და თავს მუნჯად ასაღებდა. არავინ იცოდა მისი სახელი და თმა-წვერის ფერის მიხედვით ასეთი მეტსახელი მოუფონეს: “ბარბაროსა” - რაც ნიშნავს: “ჯალალი წვერი”. ეს მეტსახელი არა მარტო არუჯს შერჩა სიცოცხლის ბოლომდე, არამედ მის ძმასაც, ხაირადინსაც ბარბაროსად მოიხსენიებდა ხალხი.

არუჯი - “ჯალალი წვერი” მესაჭედ მოეწყო ორი ვაჭრის მიერ საზღვაო ძარცვა-გლეჯის მიზნით სპეციალურად აგებულ ბრიგანტინაზე. მაგრამ ეს “თანამდებობა” არ შეესაბამებოდა იმ გაქანებას, რომლითაც ღმერთმა არუჯი დააჯილდოვა. მან, ბუნებით ლიდერმა და პატივმოყვარე კაცმა, ადვილად გადაიბირა ეკიპაჟის დიდი ნაწილი თავის მხარეზე და როგორც კი ჩაუვარდა ხელსაყრელი მომენტი, ნაჯახით გაუჩუხა თავი კაპიტანს, შემდეგ კი მისი ადგილი დაიჭირა.

ძმებმა რომ გაიგეს, არუჯი ასე უცებ გამდიდრდა, მიატოვეს თავიანთი ხელობა და მის ბრიგანტინას მიაშურეს. სულ ცოტა ხანში არუჯის განკარგულებაში უკვე სამი ხომალდი იყო. მდიდარი ნადავლით დატვირთულმა ბარბაროსამ ტუნისისკენ გაუტია, რათა სულთან მულეი-ახმეტის გული მოეგო. სულთანი მოხიბლული დარჩა ძვირფასი საჩუქრებით, დიდი პატივით

რო. იქ ცხრა თვე დაჰყო, ხოლო როცა ალფირში ბრუნდებოდა, შეაგროვა 70 ყველაზე მდიდარი ტლემსენელი და სიკვდილით დასაჯა, მათი განძეული კი თან გამოიყოლა.

ალფირის გზაზე ბარბაროსას მეკობრეებს ესპანეთის ცხენოსანი არმია გადაეღობა წინ. არუჯმა ნადავლი მიუყარა მათ და გაიქცა, მაგრამ ჯარისკაცებმა სიხარბეს სძლიეს, - ბოლომდე სდიეს მეკობრეებს. არუჯის რაზმი თავგანწირულად იგერიებდა მდედარს, სანამ ერთ-ერთმა ესპანელმა “ჯალალი წვერი” შუბით მიწას არ დააჭედა.

არუჯის ჟღალწვერიანი თავი ესპანეთის დროშის წვერზე ჩამოაცვეს და მეფეს გაუგზავნეს.

არუჯ ბარბაროსა ამ დროს ოცდათექვსმეტი წლის შესრულდა (აქედან მხოლოდ ოცი თვის განმავლობაში იყო ალფირისა და ტლემსენის გამგებელი).

ქრისტიანული ესპანეთის მმართველებმა შვეებით ამოიხსნითქეს, - მათ სასტიკი მტერი მოიპორეს მუსულმანური სამყაროდან. მაგრამ “ჯალალი წვერი” ცოცხალი დარჩა კიდევ ერთი ძმა, - ხაირადინი, რომელმაც გადაწყვიტა, არუჯის საქმე გაეგრძელებინა.

ხაირადინი ალფირში იყო, როცა ძმის სიკვდილი გაიგო. იგი მიხვდა, რომ ესპანელები ალფირის ალბასაც ეცდებოდნენ, ამიტომ გასცა ბრძანება, სასწრაფოდ გაეძლიერებინათ ქალაქის დაცვა, აეგოთ ახალი სიმაგრეები.

1518 წლის 17 აგვისტოს ალფირს ალყა შემოარტყა ესპანეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანე-

ლობდა სიცოცხლის ვიცე-მეფე ხუდო დე მონკადა. მან შეუთვალა ხაირადინს, სასწრაფოდ დანებებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთივე სასჯელს ჰპირდებოდა, როგორც მისი ძმა დასაჯეს.

ხაირადინი ვერ შეაშინა ამ მუქარამ. მისი პასუხი ასეთი იყო: “გახსოვდეთ, რომ სანამ ერთი თურქი მაინც დარჩება ალფირში ცოცხალი, თქვენ აქ ვერ შემოაღწევთ. მახვილმა გადაწყვიტოს, ვის ეკუთვნის ზღვაზე მეფობა. ღმერთი თვითონ იქნება ჩვენი მსაჯული!”

მონკადა გააცეცხლა ამ პასუხმა და მაშინვე უნდოდა შეეგებებინა, მაგრამ ურჩიეს, დალოდებოდა ტლემსენის სულთანის მიერ დასახმარებლად გამოგზავნილ არაბებს.

გაიმართა უთანასწორო და დაუნდობელი ბრძოლა. ხაირადინი იძულებული გახდა, ქალაქი დაეტოვებინა დაქველდებოდა და ძალები მოეკრიფა. მართლაც, მთელი ხმელთაშუა ზღვისპირეთის მეკობრეები ბარბაროსას შემოუერთდნენ, მათ შორის ისეთი ცნობილი მგლები, როგორებიც იყვნენ: სინამ-ჟიდი, კაქჩი-დიბოლო, ტაბაკი და სალა-რაისი.

გაძლიერებულმა ხაირადინ ბარბაროსამ წარმატებულად დალაშქრა ალფირი, სასტიკად ამოხოცა ესპანელი ჯარისკაცები და კვლავ დაიბრუნა მმართველობა, რასაც მოჰყვა ჩრდილოეთ აფრიკის მრავალი ქალაქის დარბევა და ხაირადინი გახდა უმდიდრესი ადამიანი ხმელთაშუა ზღვისპირეთში. ბარბაროსას ფლოტი გემებს ვერ ითვლიდა. ოქრო-ვერცხლით დატვირთული ოთხი გემი, რომელიც ქრთამად გაუგზავნა თურქეთის სულთანს, სულეიმან I-ს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ხაირადინი ოფიციალურად დაემტკიცებინათ სულთნის ნაცვალად აფრიკაში.

სიცოცხლის ბოლო წლები კი ხაირადინ ბარბაროსამ კონსტანტინეპოლში გაატარა განცხრომასა და ფუფუნებაში.

იგი მოკვდა 80 წლის ასაკში, - 1547 წლის მაისის მიწურულს.

ხაირადინის დაკრძალვა გრანდიოზული პომპეზურობით გამოირჩეოდა, - გეგონებოდათ, მეფეს ასაფლავებნო.

კარგა ხანს გაგრძელდა ტრადიცია, რომლის მიხედვით კონსტანტინეპოლის პორტში შესულ ყველა გემს, სახელგანთქმული კორსარის პატივისცემად, სალუტის ზალპი უნდა შეესრულებინა.



ბარბაროსა და ხაირადინი

# ცხოვრება მართვალთა

ქრისტეს შობამდე IV საუკუნეში შორეულ მაკედონიაში გამოჩნდა მეფე ალექსანდრე მაკედონელი. ის მხოლოდ 16 წლის იყო, ტახტი რომ დაიკავა. 30 წლისამ კი ვრცელი იმპერია შექმნა. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ამ დროს, ქართლში, მის ერთ-ერთ სარდალს, აზონს უღებდნენ, აუოხრებია ძვეყანა, მოუკლავს მცხეთის მამასახლისი სამარა და მმართველად თვითონ დაგვიდარა.



"აზონ, შენ ხარ მე არიან ქართლის მეფისა. ამიერიდან, შენთვის მიგოქება მთავრობა ქართლში"



"ჩვენმა ჯარებმა უკვე აიღეს წუნდა, ურბინი, კასი, უფლისციხე, რუსთავი, სამგვილდა, სარკინა. მცხეთა კირფესვინად გადავწვით. მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა ბრძოლაში დაიღუპნენ."



მცხეთის მამასახლისის, სამარასა და მისი ძმის სიკვდილის შემდეგ წარჩინებულია გადარჩენილი სამარას ძმის ოჯახი მთაში გახიზნეს. მათ შორის იყო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ფარნავაზი.



ფარნავაზი კავკასიის მთებში იზრდებოდა. ის იყო ახლად და გონიერი ჭაბუკი, დახელოვებული მეომარი და მონადირე.



როდესაც ფარნავაზი წამოიზარდა, მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებულიყო. დედა ეცადა გადაეთქმევიწებინა შვილისთვის ეს აზრი, მაგრამ ვერ შეძლო.



მცხეთაში დაბრუნებულმა ფარნავაზმა მალე მიიტყა აზონის ყურადღება. მან მიიწვია ფარნავაზი სასახლეში. იგი ხშირად მონადირეობდა აზონის მიერ მოწყობილ ზღიერებას თუ ნადირობაში. აზონი საქვეყნო საქმეებშიც ეკითხებოდა რჩევას ფარნავაზს და ცდილობდა იგი მუდამ გვერდით ჰყოლოდა.



აზონის მმართველმა იმდენად აუტანელი იყო ქართლის მოსახლეობისათვის, რომ ხალხი იარაღით ხელში გამოდიოდა და მკვლელობის წინააღმდეგ. აზონმა გადაწყვიტა, თავისი სიკაცხერით ხალხი მოეჩივებინა მოუწყვანა.  
- "სინჯი უნდა ჩაგვხვოთ ყველა გამოსვლა. არ დაინდოთ დიდი თუ პატარა."



აზონის მიომრავი ანიოქაღწენ მოსახლეობას, არ ინდობდნენ არავის, სიკვდილით სჯიდნენ დიდსა თუ პატარას.



ფარნავაზის დედამ განიზრახა შვილები მცხეთიდან გააძევიდა, რათა ამ გზით თავიდან აეცილებინა აზონის რისხვა. მათ მცხეთიდან გააძევა განიზრახეს. ვიდრე ამ ამბავს აზონი შეიტყობდა, ისინი უკვე სამშვიდობოს იმეზობდნენ.



გააძევის წინ დამის ფარნავაზმა სიზმარი ნახა. ვითომდა ფარნავაზს სახლიდან გასვლა უნდოდა, მგზრამ ვერ გადაიოდა. უცებ მზის სხივი შემოიჭრა სარკმლიდან, წელზე შემოეკრა და სამშვიდობოს გაიყვანა.



დილით ფარნავაზი მართლ ნაწილად სანადიროდ. დილის ველზე ირგებს დავიდევა, ერთ-ერთს ისარი სტყორცნა და დაჭრა. დაბნელებამდე სდინა ღაჭრილი ირემს, გოლოს კლდის ძირას იოვდა. ამ დროს საშინელი წვიმა დაემოქიდა. იქვე გამოქვაბული შენიშნა, რომლის შესასვლელი საბუღაბუღოდ ამოქოლილი და შენიღბული იყო.



ფარნავაზმა გამოქვაბული შეარღვიო და შიგნით შევიდა. როდესაც ცეცხლი აანთო, გამოქვაბულში აუარავალი სიმაღლირე, ძვირფასეულობა, მძრე და ვერცხლი იხილა. ფარნავაზი სასწრაფოდ დაბრუნდა მცხეთაში. მან ეს სასიხარულო ამბავი დედას და თავის მრ დას მოუთხრო.

ფარნავაზის ოჯახში ხუთი დედა ეზიდებოდა სახედრებით აუარავალ განძს. მთელი განძი მათ საბუღაბუღოდ დამალეს. ფარნავაზმა ნაწილი სიმაღლირით ძვეყნის ბათავისუფლება დაიწახა მიზნად. იგი მართლ ვერას გახედებოდა და ამიტომ მოკვებირეუბა ებრისის მმართველს, შუჰის, შესთავაზა. ამ მიზნით შუჰისთან საბაგებოვდ ვართუბული ვირი გააგზავნა. ფარნავაზი შუჰისს წერდა: "მე ვარ მცხეთის ძინ ჩამომავალი და ამისწული სამარა მამასახლისისა. მაქვს აუარავალი სიმაღლირე და მოვალ შენთან. ვიყვით როგორც ძვენი და ერთად ვებრძოლოთ ჩვენს მტერს აზონს." შუჰი უხომოდ გაახარა ფარნავაზის შემონათვლაზე.



გაბრძობა იქნება

# კოლინი კარბი პოლისიელია

ენიდ ბლუტონი

კოლინი ფულს აგროვებდა ერთი წყვილი ციგურების საყიდლად. მან ყულაბაში მოათავსა მთელი საშობაო დანაზოგი და კვირას გამომუშავებული ექვსი პენსიც, რომელიც შესასვლელი ბილიკის გასუფთავებისათვის გადაუხადა მამამ. ყულაბა წარმოადგენდა სქელ გოჭს ზურგზე ჩრილითა და მუცელზე ლუქით, რომელზეც კლიტე ედო. კოლინი ველარ ითმენდა და ხშირ-ხშირად ხსნიდა ყულაბას. ერთ დილასაც, როცა კიდევ ერთხელ დაითვალა ფული, გახარებულმა წამოიძახა: “დარწმუნებული ვარ, შემდეგ კვირას ვიყიდი ჩემს ციგურებს, მერე კი წავალ საციგურაოდ ნედთან და ბილთან ერთად! რა ბედნიერი ვიქნები მაშინ!” მაგრამ მალე კოლინს იმედი გაუცრუვდა...

ერთ ღამეს ბიჭუნას სახლი გაქურდეს. მძარცველმა წაიღო კოლინის ყულაბა, დედის საფულე, მამიკოს საყვარელი სათვალე და გოლფში მიღებული პრიზი - მშვენიერი თასი.

ამ ამბავმა მთელი ოჯახი შეაძრუნა. მაშინვე გამოიძახეს პოლიცია. მამა დაჟინებით ითხოვდა ქურდის დაჭერას და დაკარგული ნივთების დაბრუნებას.

“მეც მქონდა ცოტადენი დანაზოგი ჩემს გოჭუნაში!” - თქვა ატირებულმა კოლინმა, - “რამდენ ხანს ვაგროვე ფული ციგურების საყიდლად, ახლა კი აღარაფერი მაქვს. გეთაყვა, შეიპყრით ქურდი!”

“ძალ-ღონეს არ დავიშურებ”, - თქვა პოლიციელმა და უბის წიგნაკი დახურა. “მაჩვენეთ ის ადგილი, საიდანაც ქურდი შემოვიდა”.

მძარცველი იმ პატარა ფანჯრიდან შემომძვრალიყო, რომელსაც საკუჭნაოდან სახლში შემოვყავდით. პოლიციელმა კიდევ რამდენიმე საგულისხმო ცნობა შეაგროვა და წავიდა.

ქურდი ვერ დაიჭირეს. დღე დღეს მისდევდა, ახალი კი არაფერი ისმოდა. ბიჭუნა სულ უფრო მეტ მოუთმენლობას იჩენდა.

“დედა”, - ეკითხებოდა ის, - “დაიჭერენ თუ არა ქურდს? რა ისმის ჩემს ყულაბაზე? დავიბრუნებ თუ არა მას?”

“ძვირფასო, ვერ დაიბრუნებ, სანამ ქურდს არ შეიპყრობენ”, - უპასუხა დედამ.

“მაგრამ, დედიკო, ის სწრაფად უნდა დაიჭირონ, რადგანაც მე ფული მჭირდება ციგურებისთვის”, - თქვა კოლინმა სასონარკვეით.

“პოლიციელმა ყველა ღონე იხმარა ქურდის დასაჭერად. ერთადერთი გამოსავალია, შენით შეიპყრო მძარცველი, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბრუნებ გოჭუნას”, - უთხრა დედამ სიცილით.

კოლინი ტირილით გაიქცა ეზოში. ენანებოდა, რომ დაკარგა სათუთად წაგროვები დანაზოგი. ამის გახსენებაც კი გულს უთუთქავდა.

უეცრად ბიჭს დედის ნათქვამი გაახსენდა: “ერთადერთი გამოსავალია, შენით შეიპყრო მძარცველი, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბრუნებ გოჭუნას”.

“ნეტავ შემეძლოს მისი აღმოჩენა”, - ფიქრობდა კოლინი, “მაგრამ საიდან დავიწყო? არაფერი ვიცი ქურდის შესახებ. არ ვიცი, მაღალია თუ დაბალი, სქელი თუ გამხდარი...”

უეცრად ბიჭმა შუბლი შეიკრა: - “მოითმინეთ! დიახაც რომ ვიცი ცოტა რამ მის შესახებ! ქურდი ძალზე პატარა უნდა იყოს, რომ საკუჭნაოს ვინრო ფანჯარაში გაეტიოს!”

კოლინი სწრაფად გაეშურა საკუჭნაოსაკენ. მართლაც, ფანჯარა ჩვეულებრივზე ვიწრო იყო. მასზე ახტომისას ბიჭმა სქელი ნაფეხურები დატოვა. მათ გვერდით კი ორი სხვა

ზომის ნაკვალევი აღმოჩნდა. ეს ნამდვილად მძარცველის ნაფეხურები უნდა ყოფილიყო. მინა რბილი იყო, წვიმა კი ჯერ არ მოსულიყო, რომ ძარცვის კვალი წაეშალა.

პატარა ბიჭი ალტაცებაში მოვიდა. ახლა უკვე ორი რამ იცოდა ქურდის შესახებ: ის იყო პატარა, იმიტომ, რომ ვინრო ფანჯარაში გაეტიო, და დიდი ტერფები ჰქონდა, რადგან ნაკვალევი ძალზე ფართო იყო.

კოლინმა მოიძია დედის საზომი ზონარი და ფრთხილად გაზომა ჯერ ქურდის ნაფეხურები, შემდეგ კი მამიკოს ჩუსტები. აღმოჩნდა, რომ ნაფეხურები ჩუსტებზე ბევრად დიდი იყო. წარმოგიდგენიათ, მძარცველს მამიკოზე დიდი ფეხი ჰქონდა!

“პატარა კაცი ძალიან დიდი ფეხებით!” - ჩაილაპარაკა კოლინმა, - “ნეტავ, რაშია საქმე?”

ბიჭუნა გამუდმებით ფიქრობდა. უეცრად მას გაახსენდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ძალს იმ ღამეს ქურდისთვის არ დაუყვია. მიკი ხომ ყოველთვის უყვოდა უცხოებს!

“ძალიან კარგი... თუ მიკიმ არ დაუყვია, ესე იგი, ცნობდა იმ კაცის ხმას, სუნს, ხოლო თუ ძალლი იცნობდა კაცს, იგულისხმება, რომ მძარცველი ხშირად დადიოდა ჩვენთან, ესაუბრებოდა მიკის და დროგამოშვებით სასუნ-ნავსაც გადაუგდებდა ხოლმე. მე აუცილებლად მივაკვლევ დიდფეხებიან კაცს, ვინც საეჭვოდ ხშირად გვესტუმრება და ვისთანაც მიკი იმეგობრებს”.

კოლინი ალტაცებისგან აცქმუტდა, დაბრუნდა ფანჯარასთან, შეხტა ოფაზე იმ მიზნით, რომ შეემონებინა საკუჭნაოში ჩახტომისას გამოწვეული ხმაური. ის ჩახტა საკუჭნაოში, მაგრამ გზაზე ლაბადით ლურსმანს დაეკიდა. რალა თქმა უნდა, სამოსი გაეხა.

“ემშაკმა დალაზვროს”, - წამოიძახა ბიჭმა და დამწუხრებულმა შეხედა ლურსმანს, რომელზეც შერჩენილი იყო ყავისფერი ტანსაცმლის ნაჭერი პატარა წითელი ზოლით.

“შესანიშნავია!” - აღმოხდა კოლინს, - “ეს არ არის ჩემი ტანსაცმლის ნაგლეჯი. ქურდმა ისევე დაიზიანა ქურთუკი ლურსმანზე, როგორც მე, - და ეს სწორედ მისი ქურთუკის ნაწილია! ოჰ, სწორ გზას ვადგავარ. დიახ, ეს სიმართლეა! მე უკვე ვიცი, რომ მძარცველი დიდფეხებიანი პატარა კაცია, სახლის ხშირი სტუმარია, დამეგობრებულია მიკისთან და, რაც მთავარია, აცვია ყავისფერი ქურთუკი, რომელსაც გასდევს წითელი ძაფის ლიანდაგი”.

ბიჭუნა გავარდა ეზოში და გაიხსენა ყველა ის კაცი, ვინც მათ სახლში დადიოდა. მერძევე გამოიჩხულია - მაღალია. არც ყასაბი იქნებოდა, მას პატარა ფეხები





აქვს. არც დამლაგებელი, არც ფოსტალიონი, არც მეპურე, იმიტომ, რომ მიკი არც ერთ მათგანთან არ მეგობრობს. "იქნებ ფანჯრის მწმენდელი იყო?" - განაგრძო ფიქრი კოლინმა, - "არა, ის ხომ თვეში ერთხელ მოდის და თანაც სქელია. იქნებ კვერცხის დამტარებელი კაცი იყო, მაგრამ, არა, მიკი მას ვერ იტანს. ნამდვილად ქალაქის გამყიდველია ქურდი. ის არის დამეგობრებული მიკისთან, თანაც პატარაა და ამასთანავე ქარვისფერი ქურთუკი აცვია. მე არ მახსოვს, რომ მას დიდი ფეხები ჰქონდეს. უნდა ნავიდე და ვნახო".

ქალაქის გამყიდველი გზის გაყოლებაზე ცხოვრობდა. კოლინი იმედოვნებდა, რომ ის არ იყო ქურდი, რადგან ეს კაცი გამოირჩეოდა სიკეთითა და იუმორის გრძობით. როცა კოლინმა მიიღინა, კაცი თავისი მალაზიის კართან იდგა.

დიახ, მას ყავისფერი ქურთუკი ეცვა, მაგრამ არა ცისფერი ლიანდაგით და ფეხებიც კოლინის მამის ფეხებზე პატარა ჰქონდა. მაშ, არც ქალაქის გამყიდველი ყოფილა ქურდი.

უეცრად ბიჭუნას გაახსენდა უყმური ჩოფურა კაცი, რომელიც ხანდახან მოდიოდა ეზოს დასაბარად. დედას არ უყვარდა ის, მაგრამ მამას ეცოდებოდა და აძლევდა ხოლმე სამუშაოს ეზოში. დედა კი იძულებული იყო, დაემზადებინა არასასიამოვნო სტუმრისთვის პურის, ხილის და ნამცხვრის ამაღათები.

"ყოველთვის უნდა დავეხმაროთ ჩვენზე ხელმოკლეებს", - ეუბნებოდა დედა კოლინს, რის შემდეგაც ბიჭმა მისცა უოლტერს მთელი შილინგი საშობაო ფულიდან.

"შეიძლება ეს უოლტერია", - დაეჭვდა კოლინი, - "იგი საკმაოდ პატარაა და დიდი ფეხებიც აქვს. მე ეს მაშინ შევამჩნიე, როცა მამიკოს ჩექმები არ ჩაეტია. მიკისაც უყვარს, რადგან უნაწილებს ხოლმე პურის

ნაჭრებს, მაგრამ არ მახსოვს, როგორი ქურთუკი აცვია მას".

ძალიან მალე საეჭვო კაცი ბაღის დასაბარად მოვიდა. მამიკომ თქვა: "მინა გაყინულია, უმჯობესია, შემა დაჩეხოს". კოლინი ეზოში ჩავიდა დანაბარების გადასაცემად. ბიჭუნას სასიხარულოდ აღმოჩნდა, რომ უოლტერს ეცვა ერთგან ამოგლეჯილი ყავისფერი ქურთუკი, წითელი ძაფით დალიანდაგებული.

კოლინს გულმა გამალებით დაუნყო ძველა. უოლტერი იმდენად საზიზღარი ყოფილა, რომ არ დაინდო დედა და მამა, ისინი ხომ მუდამ კეთილად ექცეოდნენ მას.

ბიჭმა მოკურცხლა სახლისკენ და მამას დაუძახა: "მამა! მე ვიცი, ვინც იყო ჩვენთან გასულ კვირას ღამით. ჩქარა, გამოართვი ჩემი გოჭი, დედიკოს საფულე და შენი გოლფში მოგებულნი თასი".

"კოლინი! რას გულისხმობ?" - ჰკითხა გოცებულმა მამამ.

"მისმინე! მე ყველაფერი ვიცი ქურდის შესახებ. ის არის პატარა, რადგანაც გაეტია საკუჭნაოს ფანჯარაში, აქვს დიდი ტერფები, შენზე დიდი, იმიტომ, რომ გავზომე ნაფეხურები. დამეგობრებულია მიკისთან, რადგან მიკი არ უყვებს მას და ატარებს ყავისფერ ქურთუკს, ისეთს, როგორიც ეს ნაჭერია", - ბიჭმა მამას მოხეული ტანსაცმლის ნაჭერი მიანოდა, - "ეს იმ ლურსმანზე იყო შერჩენილი, რომელიც საკუჭნაოს ფანჯრის ქვეშაა", - თქვა მან, - "შენ წარმოიდგინე, მამიკო, მძარცველი უოლტერია. მას სწორედ ასეთი ქურთუკი აცვია ამ დღით და ის გახეულია".

დედ-მამა ყურებს არ უჯერებდნენ.

"შენ მშვენიერი პოლიციელი ხარ, კოლინი!" - უთხრა დედამ.

"ოჰ, მძულს უოლტერი. თქვენ ისე კეთილად იყავით განწყობილი მის მიმართ და შეხედეთ,

როგორ დაგიბრუნათ სიკეთე! რას აპირებთ?"

"პოლიციაში დარეკვას!" - თქვა მამამ და დარეკა კიდეც.

დიახ, კოლინი სავსებით მართალი აღმოჩნდა. როცა პოლიციელმა დაათვალიერა უოლტერის სახლი, პირველი, რაც დაინახა, ბუნრის თავზე თავმომწონედ გამოჭიმული ბიჭუნას ყულაბა იყო. უჯრაში კი ელო დედიკოს საფულე, მამიკოს გოლფში მოგებული თასი და სათვალე. ვერცხლი კი ველარ იპოვეს. უოლტერს ის გაეყიდა.

კოლინი აღტაცებაში მოიყვანა გოჭუნას პოვნამ. მაგრამ ის, სამწუხაროდ, ცარიელი აღმოჩნდა. ქურდს მთელი ფული დაეხარჯა. გაოგნებული ბიჭუნა აქვითინდა: "მთელი ჩემი მონდომების შემდეგაც ვერ ვიყიდი ციგურებს!"

პოლიციელი ძალზე გაახარა მძარცველის აღმოჩენამ, რადგან, უოლტერმა არამარტო კოლინის მშობლები გაჭურდა, არამედ ბევრი მათი მეზობელიც და მალე ის, უეჭველად, სხვა სახლებიდანაც წაიღებდა ნივთებს. პოლიციელი აღტაცებას ვერ ფარავდა. ის ხომ დიდი ხანია ეძებდა ქურდს! და, როგორ ფიქრობთ, რა მოიმოქმედა მან? შევიდა სათამაშოების მაღაზიაში და შეიძინა ერთი წყვილი ციგურები კოლინისათვის.

მალე პატარა ბიჭუნამ ამანათი მიიღო. გახსნისას დაინახა წარწერა: "ციგურები საუკეთესო პოლიციელისათვის". კოლინმა სიხარულისაგან შეჰყვირა: "ეს ბევრად სჯობს იმ ციგურებს, რომლისთვისაც მე ფულს ვაგროვებდი. ოჰ, რა იღბლიანი ვყოფილვარ!"

ნეტავი განახათ ყინულზე მოსრიალე კოლინი. ღმერთო ჩემო! ის ქარზე სწრაფად დაჰქრის!

თარგმნა მარიკა მამაცაშვილმა



ბაბა აკოპილაშვილის ნახატი

თქმულება ანდაზითურთ

ყვავი


ყვავი გაამპარტავნდა: ყვავობა არ მინდა, ფარშავანგი უნდა გავხდეთ. ჩაირჭო გარეშემო ფარშავანგის ფრთები და გაერია ფარშავანგებში.

ჯერ ვერ იცნეს, მაგრამ უცებ წამოსცდა თავისი "ყვაა". მისცვივდნენ ფარშავანგები და სულ გაძიძგნეს.

ტიტველა ყვავი ნავიდა თავის ყვავებთან, მაგრამ იმათაც იუცხოვეს, კისრის ტეხით გამოაგდეს.

ფარშავანგიც ვერ გახდა, ყვავებშიაც გამონყდა.

**ანდაზები:**  
ჩიტი საღაც გაიზრდება, მისი ბაღდადი იმ არის.  
არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხახო ჰქვიპითა.



ანდაზისა ლოპინძის ნახატი

# სატკბილეთის ქვეყანა



ირმა მაღალციხო

## წარამელია - სატკბილეთის დედაქალაქი

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო ერთი პატარა ქვეყანა, რომელსაც უცნაური სახელი - **სატკბილეთი** ერქვა. სატკბილეთის დედაქალაქის, წარამელიას ერთ გარეუბანში, უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ, სულ ერთი ციდა ქილის ოდენა სახლში ცხოვრობდა ბიჭუნა, სახელად ნიგო.

სულ დამავინყდა მეთქვა, რომ ამ ქვეყანაში სახლები მურაბის ქილებს მოჰგავდნენ. სატკბილეთში წვიმაც კი ტკბილი მოდიოდა, სეტყვის ნაცვლად კი შაქარყინულის ნატეხები ცვიოდა. წარამელიის შუაგულში ლიმონათის მდინარე ჩამოედინებოდა. უნდა გენახათ, გაზაფხულზე რომ ადიდდებოდა - სულ შუშუნით მოჰქუხდა შოკოლადის ფი-

ლებით აგებულ ჯებირებს შორის და ვაი, საშინელება, თუ რომელიმე ცელქ ბავშვს შოკოლადი ზომაზე მეტად ექნებოდა ალოკილი. მაშინ შეთხლებულ ჯებირს შეკეთება დასჭირდებოდა, რათა ლიმონათს ნაპირი არ გადმოეღობა და მოსახლეობა არ დაეტბორა. აქაურ ბავშვებს მშობლები თუ მასწავლებლები სულ იმას ჩასჩინებდნენ, არ გაბედოთ ჯებირის ალოკვა, თორემ ყველას საფრთხე დაგვემუქრებაო, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა. ბავშვები ლოკავდნენ შოკოლადს და მღეროდნენ:

“ჩვენ არ გვინდა გოზინაყი,  
 არც თხილი, არც ზეფირი,  
 სულ ყველაფერს გვირჩევნია  
 შოკოლადის ჯებირი.  
 ერთი, ორი, სამი... ათი,  
 უჰ, რა გემრიელია,  
 ჩვენ არ გვინდა ლიმონათი,  
 ჯებირები გველიან”.

ხალხი ისე შენუხდა, რომ გადანყვიტა, ბავშვებისათვის სკვერებში და ბალებში აუზები აეშენებინა. უმჯობესია,

ყელი ამით ჩაიკოკლოზინონ და ჯებირს თავი დაანებონო. ამ ხერხმა მართლაც გაჭრა - ბავშვები აუზებს შეესივნენ და ჯებირი მიივიწყეს.

წარამელიის ქუჩებში ასფალტის ნაცვლად ირისი იყო დაგებული. ირისს უზარმაზარ კასრებში ადნობდნენ, შემდეგ ქუჩაზე მოასხამდნენ და დიდი, გორგოლაჭიანი მანქანებით ასწორებდნენ. ცხელ დღეებში, ხალხი რომ ფეხით არ მიჰკრობოდა შემდნარ ირისს, სახანძრო მანქანე-

ქუდი თავზე დაიხურა და გზას გაუდგა.

## ნიგო ძია თხილოსთან გადადის საცხოვრებლად

ძია თხილო ქალაქის მეორე ბოლოში, ლარიბულ ქოხში ცხოვრობდა და მეზობელ დიდგვაროვან, მდიდარ მისტერ კაქტუსოსთან მოსამსახურედ მუშაობდა.

საიდუმლოდ უნდა გაგიმხილოთ, რომ კაქტუსოების ოჯახი არავის ეპიტ-



ბი ფართო მილებით რწყავდნენ ქუჩებს.

წარამელიელები ბედნიერად და უდარდელად ცხოვრობდნენ. ყოველ დილით, როგორც კი ფორთოხლის მზე ამოვიდოდა, ქუჩაში გამოდიოდნენ, რათა ერთმანეთს მისალმებოდნენ, გაეღიმათ, შემდეგ ცხელ კაკაოზე დაეპატიჟათ მეზობლები და ტკბილად ემუსაიფათ...

თუმცა, რა დროს ეს არის, ჩვენ ხომ ნიგოზე ვსაუბრობდით, რომელიც კაკლის ხის ქვეშ ცხოვრობდა. ნიგოს მშობლები ადრე გარდაეცვალა და ახლა მარტო იყო დარჩენილი. თავზე კაკლის ნაჭუჭი ეხურა და სეტყვაშიც კი უშიშრად დასეირნობდა. მაშინ, როცა წარამელიელები თავგაქუდმოგლეჯილნი შინისაკენ გარბოდნენ, ნიგო ქუჩებში დასეირნობდა და შაქარყინულით პირს იტკბარუნებდა.

ერთ დღეს ნიგოს მოსწყინდა მარტოობა და გადანყვიტა, ერთადერთ ნათესავს, ძია თხილოს სწვეოდა სტუმრად. ნაჭუჭის

ნავებოდა. ისინი თითქმის არავისთან მეგობრობდნენ, არც სტუმრად დადიოდნენ და არც არავის ეპატიუებოდნენ. და საერთოდ, თვით ყველაზე მოხუცი წარამელიელიც კი ვერ იხსენებდა, როდის დასახლდა ეს ოჯახი ქალაქში, ან საიდან ჩამოვიდა.

მისტერ და მისის კაქტუსოებს ორი შვილი ჰყავდათ - მშობლებივით გულღრძო ქალიშვილი - ეკლინა და ვაჟი - სუსხია.

მოხუც თხილოს ძალიან უჭირდა ასეთ გულცივ და ბოროტ ადამიანებთან მუშაობა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უმუშევრობას სიკვდილი ერჩივნა.

ნიგო სწორედ მაშინ მიადგა ძია თხილოს ქოხს, როდესაც მოხუცი ის-ის იყო კაქტუსოებისაგან დაბრუნებულიყო და დასაძინებლად ემზადებოდა.

ვერც კი წარმოიდგენო, როგორ გაეხარდა ობოლი დისწულის დანახვა. ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა, გულ-





ში იკრავდა ნიგოს და კოცნიდა. მოფერებით გული რომ იფერა, დასვა პატარა ხის სკამზე და დაწვრილებით გამოჰკითხა, როგორ ცხოვრობდა.

ძია თხილო კეთილი კაცი გახლდათ. მან უყოყმანოდ გადაწყვიტა, რომ დისნული თავის ქოხში გადმოეყვანა საცხოვრებლად.

“ან ამდენ ხანს რატომ ვერ მოვიფიქრე”, - ბრაზობდა საკუთარ თავზე თხილო, - “ობოლის მარტო ცხოვრება არაფრით არ შეიძლება”

ნიგოს ძალიან გაეხარდა ბიძის გადწვევით, ბევრი არ უფიქრია, სახლში გაიქცა, თავისი ავლადიდებდა ერთ ბოხჩაში გამოკრა და ძია თხილოს ქოხში გადმობარგდა.

“ხელობა უნდა ისწავლო, ასე ხომ არ იხეტიალებ უსაქმურად”, - ამბობდა ძია თხილო და ფიქრიანად კეფას იფხანდა.

**პრინცესა რაფაელა მარტოობისაგან დაიღალა**

რამდენი ხანია, კარამელიაზე გესაუბრებით, მთავარი კი დამავიწყდა მეთქვა - სატკბილეთს მეფე კარამელიუს პირველი და დედოფალი მარმელადინა მართავდნენ. ისინი ერთთავად იღიმებოდნენ, როგორც იტყვიან, პირიდან სულ შაქარი ამოსდიოდათ. ამიტომ ქვეშევრდომებს ძალიან უყვარდათ მეფე-დედოფალი. მადლიერმა ხალხმა ქვეყნის დედაქალაქს სწორედ მეფის საპატივსაცემოდ უწოდა კარამელია.

მეფე-დედოფალს ერთადერთი, მშვენიერი ასული რაფაელა ჰყავდათ. მას რძესავით თეთრი კანი, მაყვალისებრი შავი თვალები, მარწყვით წითელი ტუჩები და შაქრის ლერწამით მალალი და მოქნილი ტანი ჰქონდა. ჰაერზე მსუბუქ და ლამაზ პრინცესას უამრავი ჭაბუკი ეტროფოდა, მაგრამ, აბა, ვინ გაბედავდა, მის ტოლად და სწორად მიეჩნია თავი.

მშვენიერი რაფაელა ისეთივე კეთილი იყო, როგორც - ლამაზი, მაგრამ მისი გული ჯერჯერობით ვერავის მოეხადირებინა, ცხოვრობდა თავის თეთრ ოთახში და ელოდა გულისსწორის გამოჩენას.

“ეჰ!” - ამოიოხრებდა ხოლმე იგი საბრალოდ და გადია ფუნთუშინას მიუბრუნდებოდა, - “რა ძნელია, იყო პრინცესა. ჩვეულბერივი გოგონებებით ვერც სასერიზოდ დავდივარ, ვერც საცეკვაოდ, მომწყინდა სეფე-ქალებთან სასახლის ეზოში თამაში, თავისუფლება ყველაფერს მირჩენია”.

ფუნთუშინა ღრმად ამოიოხრებდა და



ცრემლები დაუგორდებოდა ხოლმე ღაჟა და მსუქან ლოყებზე, მაგრამ ამით რას უშველიდა პრინცესას მარტოობას.

**მწერეთის მეფე სატკბილეთის აოხრებას აპირებს**

როგორც უკვე მოგახსენეთ, სატკბილეთის მეფე, კეთილი და სამართლიანი, თუმცა, ცოტათი გულუბრყვილო იყო. მაგრამ მტრები მასაც ჰყავდა. აბა, რა იქნებოდა, კარამელია ხომ უმდიდრესი ქალაქი იყო და გულგრილს როგორ დატოვებდა მეზობელი ქვეყნის, მწერეთის ბოროტ და სასტიკ მეფეს - ნესტარ მეორეს, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს სამეფო სკაში თათბირი მოიწვია.

თათბირზე გამოცხადდნენ მხედართმთავარი ბუზანკალი, გენერალი ფუტკარა და ქვეითი ჯარების სარდალი ტარაკან ყრუ, რომელმაც სმენა ბრძოლებში დაკარგა, მაგრამ მეფე მის რჩევას მაინც ითვალისწინებდა ხოლმე.

ნესტარ მეორემ სატკბილეთის რუკა მაგიდაზე გაშალა და ფრთა კარამელიას დაადო:

-ხვალ დღით ეს ქალაქი ჩვენი უნდა იყოს! - განაცხადა მან.  
-რა დიდებული აზრია!

-მხოლოდ თქვენს უნესტარესობას თუ დაებადებოდა იგი!

-ხელში უნდა ჩავიგდოთ! გაისმა აქეთ-იქიდან მოწონების შეძახილები.

“ჩვენმა ქვეითმა ჯარებმა დასავლეთის კარიბჭესთან უნდა მოიყაროს თავი”, - შეაჩერა სიამოვნებისაგან სახეგაბადრულმა მეფემ მლიქვნელი ქვეშევრდომები, - “ჩრდილოეთიდან კი საჭაერო დესანტი უნდა ვაფრინოთ”.

ყველა ყურადღებით უსმენდა ნესტარ მეორეს, აქაოდა, ისეთი ერთგულები ვართ, ერთი სიტყვაც არ გვინდა გამოგვრჩესო.

“ახლავე ჭიანჭველათუხუცესი მომგვარეთ!” - ბრძანა მეფემ.

გენერალი ფუტკარა ფანჯრიდან გაფრინდა და რამდენიმე წუთში მხრებზე შესმული ჭიანჭველათუხუცესი მოიყვანა.

“ხვალ დილისათვის ქვეითი ჯარის ქვედანაყოფები საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს, მომახსენეთ მებრძოლთა რაოდენობა!” - მიუბრუნდა მას ნესტარი.

-ორიათასი შეიარაღებული ჭიანჭველა მზად არის შეასრულოს თქვენი ბრძანება!

“ძალიან კარგი!” - სიამოვნებით დაიბზულია მეფემ.

ტარაკან ყრუმ იფიქრა, რაღაცას მიმალავენო და შეეცადა, საუბარში ჩარეულიყო. როგორც იქნა, გააგებინეს, თურას გეგმავდა საიდუმლო სათათბირო.

ტარაკან ყრუ მეფესთან გამოიჭიმა და ომახიანად მოახსენა:

-ათასხუთასი შავი ტარაკანა მზად არის ბრძოლისა და თავგანწირვისათვის, ეშმაკებით მოხერხებულნი და დაუნდობლები არიან.

ნესტარ მეორე ძალიან კმაყოფილი ჩანდა და ეტყობოდა, წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას.

**ბზუილამ და ჭიამაიამ ნესტარის გეგმის შესახებ შეიტყვეს**

ოთახში, სადაც ნესტარ მეორე საიდუმლო თათბირს ატარებდა, ცოტა ხნით ადრე დედოფალ ზაზუს ობოლი ძმისწული, ბზუილა და მისი მეგობარი, დედოფლის მოახლე გოგო, ჭიამაია კარადაში შექვრნენ, რომ მურაბით ყელი ჩაეკოკლოზინებინათ. ის-ის იყო, ჭამას მორჩნენ და მურაბის ქილა სულ გამოლოკეს, რომ რაღაც ხმაური მოესმათ. ეს ნესტარ მეორე და თათბირის დანარჩენი მონაწილენი იყვნენ. ბზუილა და ჭიამაია გაინაბენ. მეფეს ობოლი ნათესავი ისედაც არ ეპიტნავებოდა და ახლა რომ კარადაში ენახა, მითუმეტეს, ჭიამაიასთან ერთად, შავ დღეს დააყრიდა. ამიტომ მეგობრებმა იფიქრეს, ცოტა ხანს მოვიცდით და როცა ისინი წავლენ, სამალავიდან მერე გამოვალთო.

ასე რომ, ისინი, უნებურად, საიდუმლო თათბირის მოწმეები გახდნენ და ნესტარის მზაკვრული გეგმები გაიგეს. ორივე საგონებელში ჩავარდა. ბზუილას უახლოესი მეგობარი, ნიგო ხომ კარამელიაში ცხოვრობდა, სადაც ბზუილა ხშირად მიფრინავდა სურნელოვანი ყვავილების მოსაძებნად.

-რაღაც უნდა მოვიფიქროთ, ასეთი მშვენიერი ქალაქის აოხრება არ უნდა დავუშვათ... - უჩურჩულა ბზუილამ ჭიამაიას.

-ჰო, აუცილებლად უნდა ვაცნობოთ კარამელიელებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ... - უპასუხა ჭიამაიამ.

ბევრი არ უყოყმანია, როგორც კი თათბირი დამთავრდა და ყველა წავიდა, ბზუილა გამოძვრა სამალავიდან და კარამელიისაკენ გაფრინდა.

**ბაზრქილება ზამღვა ნომერში**



ილია ჭრელაშვილი და ბაბაა ტყეშელაშვილი ნახატები, ირაკლი ბილაშვილი კომპიუტერული დიზაინი

# გვირაბი ლა-მანშიის ფსკერზე

(ისტორიის მოყვარულთათვის)

## მაშაქა ვაშაქიძე

არქიტექტურული გიგანტებისა და გრანდიოზული მშენებლობებისადმი სწრაფვა ადამიანს უხსოვარი დროიდან ახასიათებდა. შენდებოდა ტაძრები და ხიდები, შუქურები და ბიბლიოთეკები; აგებდნენ ზოგს სალოცავად, ზოგს - თავდასაცავად, ზოგსაც - სილამაზისათვის. ამგვარად შემორჩა კაცობრიობას ეგვიპტის პირამიდები - ხელოვნებისა და არქიტექტურის უზადო ქმნილებანი, დღესაც რომ ატყვევებენ მნახველებს. თითქმის მთელი ჩინეთის ტერიტორია გადაუსერავს "ჩინეთის დიდ კედელს", განსაცვიფრებელი ქმნილებაა ტაჯ-მაჰალის მავზოლეუმი, კონია ეიფელის კოშკი, დაკიდებული ხიდი ბოსფორზე და სხვა მრავალი. ისე, კაცმა რომ თქვას, მათ სიდიადით არც ჩვენი ვარძია ჩამოუვარდება.

მე-20 საუკუნეში ამ საოცრებებს კიდევ ერთი შეემატა: უნიკალური გვირაბი ლა-მანშიის ფსკერზე, ანუ ლა-მანშიის სრუტის ქვეშ.

ბუნებაში სისტემატურად მიმდინარე კატაკლიზმებმა, მიწისძვრებმა და დედამიწის ქერქის ჩამოყალიბების ცვალებადმა პროცესებმა ბრიტანეთის კუნძულები კონტინენტს დააშორა და მათ შორის გაიჭიმა ლა-მანშიის სრუტე. მიწის ამორ ნაწილს შორის მიმოსვლის გაადვილება ოდითგანვე იქცა ევროპელი ადამიანის საზრუნავად. სანჯლოსნო ტრანსპორტი და საჰაერო ბურთები არ აკმაყოფილებდა უჩვეულო კონსტრუქციების შექმნის იდეით შეპყრობილ არქიტექტო-

რებსა და მშენებლებს. დაიბადა უტოპიური სტილის ათასგვარი პროექტი.

ჯერ კიდევ 1750 წელს ამიენის უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი საფრანგეთისა და ინგლისის დამაკავშირებელი გვირაბის საუკეთესო პროექტზე. ფრანგი გეოლოგისა და ინჟინრის, ნიკოლა დემარეს პროექტი ყველაზე მეტად მოეწონა ლუდოვიკო მეტუთმეტეს, მაგრამ ტექნიკური სიძნელების გამო მშენებლობა არც კი დაწყებულა.

1802 წელს დემარეს პროექტი ნახა ნაპოლეონ ბონაპარტემაც. პროექტი ცოტათი შეცვლილი და გაუმჯობესებული გახლდათ: იგი ითვალისწინებდა ლამპიონებით განათებული მიწისქვეშა ტრასის მოწყობას, რომელშიც თავისუფლად იმოძრავენ ეტლები, ხოლო ვენტილაცია განხორციელდებოდა გვირაბთან დაკავშირებული მაღალი მიწებით, რომელთა ბოლოები წყლის ზედაპირზე იქნებოდა ამოშვარილი.

1867 წელს პარიზში, მსოფლიო გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ემე ტომე დე გამონის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ვიქტორიას მიერ იქნა მოწონებული, მაგრამ ისიც, ისევე, როგორც სხვა მრავალი წინადადება, წლების მანძილზე განუხორციელებელი რჩებოდა.

საბოლოოდ, 1880 წელს გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები დიდი ხნის ოცნების ხორცშესახემლად. საფრანგეთისა და ინგლისის მხრიდან თითქმის ერთდროულად დაიწყო გვირაბების გაყვანა. მათმა საერთო სიგრძემ 1840 მეტრი შეადგინა, მაგრამ 1882 წელს სამუშაოები შეჩერდა ამ ორ სახელმწიფოს შორის

წარმოქმნილი უთანხმოების ნიადაგზე.

1954 წელს კიდევ ერთხელ განახლდა მშენებლობა. ამჯერად ორივე მხრიდან 2000 მეტრი სიგრძის გვირაბი გაითხარა, მაგრამ 10 წლის შემდეგ კვლავ შეწყვიტეს მუშაობა უსახსრობისა და ტექნიკური სიძნელების მიზეზით.

და აი, 1986 წლის იანვარში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ხელმძღვანელები იწონებენ პროექტს: "საფრანგეთი-ლა-მანში", რომელიც "ევროხიდის" მიერ იყო შემუშავებული. იმავე წლის დეკემბერში მშენებლები შეუდგნენ მუშაობას.

გვირაბამეყვანი მანქანები დაამზადა ამერიკულმა ფირმამ "რობინსმა". თერთმეტი ასეთი მანქანა, რომელთა სიგრძე 250-300 მეტრია, ხოლო წონა 25 ტონას აღწევს, ერთდროულად მუშაობდა გვირაბში და თითოეულ მათგანს საკუთარი სახელი ერქვა: რობერტი, ბრიჯიტა, კატრინი, ვირჯინია და სხვა. მანქანის "კბილები" კარბიდ-ვოლფრამის შენადნობისგანაა დამზადებული, ამიტომ წებისმიერი გრუნტის გათხრა მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. თითოეულ მანქანას ორმოცი მუშა ემსახურებოდა.

ყოველი გაბურღული მეტრნახევრის შემდეგ მანქანა კედლებს ფარავდა რკინა-ბეტონის საფარით, რომელსაც მიწის ზედაპირზე ამზადებდნენ და სპეციალური ტრანსპორტით ჩაჰქონდათ გვირაბში. თითოეული რკინა-ბეტონის რკალი ექვსი სეგმენტისაგან შედგება და 9 ტონას იწონის. მთელი გზის მოპირკეთებას ასი ათასი ასეთი რკალი დასჭირდა. მთელი მუშაობის მანძილზე 15 ათასმა მუშამ წყალქვეშა გრუნტის 10

მილიონი კუბური მეტრი მიწა ამოიტანა ზედაპირზე.


მიწისქვეშა ტრასა წარმოადგენს სამ პარალელურად განლაგებულ გვირაბს. ორი განაპირა გვირაბი, რომელთა დიამეტრი 7,6 მეტრს შეადგენს, მატარებლების მოძრაობისთვისაა განკუთვნილი, ხოლო შუაში სამოსამსახურეო, დამატებითი გალერეა-გვირაბია (დიამეტრი - 4,8 მეტრი). სატრანსპორტო გვირაბებს შორის დაშორება 30 მეტრს შეადგენს. ყოველი 375 მეტრის შემდეგ სატრანსპორტო გვირაბები ერთმანეთს უკავშირდება საავარიო გადასასვლელებით (ავარიის შემთხვევაში მგზავრებს შეუძლიათ, თავისუფლად გადავიდნენ სამოსამსახურეო გალერეაში, საიდანაც გზას ავტოტრუსებით გააგრძელებენ ნაპირისაკენ).

გვირაბის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს კომპიუტერთა სამსისტემიანი ქსელი - ინფორმაციული კონტროლითა და კავშირგაბმულობით.

მატარებლები გვირაბში მოძრაობენ 130 კმ/სთ სიჩქარით. გამოთვლილია, რომ ყოველდღიურად მაგისტრალის მომსახურებით სარგებლობს 30 მილიონამდე მგზავრი და გადაიზიდება 15 მილიონ ტონამდე ტვირთი.

მოკლედ, ლა-მანშიის სრუტე ვედარ აბრკოლებს ევროპელების ერთმანეთთან მიმოსვლას.

აი, ასეთი უნიკალური ტექნიკური ქმნილება შევიდა ექსპლუატაციაში 1994 წლის 6 მაისს: გვირაბი, სიგრძით - 52,5 კილომეტრი, რომელთაგან 38 კილომეტრი წყლის ქვეშაა ჩაფლული ზღვის დონიდან 40 მეტრის სიღრმეზე!



### გვირაბი მოქმედებაში:

1. "ევროსტარის" სარეისო სამგზავრო მატარებელი; 2. მატარებელი "მატლი" - ავტოტრანსპორტის გადასაცვანად; 3. პლათფორმა, რომელიც დაიცავს მატარებელს გადაბრუნებისაგან ავარიის შემთხვევაში; 4. გვირაბის კედელი; 5. ცეცხლგამძლე კარები; 6. სამოსამსახურეო გვირაბი; 7. სატრანსპორტო საშუალება "დიზელი" - მაშველი მონყობილობა; 8. გამაგრებელი წყალგაყვანილობის მილები; 9. საჰაერო წნევის მარეგულირებელი ჰაერგამტარი მონყობილობა.

თამაშები პერსონალურ კომპიუტერზე

BATTLEFIELD 1942

არც კი ვიცით, რა ტიპის თამაშებს მივაკუთვნოთ ეს თამაში, რომელიც სტუდია Digital Illusions-მა შექმნა. ერთდროულად გამახსენდა რამდენიმე თამაში, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება: Z, Counter-Strike და Nether Earth, რომელიც ჯერ კიდევ 15 წლის წინ ZX Spectrum-ზე მქონდა. მოკლედ რომ ვთქვა, ეს თამაში ძალიან მაგონებს ორდროშობანას, რომელსაც ეზოში ვთამაშობდით ხოლმე. აქ მართლაც რომ დროშებია დასაცავად დასაპყრობი. თავიდან მონიშნავენ დასაცავად რამდენიმე ნიშნულს, რომლებიც თამაშის დასაპყრობად დასაპყრობად დასაპყრობად...

ერთ-ერთი: სნაიპერი, მეგატომატე, ტანკსანიშნალობა, მკურნალი ან მენაღმე. როდესაც თქვენი გმირი რომელიმე შეტაკებისას დაიღუპება, თამაში არ წყდება, - რამდენიმე წამის შემდეგ ისევ შეგიძლიათ აირჩიოთ მეტროლის ტიპი და ისევ გააგრძელოთ ბრძოლა. მაგრამ საქმე ამით როდითავრდება: თქვენს მიერ არჩეული მეტროლის ტიპისაგან დამოუკიდებლად შეიძლება ნებისმიერი სახის საბრძოლო ტექნიკის: ჯიპის, ჯავშანმანქანის, ტანკის, კატერის ან თვითმფრინავის მართვა. შეგიძლიათ, აგრეთვე, საქმე არც კი აიღოთ ხელში და მხოლოდ ტყვიამრეცხველს მიუჯდეთ. ამას გარდა, საბრძოლო ბაზებთან განლაგებული ქვემეხები და საზენიტო ტყვიამფრეცხველები, რომელთა დახმარებით შეგიძლიათ მოიგერიოთ მტრის ტანკები და თვითმფრინავები. მთლიანობაში თამაშმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ თამაშს აქვს გამოყოფილი სერვერის გამართვის საშუალება და ამ შემთხვევაში ცალკეულ მოთამაშეს შეუძლია მართოს ცალკეული საბრძოლო ერთეული, მაშინ მომავალი შთაბეჭდილებების მოლოდინი რამდენჯერმე მატულობს.



CONFLICT DESERT STORM

მამ ასე, - ჩვენს ხელთაა ომის თემატიკაზე შექმნილი კიდევ ერთი თამაში. იგი დაახლოებით 10 წლის წინ მომზადდა აშშ-ის მიერ ერაყის წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის - "უდაბნოს ქარიშხლის" მოტივებზე. თამაში ძალიან ნაგავს ბოლო დროინდელ თამაშებს "Delta force"-ს და "Ghost Recon"-ს, პირველს - მისიებით და გრაფიკით, ხოლო მეორეს - იმით, რომ შესაძლებელია ერთი მეტროლიდან მეორეზე გადასვლა და მათი მართვა, ანუ, იმ 4 მეტროლიდან, რომლებიც თქვენს დაქვემდებარებაშია, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი, ხოლო დანარჩენები კი მართოთ რადიობრძანებებით. რადიობრძანებები საკმაოდ მოდიფიცირებული რამ აღმოჩნდა. მაგალითად, როდესაც თქვენ გადაწყვეტთ მარტო წასვლას დაზვერვაზე და ამ დროს გადაწყვებით მტრის საკმაოდ დიდ ჯგუფს, საშველად

უზმობთ თანამებრძოლებს და ისინიც, სროლა-სროლით იკაფავენ გზას თქვენსკენ. ამ თამაშში არის ერთი ისეთი დეტალი, რაც 3D Shooter-ებში არასოდეს შემხვედრია: ყველა მეტროლის ეკიპირებაში შედის მედიკამენტები, რომლის დახმარებითაც მას შეუძლია უმკუნალოს საკუთარ თავს, ან დაჭრილ თანამებრძოლს. როდესაც ერთ-ერთი მეტროლი ისეა დაჭრილი, რომ მოძრაობა აღარ შეუძლია და სისხლისაგან იცლება, მეორემ უნდა მოასწროს მასთან 20-ოდე წამში მისვლა და თანამებრძოლის გადარჩენა. არც კი ვიცით, როგორ შევავსოთ ეს სახელი, იგი, გარკვეულწილად, რეალობას აშორებს ამ თამაშს, მაგრამ, ალბათ, არც არის აუცილებელი, რომ ყველაფერში რეალობა მოვითხოვოთ: თამაში მაინც თამაშია და, მან, პირველ რიგში, სიამოვნება უნდა მოგვანიჭოს. რაც შეეხება გრაფიკას და გახმოვანე-



ბას, - იგი საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. პირველად, როდესაც თამაში ჯერ კიდევ არ მქონდა ნახაზი და ინტერნეტში, ანონსში მოგებნე სურათები, მეგონა, სარეკლამო ნახატებს ვათვალიერებდი, რომელთაც თამაშთან საერთო არა-

ფერი ექნებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პერსონაჟების მართვა საკმაოდ გართულებულია და კლავიშების ოპციებში დიდხანს მოგინვეთ კირკიტი, სანამ ყველა ფუნქციას გაარკვევთ, დაიმხსოვრებთ და თქვენს გემოვნებაზე გადაწყვიტოთ.

ყველა დროის ვიდეო

TRANSPORT TYCOON


სიმართლე რომ ვთქვა, გადავიღალე ამ 3D Shooter-ებით და გადაწყვიტე, ამ ჯერზე გავიხსენო რამდენიმე წლის წინანდელი ეკონომიკური სტრატეგია. თამაში იწყება 1930 წელს, ჩემი შეტყობით, ინგლისში და მთავრდება 2050 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში თქვენ უნდა გაიაროთ ტექნიკური პროგრესის ყველა საფეხური, არ უნდა ჩამორჩეთ კონკურენტებს და არ დაივიწყოთ სხვადასხვა ქალაქში საკუთარი იმიჯის გამყარება. თამაშში ვხვდებით სულ სამი სახის ტრანსპორტს: საჰაერო, სახმელეთო და წყლის ტრანსპორტს, რომელიც განკუთვნილია მგზავრების ან ტვირთის გადასატანად. თვითონ ტვირთიც რამდენიმე სახისაა და თითოეული მოითხოვს განსხვავებულ ტრანსპორტს. ამ თამაშში ყველაფერს ფული განსაზღვრავს: თუ გაქვთ საკმარისი ფული, თქვენ შეგიძლიათ, ფაქტობრივად, ნებისმიერ ადგილზე გაიყვანოთ გზა, დააშროთ ზღვა, ან ააშენოთ უზარმაზარი ხიდი თუ გვირაბი, მოასწოროთ მთა ან, კონკურენტების თავიდან მოსაცილებლად, რომელიმე ქალაქში ერთი წლით გახდეთ ტრანსპორტის მონოპოლისტი. ეს კიდევ არააფერი: თქვენ შეგიძლიათ ფული ჩადოთ რომელიმე ქალაქის განვითარება-განაშენიანებაში და, შესაბამისად, ამ ქალაქში, სხვა კომპანიის ტრანსპორტში მოქალაქეები უბრალოდ, აღარ ჩაჯდებიან.

ფულის გაკეთება შეიძლება როგორც მგზავრების გადაყვანით, ასევე ტვირთების გადაზიდვითაც. თავიდან ყველაფერი ძალიან იოლი ჩანს: ააშენებ სადგურს, იყიდი შესაბამის სატრანსპორტო საშუალებას და დაუნიშნავ გაჩერებებს, მაგრამ მოულოდნელად ჩნდება პრობლემები: ხან სადგურია ცუდ ადგილზე აშენებული და ავტობუსები თუ მატარებლები ცარიელები მოძრაობენ, ხან გზა აღმოჩნდება არასწორად გაყვანილი და მანქანების საცობი აფერხებს მოძრაობას, ხანაც - თქვენს მიერ ბოლო გროშებით ნაყიდი თვითმფრინავი მოხვდება ავიაკატასტროფაში და იძულებული ხდებით, ბიზნესის გადასარჩენად, ბანკის ვალი აიღოთ და ყოველწლიური პროცენტი იხადოთ. ყველაფერთან ერთად, ბანკის სესხიც არ არის შეუზღუდავი და მხოლოდ თქვენს მიერ ბიზნესში ჩადებული ფულის ოდენობით შეგიძლიათ თანხის გამოტანა. აქ, გარკვეულწილად, დასწრებაზეც მოგინვეთ თამაში, ვინაიდან თქვენი კონკურენტები არ თვლემენ და ცდილობენ, უფრო მომგებიან ტერიტორიებზე გახსნან საკუთარი სადგურები. დროთა განმავლობაში ქალაქები იზრდება და, შესაბამისად, იზრდება მოსახლეობაც, რაც უფრო მეტ დასწრავ ტრანსპორტს, მეტ სადგურებს მოითხოვს. სხვადასხვა ქალაქებში სატრანსპორტო კომპანიებს სხვადასხვანაირად



აფასებენ და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კომპანია როდენ გულისყურით ეკიდება მგზავრების გადაყვანას. ცოტა განსხვავებული მიდგომა ტვირთების გადატანასთან დაკავშირებით: ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულია სხვადასხვა ტიპის ქარხნები, ფაბრიკები, მალაროები და საბადოები. ყოველ ობიექტს აქვს თავისი ყოველთვიური წარმადობა და საჭიროა ამ პროდუქციის დროულად გადატანა დანიშნულების ადგილზე. ნელ-ნელა ყოველთვიური წარმადობა მატულობს და, შესაბამისად, ჩვენი მოგებაც, მაგრამ, თუ დავზარბდებით და მოვინდომებთ ხელოვნურად წარმადობის გაზრდას, გარკვეული დროის შემდეგ ქარხანა საერთოდ დაიხურება და ჩვენი სადგურიც უმოქმედოდ დარჩება, უმოქმედოდ დარჩენილ ტრანსპორტს კი ყოველწლიური ზარალი მოაქვს,

თუმცა, აქაც არის გამოსავალი: უმოქმედოდ დარჩენილი ტექნიკა შეიძლება გაიყიდოს თანხის გარკვეული პროცენტის დაკარგვის ფასად. თამაშში გამოყენებულია მშენებრივი აუდიო ეფექტები, უკრავს სასიამოვნო ბლუზი, გრაფიკა კი საკმაოდ დეტალურია და თამაშის დროს დისკომფორტს ნამდვილად არ იგრძნობთ. და კიდევ: ეს არაა, უბრალოდ, თამაში. აქ ისე დახვეწილადაა წარმოდგენილი ეკონომიკური მხარე, თავისუფლად შეიძლება, დამწყებმა ბიზნესმენებმა ფინანსური აზროვნების განვითარებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოდაც გამოიყენონ. რაც შეეხება თამაშის დედაზრს, იგი ძალზე მარტივია: ტრანსპორტის მაგნატობა, - ესაა მთავარი მიზანი, რომელსაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ თამაშის ბოლოს.




**შვეულად:**

1. ცეცხლისმფრქვეველი ზღაპრული ცხოველი; 2. შინაური ცხოველების გასარევი ჯოხი; 3. მოკრივეთა მოედანი; 4. ადამიანის სხეულის ნაწილი; 6. უზარმაზარი "მაუგლი" ამერიკიდან; 7. იტალიური მაკარონი; 10. რა ეცემა გამხმარ მუხას უამინდობისას?; 12. თბილისის უბანი, რომლის სასაფლაოზეც დაკრძალეს ფიროსმანი; 15. მეოთხე მუსიკალური ნოტი.

**თარაზულად:**

1. პროდუქტების მალაზია; 5. ძველებური ცხენებზემული ტრანსპორტი; 8. მაუგლის მთავარი მტრის სახელი; 9. კეთილი მოჩვენება, ცნობილი მულტფილმის გმირი; 11. რეზო გაბრიადისა და ელდარ შენგელაის მხატვრული ფილმი "მფრინავებზე"; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 14. მაიმუნის დაგვალული ჯიში; 16. მოხტუნავე მწერი; 17. ქრისტეს 30 ვერცხლად გამყიდველი.

**წინა ქროსვორდის პასუხები**




**შვეულად:**

1. ნრუნუნა; 4. ირისი; 5. ბია; 6. პარასკევი; 7. ნიახური; 8. მაუგლი; 9. კუ; 11. გულივერი; 12. ტომი; 13. ქარი; 15. ციკანი; 16. სი; 18. ბუნაგი; 19. ხმალი; 20. მაისი; 21. კასრი; 22. რემბო; 23. არიელი; 25. ლექსი; 27. მელია; 29. ბელი; 30. კატა; 31. სკა.


**თარაზულად:**

2. ორმო; 3. მანონი; 6. პინოქიო; 8. მაგნიტი; 10. ფრიადი; 11. გუგული; 12. ტვიქსი; 14. ასფურცელა; 16. სიმლერა; 17. ხბო; 20. მიკი; 24. მგელი; 26. რემა; 28. კამეჩი; 30. კომბალი; 32. სირაქლემა; 33. ია; 34. კვიცი; 35. ორი; 36. წინილა; 37. დილა.


ი	მ	მთავარი ქალი	მთავარი ქალი	კ	პირველი ნაწილი	ლ	ს
ლ	მ	რ	ა	ვ	მ	ორი განძობი	რ
ი	ბ	ო	უ	ა	ნ	არ ხატობი	ე
ა	ლ	ა	რ	ა	შ	მისი განძობა	მ
მ	მთავარი ქალი	ნ	ი	ბ	ნ	მთავარი ქალი	მ
მ	მთავარი ქალი	ა	კ	ა	ც	ი	ა
ა	ვ	მ	ა	მ	ბ	ქ	ე



**რეზუსი**



**სიმბრიის პრინციპით დაასრულეთ ნახატი და გააფერადეთ**



სოსო ბუგაძის ნახატი

ყველა გიტიხველს აქვს უფლება, მოგვწეროს თავისი თავისუფალი აზრი ნაზისმიერ მასალასთან დაკავშირებით მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 45, "24საათის" რედაქცია